# საერთო გაზეთი

№22 (334) ● 17 ივნისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი






## რა წვლილი მიუძღვის 13 ივნისის ტრაგედიაში „ნაცმოძრაობას“, რომელმაც ვერეს ხეობა სასაფლაოდ აქცია?

რამდენიც არ უნდა იფარისევლოთ, რამდენიც არ უნდა აღვარღვაროთ ნიანგის ცრემლები, რამდენიც არ უნდა აბღავლოთ თქვენი უტიფარი „რუსთავი-2“, რამდენი ყალბი დასკვნებიც არ უნდა დაახვავოთ, თბილისში 13 ივნისს მომხდარი ტრაგედიის მთლად ავტორები თუ არა თანაავტორები ნამდვილად თქვენ ხართ, „ნაციონალებო“.

## თქვენ იყავით და თქვენ ხართ ყველაზე დიდი სტიქიური უბედურება საქართველოსთვის!





## ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელები ნათელაშვილის შესახებ



შალვა ნათელაშვილი — პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც ქართველი ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა?

## „კაცი-ლეგენდა, კაცი-ნიჭი“ სააკაშვილის ჭურში დალექილი ჩვეულებრივი თხლე აღმოჩნდა...





## სტალინი — მაგია, ოკულტიზმი და ლურჯი ზეცა

**პირდაპირ ვიტყვი: რამდენიც არ უნდა იფარისევლოთ, რამდენიც არ უნდა აღვარღვაროთ ნიანგის ცრემლები, რამდენიც არ უნდა აბლავლოთ თქვენი უტიფარი „რუსთავი-2“, რამდენი ყალბი დასკვნებიც არ უნდა დაახვავოთ, თბილისში 13 ივნისს მომხდარი ტრაგედიის მთლად ავტორები თუ არა თანაავტორები ნამდვილად თქვენ ხართ, „ნაციონალებო“.**

ხომ გეუბნებოდნენ, ხომ გაფრთხილებდნენ, ხომ გთხოვდნენ და ხომ გევედრებოდნენ, არ შეიძლება აქ ავტობანის გაჭრა, არ შეიძლება მდინარე ვერეს გვირაბში ჩაკეტვა, თორემ ერთხელაც მოვარდება ღვარცოფი, გარშემო ყველაფერს მიანგრევ-მოანგრევს და გმირთა მოედნიანად მტკვარში ჩარეცხავსო.

ხომ გაგაფრთხილეს, ხომ გთხოვეს, ხომ აგიხსნეს, თქვენ კი არაფერი არ შეისმინეთ და იცით, რატომ?

იმიტომ, რომ თქვენ მთელი ქვეყანა ფეხებზე გეკიდათ და სულ არ გაინტერედებდათ, რა მოხდებოდა ხვალ, ზეგ, მთავარი იყო, პიარი გაგეკეთებინათ და პიართან ერთად გეკეთებინათ ფული.

13 ივნისს სტიქიურმა უბედურებამ ვერეს ხეობა დაანგრია, თუმცა, მანამდე, განა თქვენ პირწმინდად არ მოაოხრეთ „მზიური“, ვერეს ხეობა და ნიადაგი არ მოუმზადეთ სტიქიას, რომ ბოლომდე მიეყვანა თქვენს მიერ დაწყებული ნგრევის პროცესი?

„მზიურის“ ვერეს ხეობის გაჩანაგებით სარფიანი ბიზნესგეგმა გქონდათ ჩაფიქრებული — მდინარის ნაკალაპოტარზე გზას გაიყვანდით, გზის აქეთ-იქით მხარეს კი კორპუსებს გააშენებდით და ამაშიც დიდ „მაყუთს“ გააკეთებდით, ხოლო რა სავალალო შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ თქვენი „წარმატებული“ ბიზნესგეგმის განხორციელებას, ეს სულაც არ გენაღვლებოდათ.

**„ნაციონალებო“, თქვენ იყავით და თქვენ ხართ ყველაზე დიდი სტიქიური უბედურება საქართველოსთვის.**

წვიმამ იწვიმა და გადაიღო, ღვარცოფმა თავისი გასავლელი გზა გაიარა და გაჩერდა, მაგრამ თქვენ ისეთი სტიქიური უბედურება ხართ, რომელიც არ ჩერდება და ახალ-ახალი საფრთხეებით ემუქრება ქვეყანას.

ქართველმა ხალხმა თუ დროზე არ ჩაგკეტათ კალაპოტში და ამ კალაპოტს თავი და ბოლო თუ არ ამოუქოლა, ისე ვერ მოისვენებთ თქვენ და რაღაც ახალ ხიფათს შეგვამთხვევთ.

ქართველმა ხალხმა, ქართველმა ახალგაზრდებმა, ნამდვილმა პატრიოტებმა, თქვენ უკვე გითხრათ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სიტყვა, როცა გმირთა მოედანზე შეწუხებული სახეებით მიფარისევლებულები უკან გაგაბრუნათ: — თქვენი დახმარება არ გვჭირდება, თქვენ ხართ ამ უბედურების მიზეზიო, რომ გითხრათ და იქიდან გამოგაბუნძულათ.

თქვენ ისეთი მემკვიდრეობა გაქვთ დატოვებული, არსებობს ეჭვი, რომ ვერის ხეობის ტრაგედიით არაფერი დასრულებულა და თქვენს მიერ ჩადენილი „გმირული საქმეები“ კიდევ არაერთხელ წამოგვეწევა გზაზე ნგრევად და პარტახად.

ამიტომაც **მოვუწოდებთ ხელისუფლებას: დროზე მოიძიეთ ამ ყაჩაღების მიერ დატაცებული მილიონები და მილიარდები და ეს ფული მათ მიერ დაზარალებულ ადამიანებს, მათ მიერ დანგრეულ ქვეყანას, მათ მიერ გაპარტახებული ვერეს ხეობის რეაბილიტაციას მოახმარეთ.**

— უგულავა ციხიდან უნდა გამოათრიოთ და იმ ტალახში უნდა აგორაო, გმირთა მოედანი რომ გაავსო, — თქვა ერთმა პარლამენტარმა.

კარგი იდეაა, თუმცა ესენი ისეთ ტალახში არიან ნაგორავებნი, ამ ტალახსაც მალამოსავით შეირგებენ ან სულაც ცოტნე დადიანობას დაიბრალებენ და ტალახს თაფლად გაასაღებენ.

ამიტომაც ყველაზე სწორი ის არის, რაც ხელისუფლებისგან ითქვა: დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ვერეს ხეობაში განხორციელებული ავანტურისტული მშენებლობის ყველა ნიუანსის სკრუპულოზური გამოძიება და დამნაშავეებმა კანონის წინაშე აგონ პასუხი.

**„საერთო გაზეთი“**









გია ბურდულის ფოტოები

**„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 13 ივნისს დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# რა წვლილი მიუძღვის „ნაცმოძრაობას“ 13 ივნისის ტრაგედიაში, რომელმაც ვერეს ხეობა სასაფლაოდ აქცია?

დედაქალაქსა და მის შემოგარენში მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ თბილისი სტიქიური უბედურების ზონად აქცია. ოფიციალური ინფორმაციით, სტიქიის შედეგად 19 ადამიანია დაღუპული, რამდენიმე ათეული დაშავდა, ათეული ადამიანი უგზოუკვლოდაა დაკარგული, საუბედუროდ, დაღუპულთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს, რადგან ჯერ არ დასრულებულა გაწმენდითი სამუშაოები, რამდენი ადამიანია მოყოლილი შენობების ნანგრევებში, ღვარცოფის მიერ ჩამოტანილ მიწის მასასა თუ ჩაძირულ ავტომანქანებში არავინ იცის. რამ გამოიწვია დედაქალაქს თავსდატეხილი საზარელი ტრაგედია, შესაბამისი კვლევებისა და გამოძიების დასრულებამდეც ვფიქრობთ, აშკარაა. წინასწარი მონაცემებით, ინტენსიურმა წვიმამ მდინარე ვერეს ხეობაში ოცამდე მეწყრულ პროცესს მისცა ბიძგი, ბეთანია-ახალდაბის ტერიტორიაზე 1420 სიმაღლის მთა მოწყდა, მასზე მდებარე ტყე და თიხის მასა ქვემოთ ჩამოირეცხა და მდინარის ხეობა ჩახერგა, დაგუბებულმა წყალმა გაარღვია ბარიერი და ახალდაბიდან თბილისამდე თავისუფლად გამოაღწია. ამის შემდეგ პირველი შეგუბება თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე გვირაბთან მოხდა, მოვარდნილი წყლის პირველმა ნაკადმა ეს გვირაბიც ჩახერგა, სპეციალისტთა განცხადებით, წყლის მაქსიმალური რაოდენობა წამში 1000 კუბურ მეტრს შეადგენდა, რაც ათჯერ აღემატება მდინარე ვერეზე დაფიქსირებულ მაქსიმალურ მონაცემს. ბუნებრივია, დაიტბორა მიმდებარე ტერიტორია, წყლის უზარმაზარი ნაკადმა გზა გააგრძელა გმირთა მოედნის მიმართულებით, მაგრამ მდინარის ხელოვნურად შევიწროებულმა კალაპოტმა, იქ არსებულმა გვირაბებმა, არხებმა და მილმა ვერ გაატარა აზვირთებული წყალი და მთლიანად წაილეკა ნაციონალების მიერ დაჩქარებული წესით აშენებული საეჭვო დანიშნულების ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი და მისი შემოგარენი. დაიმეწყრა ზოოპარკის ტერიტორია, რასაც ადამიანებთან ერთად ცხოველებიც ემსხვერპლნენ. ბევრი ცხოველი გაიქცა, რომლებსაც დღესაც ეძებენ. მდინარე ვერე ასე საგრძნობლად წარსულშიც რამდენჯერმე ადიდებულა (1975 და 2005 წელს), მაგრამ კატასტროფული შედეგი არ მოყოლია, რადგან მაშინ არ იყო ვერეს ხეობაში საავტომობილო გზა და ხელოვნური კალაპოტი, რომელიც წყლის თვითმდინარებას შეაკავებდა. მართალია ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები თავგამოდებით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ მომხდარ ტრაგედიაში „ყოვლისმცოდნე“ ნაციონალებსა და მათ ბელადს, ოდესის გუბერნატორად გადამისამართებულ მიხეილ სააკაშვილის იოტისოდენა ბრალი არ მიუძღვით, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია, რომ არა ზემოხსენებული ავტომაგისტრალის რბილად რომ ვთქვათ, არასწორი მშენებლობა, ძლიერ წვიმას ასეთი დამანგრეველი შედეგი არ მოყვებოდა. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, გაპარლამენტარებული კობა სუბელიანის განცხადება, რომ თურმე გვირაბ-მილ-არხების გარეშე დარჩენილი ვერე, ადიდების ჟამს უფრო დამანგრეველ შედეგს გამოიწვევდა, მოკლედ, რას არ იკადრებს კაცი „მშობლიური“ ხელისუფლების გასამართლებლად.

სანამ დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი „მწვანე კუნძულის“, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ გაჩანაგების ხარჯზე გაყვანილ ავადსახსენებელ ავტომაგისტრალსა და მის მშენებლობაზე ვისაუბრებდეთ, ბეთანია-ახალდაბის ტყეში ჩამოწოლილ მეწყერს გვინდა შევეხოთ, რომელმაც წყნეთი-ბეთანიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის თითქმის კილომეტრიანი მონაკვეთი მთლიანად დაანგრია და სოფელი ახალდაბა გარე სამყაროს მოსწყვიტა. ჩვენ ნაციონალებისა და მათი წინამორბედი ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებისგან განსხვავებით, ვერ უგულვებელვყოფთ პროფესიონალი გარემოს დამცველებისა და მეტყევეების იმ მოსაზრებას, რომ მეწყერს ხეტყის მასიური გაჩეხვა იწვევს, საქართველოს ტყეებს უპირველესად ნიადაგის დამცავის (შემაკავებლის) ფუნქცია აქვს. ხსენებულ მონაკვეთზე კი არის ტყე, მაგრამ არა იმ დონის, რომ ნიადაგის ჩამოშლას ხელი შეუშალოს. მეწყერი საქართველოს მას შემდეგ შემოეჩვია (ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოში), რაც „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ შევარდნაძის ხელისუფლებაში დიდი გავლენა მოიპოვეს და პოლიტიკაში მწვანეების სახელით მოსულებმა ტყის მასიურ გაჩეხვას „მწვანე შუქი“ აუნთეს. ვისაც მეხსიერება არ ღალატობს კარგად ემახსოვრება საქართველოს გზებზე გაბაწრული, მორებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანები საბოლოო „დანიშნულების“ პუნქტით — თურქეთი. შევარდნაძის დროინდელი მაღალჩინოსნების ვილების ფოტოებით „აღჭურვილი“ მიხეილ სააკაშვილიც კარგად გვახსოვს, რომელიც სამთავრობო სხდომებსა თუ სხვაგან ტელეკამერების წინ აფრიალებდა ამ ფოტოებს, ნახეთ როგორ ანადგურებენ წყნეთსა თუ სხვა საკურორტო ზონებში ეს კორუმპირებულები მწვანე ნარგავებსო. მსოფლიო დონის „პიარშჩიკმა“ სააკაშვილმა გაპრეზიდენტების შემდეგ ეტყობა ზედმეტად ჩათვალა გარემოს დამცველის „მანტიის“ ტარება (რაღაში სჭირდებოდა, მიზანი უკვე მიღწეული იყო) და თავის გუნდთან ერთად კალიასავით შეესია წყნეთის სანახებსა თუ დიღმის ტყე-პარკს. მოხუცებისგან გამიგონია, რომ მთაწმინდის და წყნეთის მიდამოები მთლიანად გადახრიოკებული იყო და კომუნისტების პერიოდში (თუ არ ვცდები ლავრენტი ბერიას საქართველოს ცეკას მდივნობის) დროს გააშენეს წიწვოვანი ჯიშები, ხალხი თურმე „ვედროებით“ ეზიდებოდა კილომეტრების მანძილიდან წყალს, რომ ნარგავები არ გამხმარიყო. მოგეხსენებათ, როგორ ებრძოდნენ დემოკრატიის სახელით მოსული „მიშა და მისი რაზმი“ ყველაფერ საბჭოურს, ეტყობა „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დანატოვარი ტყეებიც იმიტომ გაჩეხეს და წინამორბედებზე გაცილებით პომპეზური „სრასასახლეები“ აიშენეს. დედაქალაქის რამდენ გამწვანების ზოლს (პარკსა თუ სკვერს), ანუ სარეკრიაციო ზონას მოუხსნეს სტატუსი, ეს ცალკე საკითხია, გეგონება თბილისში ადგილები არ მოიძებნებოდა, მაინც და მაინც პარკებისა და სკვერების ტერიტორიაზე უნდა ჩაეკვეხებინათ გამგეობებისა თუ პოლიციის მინის უსახური შენობები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გავრცელებული ინფორმაციით, იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც მეწყერი ჩამოწვა, არსებობს ხელოვნური წყალსაცავი თუ ტბორი, რომლის ე.წ. კედლებმაც ვერ გაუძლო კოკისპირულ წვიმას და გადმოინგრა, ამიტომაც იყო მდინარის წყლის ნაკადი ასეთი მასშტაბური. ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია საფუძველს მოკლებული არ არის, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა. რამდენიმე წლის წინ (ნაციონალების მმართველობისას) რიკოთის გვირაბთან ძლიერი წვიმის დროს მოვარდნილმა ღვარცოფმა ადამიანები იმსხვერპლა, მაშინაც ითქვა, რომ გვირაბის რეკონსტრუქციაზე მომუშავე ჩინელებს, ხელოვნური ტბორი ჰქონდათ მოწყობილი, რომელმაც უხვ ნალექს ვერ გაუძლო, ანალოგიური ფაქტი მოხდა ორთაჭალაში, როცა კრწანისის ტერიტორიაზე არსებული ტბორიდან, რომელიც არ იყო გაწმენდილი კოკისპირული წვიმის დროს წყალი გადმოვარდა და ორთაჭალაში რამდენიმე ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები დაახრჩო. მაშინ ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ამ ტბორში კახა ბენდუქიძეს თევზსაშენი ჰქონდა მოწყობილიო.

ახლა, რაც შეეხება გმირთა მოედნისა და ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ ე.წ. ავტობანს, რომელსაც თითქოს დედაქალაქში მოძრაობა უნდა განეტვირთა. იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა გმირთა მოედანზე აშენებულ ესტაკადებსაც, თუმცა ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ეს ოდიოზურ ნაგებობები ამ ფუნქციებს ნამდვილად არ ასრულებს, ქრონიკული „საცობებია“, როგორც ყაზბეგის გამზირზე, ისე გმირთა მოედანსა და მის შემოგარენში, საღამოს საათებში თამარ მეფის გამზირზე საცობი სადგურის მოედნიდანვე იწყება. ვერაფერს მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ ვინ ურჩია მიხეილ სააკაშვილსა და თბილისის „არჩეულ“ მერს გიგი უგულავას პრობლემას ესტაკადები და ავტობანი გადაჭრისო, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ დარგის სპეციალისტები (ურბანისტი, არქიტექტორი, მოძრაობის ორგანიზაციის სპეციალისტი (ინჟინერ-ავტომობილისტი), ვისაც პროფესიონალი ჰქვია, ამ სისულელეს არ ეტყოდნენ, თუ მართლა ჰკითხეს მათ რჩევა. რამდენადაც ვიცით, ესტაკადების პროექტი კომუნისტების დროიდან არსებობდა, ისევე როგორც ე.წ. სამკუთხედის (ვარაზის ხევი-მელიქიშვილი-კოსტავა) პროექტი, ამ უკანასკნელის განხორციელებაზე კომუნისტებმა და შევარდნაძის მთავრობამ უარი იმ მიზეზით თქვეს, რომ არ გაამართლებდა. სამაგიეროდ უგულავას წინამორბედმა ჭიაბერაშვილმა (რომელსაც მგონი,





**ბიძინა ივანიშვილი:**

**„მწუხარებას გამოთქვამ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანავუგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს. საზოგადოება „მოქალაქე“ სწავლობს არსებულ მდგომარეობას, მუშაობს ქალაქის თანადგომისთვის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმაზე და ყველაფერს გააკეთებს დაზარალებულთა დასახმარებლად; საზოგადოება ასევე გამოთქვამს მზადყოფნას, დაეხმაროს დედაქალაქს ახალი ზოოპარკის აშენებაში“.**

4 gv.

# რა წვლილი მიუძღვის „ნაცმოძრაობას“ 13 ივნისის ტრაგედიაში, რომელმაც ვერეს ხეობა სასაფლაოდ აქცია?

3 gv.

ავტომანქანის მართვის მოწმობაც კი არ აქვს) „შთაბერა სული“ ამ პროექტს, რომელსაც თბილისელებმა სრულიად დამსახურებულად შეარქვეს „ბერმუდის სამკუთხედი“. ესტაკადების მანამდე არსებული პროექტიც შეკრიჭ-შემოკრიჭეს (დაასეკვესტრეს) და ისეთი „საოცრება“ წამოჭიმეს გმირთა მოედანზე, რომ მძღოლები ჯერაც ვერ მოსულან ჭკუაზე. ზოგიერთი ესტაკადა ისეთი ვიწროა ორი ავტომანქანა გვერდს ვერ აუვლის ერთმანეთს, პატარა შეფერხების შემთხვევაში, კილომეტრიანი „საცობი“ გარანტირებული გვაქვს. აღარაფერს ვამბობთ, როგორ ჩაინგრა ესტაკადების მშენებლობისას გმირთა მოედნის ქვეშ გამავალი გვირაბი, რასაც საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოყოლია, თუმცა რეკონსტრუქციის მიზნით, კარგა ხანს იყო ჩაკეტილი. ძალიან არ გვინდა, რომ ნაციონალების „უმწიკვლოებაში“ ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაინც გვაწვალებს „შავბნელი“ აზრი, რომ ეს აბურდული ძაფის გორგლის მსგავსი ესტაკადების კომპლექსი, დიდი ფულის „მოტეხვის“ მიზნით გაკეთდა.

გარემოს დაცვის ექს-მინისტრი ნინო ჩხობაძე ვერეს ხეობაში დატრიალებულ ტრაგედიას ავტობანის არასწორ მშენებლობას უკავშირებს, ვერეს ადიდების შედეგად შექმნილი კატასტროფა პროგნოზირებადი იყო, რადგან ამ გზის მშენებლობისას არ ყოფილა გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ანუ მშენებლობა შესწავლის დამთავრებამდე დაიწყეს. არაერთი პროგნოზი დაიდო, რომ არ შეიძლება სპეციალისტების დასკვნების გარეშე თვითნებურად რაიმეს აშენება, რადგან ეს შეიძლება ტრაგედიის მიზეზი გახდეს, მაგრამ მათ არავინ დაუჯერა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა უხვი ნალექი ყოფილა, რაც წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვლილი, არ შეიძლებოდა მდინარის, მით უმეტეს მთის მდინარის ქვის „პერანგში“ ჩასმა, ფაქტია, რომ ასეთ კალაპოტში მოქცეულმა



მდინარემ უხვი ნალექი ვერ გაატარა, არც ისეთი სწრაფი ტემპებით მშენებლობა შეიძლება, როგორც ხსენებულ ავტომაგისტრალს აშენებდნენ. ნინო ჩხობაძის აზრით, უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, რომლებიც დადებენ დასკვნას რა და რატომ მოხდა. ისიც უნდა გაირკვეს საჭიროა თუ არა ეს ავტომაგისტრალი, თუ სჭირდება ქალაქს, მოხდეს მისი რეკონსტრუქცია, თუ არა და მოხდეს მისი დემონტაჟი. თავის დროზე არაერთხელ ითქვა, რომ საერთოდ არ არსებობდა ამ ავტომაგისტრალის პროექტი, ინჟინერი თამაზ შილაკაძე, რომელიც, გზადაგზა შექმნილი პროექტის ავტორი გახლავთ, მაშინ აცხადებდა, რომ თურმე თან აშენებდნენ და თან აპროექტებდნენ, ასეთი პრაქტიკა ალბათ არ ახსოვს საინჟინრო ისტორიას, რაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს თავად ბატონ შილაკაძეს, რომელიც კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული გზების მშენებლობის სფეროში მოღვაწეობს. ექსპერტთა და ეკოლოგთა ერთი ნაწილის მტკიცებით „მზიურში“ ახალი გზის მშენებლობისას არ იქნა გათვალისწინებული აუცილებელი სტანდარტები, რასაც არ იზიარებს ბატონი შილაკაძე, იგი ტექნიკური ნორმების დარღვევას კატეგორიულად გამორიცხავს და სტიქიის მასშტაბებზე ამახვილებს ყურადღებას. მას თურმე ძალიან კარგი პროექტი შეუქმნია, უბრალოდ შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდაო. მდინარის კალაპოტის შეცვლა და შევიწროება, მისი გვირაბებსა და მილებში გატარება ისეთი მეცნიერული გადაწყვეტაა, რომელსაც რიგითი მოკვდავნი ვერაფერს გაუგებენ. ეტყობა ამ ბატონსაც შეეყარა ნაციონალების „ყოვლისმცოდნეობის სენი“, აბა სხვას რას მივაწეროთ, რომ მეგზევე-ინჟინერს გეოლოგის, გარემოს დამცველის, ქალაქგეგმარების სპეციალისტის და ა.შ. გარეშეც შეუძლია განსაზღვროს სად რა უნდა აშენდეს. ფუნქციაც შეასრულოს. გარემოს დამცველების და ეკოლოგების განცხადებით, „მზიურის“ ტერიტორიაზე საერთოდ არ უნდა აშენებულიყო ავტომაგისტრალი, რადგან მუდმივად არსებობდა დატბორვის საფრთხე. 2011 წელს ჩატარდა კვლევა, გმირთა მოედნის გვირაბის დასაწყისიდან (სხვათა შორის, ეს გვირაბიც დაუვიწროებიათ) ნაფეტვრების გზაჯვარედინამდე მონაკვეთის შესწავლით დადგინდა, რომ მდინარე ვერეს კალაპოტი არაერთ ადგილას იყო ჩახერგილი მოთხრილი ხეებით და არ იწმინდებოდა, რაც გამტარუნარიანობას ამცირებდა და ახლომდებარე ტერიტორიების დატბორვის საშიშროებას ქმნიდა. კვლევის ავტორთა დასკვნით, მდინარე ვერეს და მის ხეობას ყველაზე დიდ საფრთხეს „მზიურის“ ტერიტორიაზე ხეობის გარშემო აშენებული მაღალსართულიანი სახლები უქმნის.

ვერეს ხეობაში ავტომაგისტრალის მშენებლობას გარემოს დამცველმა ირაკლი მაჭარაშვილმა სრულიად სამართლიანად უწოდა გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა. მდინარე ვერეს ასეთი წყალმოვარდნები ადრეც ახასიათებდა, ადრეც მომხდარა ამ ტერიტორიაზე ტრაგედია, ოღონდ არა ამ მასშტაბის, რის მიზეზადაც მდინარის მილში გატარება დასახელებულა, ვერ მოასწრო წყლის დიდი ნაკადის გატარებაო, ნაციონალებმა კი ახლა უფრო დიდ მონაკვეთზე გაატარეს ვერე მილში. ერთმა ჭკვიანმა ურბანისტმა ისიც თქვა, ამ მილით და ქვის „პერანგით“ მდინარის დახრჩობა განვიზრახეთ და პირიქით, მან დაგვახრჩოო. ძნელია არ დაეთანხმო ირკლი მაჭარაშვილს, რომ ამ გზის პროექტს თავიდან ბოლომდე პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, თბილისის საჭიროებისთვის კი არა, პოლიტიკურ ოპონენტებთან ქიშპობის გამო გაკეთდა, მოგეხსენებათ, მერის არჩევნები ახლოვდებოდა და ნაციონალებმა ამომრჩეველს აჩვენეს როგორი ყოჩაღები იყვნენ, არჩევნებამდე მოასწრეს „გრანდიოზული“, თუმცა არაფრის მომცემი პროექტის განხორციელება. თურმე ისე ჩქარობდნენ, რომ ბოლო მონაკვეთზე ბეტონის მაგივრად ასფალტი დაუგიათ. ამ პროექტის განსახორციელებლად „მზიურს“ სარეკრიაციო ზონის სტატუსი მოუხსნეს, რითაც დამპროექტებლებს საშუალება მისცეს უპრობლემოდ გაეჩეხათ იქ ხეები (400-მდე ხე გაჩეხეს). თბილისის არქიტექტურის სამსახური თურმე არც იყო საქმის კურსში ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ, მისი კურირება კეთილმოწყობის სამსახურს ჰქონია დავალებული. ცნობილი ამბავია, რომ ნოდარ დუმბაძის პერსონაჟის არ იყოს ნაციონალებიც „უკლასო“ საზოგადოებას აშენებდნენ, გეოლოგი, ასეთი მცნება მათთვის არ არსებობდა, რა საჭირო იყო იმ ტერიტორიაზე გრუნტის შემოწმება, სადაც მიშა-პრეზიდენტყოფილს რაიმეს დაჩქარებული წესით აშენება მოესურვებოდა, ეს ხომ დროის ფუჭად კარგვა იყო. გარემოს დამცველები და ეკოლოგები კი 2007 წელს მიღებული „ნოვატორული“ კანონით გააუვნებლეს, რომლის თანახმადაც ბევრი საქმიანობა გარემოს ზემოქმედები შეფასებისგან გაათავისუფლეს, მით უმეტეს თუ ნუსხაში შესული საქმიანობის „შემოქმედი“ იტყოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ვაკეთებო, დასაბუთებაც არ ჭირდება ისე თავისუფლდება „ზედმეტი“ შემმოწმებლისგან, ხოლო თუ ამ საქმიანობას სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, მაშინ „ხელშეუხებლობა“ უმაღლეს დონეზეა გარანტირებული. ერთი სიტყვით, ნაციონალებმა კანონმდებლობა ყველა სფეროში ჩოხა-ახალუხივით მოირგეს, ვინიცობაა ხელისუფლებაში აღარ ვიყოთ, ვერავინ შემოგვედავება, ყველაფერი კანონის ფარგლებში გვაქვს ნაკეთებიო. „მზიურის“ ტერიტორიაზე გაყვანილ „განმტვირთავი“ ფუნქციით შენიღბულ ავტომაგისტრალს მარტო პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონია, ეს ფულის კეთების საუკეთესო საშუალებაც გახლდათ, ამიტომაც არ უნდა ჩაეყოთ მის პროექტსა და მშენებლობაში ცხვირი „არამკითხე“ პატიოსან ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, თორემ საეჭვოა არ სცოდნოდათ, ავტომაგისტრალი ვერ შეასრულებდა მოძრაობის განმტვირთველის ფუნქციას, ისიც რომ ხეობის ამ მონაკვეთის ორივე მხარე მეწყერული ზონაა და იქ ყოველგვარი გზის თუ მაღალსართულიანი შენობების მშენებლობა დაუშვებელია, მაგრამ დიდ ფულს დიდი ცდუნება ახლავს. ბავშვთა ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე (ვაკეში) ფერდობზე კომუნისტების პერიოდში მრავალსართულიანი საპროექტო შენობა აშენდა, როგორც ჩანს არც მაშინ შეიწუხეს თავი ნიადაგის გეოლოგიური შემოწმებით, მცოცავი ქანების მიზეზით ხსენებულ შენობას პრობლემა შეექმნა და იძულებული გახდნენ იქაურობა ბეტონის კედლებით გაემაგრებინათ. დაინტერესების შემთხვევაში ავტომაგისტრალის დამპროექტებლებს ამ ინფორმაციის მოპოვება არ გაუჭირდებოდათ და დარწმუნდებოდნენ, რომ იქ მეწყერული ზონა იყო. ხსენებული მაგისტრალი სულ ახალი გახსნილი იყო, როცა იქ ქვების ცვენა დაიწყო, ავტომანქანებიც დააზიანა და იძულებული გახდნენ დროებით აეკრძალათ მოძრაობა და ე.წ. ავარიული უბნები რკინის ბადეებით გაემაგრებინათ. მაგრამ ეს ხარჯი რა მოსატანია იმ მოგებასთან, რასაც ავტომაგისტრალის მშენებლობა მოიტანდა, ნაციონალებისთვის რომ ყველაზე პრიორიტეტული საკუთარი ჯიბეა და არა სახელმწიფოებრივი ინტერესები, იმედია მათმა 9-წლიანი მმართველობის და მის წინა თუ შემდგომმა პერიოდებმაც დაგვარწმუნა. გარდა იმისა, რომ ამ მშენებლობიდან „ატკატის“ სახით სოლიდური თანხები შემოვიდოდა, ვერეს ხეობაში უამრავი მიწის აუთვისებელი ფართიც გაჩნდა, რომელსაც სარფიანი მყიდველი არ დაელეოდა, რამდენია პრესტიჟულ უბნებში ბინის თუ ოფისის შეძენის მსურველი ვინ მოთვლის. ფაქტია, რომ ვერეს ხეობა გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე სამშენებლო პოლიგონად იყო ქცეული. ბუნება რომ მის წინააღმდეგ წასვლას არ გაპატიებს, ეს რამდენიმე დღის წინანდელმა სტიქიამაც დაადასტურა, თუმცა მსხვერპლი ისევ უდანაშაულო ადამიანები გახდნენ. ნაციონალები ახლა ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ და გაუბედურებულ, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს თანადგომას სთავაზობენ. მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ, როგორც კი გაწმენდითი სამუშაოები დამთავრდება, გარემოს დამცველებსა და გეოლოგებთან ერთად საგამოძიებო ორგანოებიც დაიწყებენ შესწავლას რა იყო ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი და შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება. იმედია ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, რაშიც საზოგადოებამაც უნდა გაუწიოს მთავრობას, მის მეთაურს და საგამოძიებო სამსახურებს თანადგომა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ნამდვილად სჭირდება ამ საქმეში ხალხის მხარდაჭერა, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ, როგორც კი დაიწყება მოკვლევა-გამოძიება, ნაციონალები და მათი სატელიტები, იქნება ეს მედიასაშუალებები თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უნისონში არ „აჭიკჭიკდებიან“, აქაოდა პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილიო. დაზარალებულ ადამიანებს რა თქმა უნდა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს მატერიალური დახმარება, მაგრამ მერე ამ თანხის კომპენსაცია იმ ადამიანების კოლოსალური ქონებიდან უნდა მოხდეს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ადამიანების გაუბედურებაში. სახელმწიფო ბიუჯეტმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან ივსება, არ უნდა ზღოს ნაციონალების რბილად რომ ვთქვათ, გაუთვლელი იდეებისა და პროექტების განხორციელებით მიყენებული მორალური თუ მატერიალური ზიანი. ვფიქრობთ, ამ საშინელ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა ნაციონალების ხელისუფლების იმ თანამდებობის პირებს უნდა დაეკისროთ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება, რომ აშენებულიყო ავტომაგისტრალი, რომელმაც სასაფლაოდ აქცია მდინარე ვერეს ხეობა.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# თემურ ჭკუასელი: მომავალში ვიქნები თუ არა დეპუტატი, ამან მნიშვნელობა არ აქვს, მე მაინც მეყვარება ჩემი რაიონი და ყოველთვის ვიღვაწებ მისთვის



**გვესაუბრება დიასპორებთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი თემურ ჭკუასელი.**

**— ბატონო თემურ, რაც თქვენ მაჟორიტარი დეპუტატი გახდით, საკმაო დრო გავიდა. რა გააკეთეთ, რითი ხართ კმაყოფილი თქვენი ძალისხმევით განხორციელებული საქმეებიდან?**

— მე, როგორც წესი, დაპირებებს არ ვახმოვანებ, სურვილებზე ვლაპარაკობ ხმამაღლა და ვცდილობ, ეს სურვილები განვახორციელო. რაიონის დეპუტატი რომ გავხდი, ისეთი სიტუაცია დამხვდა რაიონში, ნათურების გამოსაცვლელი მანქანაც კი არ არსებობდა. განადგურებული იყო ყველაფერი. ნელ-ნელა ეს მანქანაც ვიყიდეთ, შევიძინეთ ბულდოზერი, გრეიდერი, სახანძრო მანქანა, სანაგვე მანქანები და ა. შ. და დღეს სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ, ჩემი და განათლების სამინისტროს ძალისხმევით, სოფელ წიფნარში ახალი სკოლა აშენდა. ზოტში მიმდინარეობს თანამედროვე ტიპის სკოლის მშენებლობა და ორი სკოლა კიდევ დაპროექტების რეჟიმშია. სოფელ გუთურში ახალი სკოლის მშენებლობა ბავშვების დამსახურებაა, რომლებმაც საოცარი წარმოდგენა აჩვენეს განათლების მინისტრს. გუთურელმა ბავშვებმა ინტერპრეტირებული სცენა წარმოადგინეს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებიდან „მე ვხედავ მზეს“. სპექტაკლში სოსოია ეუბნება ხატიას: კიდევ კარგი, ჩვენს სკოლას რომ ვერ ხედავო. ბავშვებმა ისეთი მგრძნობიარე პასაჟები აჩვენეს, მინისტრმა მრავლისმეტყველად შემომხედა, ჩემი ჩაწყობილი საქმე ეგონა, მაგრამ, ღმერთი, რჯული, მე არაფერ შუაში ვარ, ეს მათი შემოქმედება იყო. მალე დაიწყება სკოლის მშენებლობა ამ სოფელშიც. დაბის გზებიც მოსაწესრიგებელია, დედათა მონასტრიდან სახლ-მუზეუმამდეც. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი...

ორი საწარმო აშენდა რაიონში — ერთი თხილის და მეორე საკონსერვო საწარმო. ამაზე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი დაჟინებული თხოვნით და ძალისხმევით ჩემმა მაგობარმა ბიზნესმენმა რაიონის ცენტრში ბრწყინვალე შენობა ააგო. ეს საწარმოებიც სულ მალე ამუშავდება. რაიონის მთელი მოსახლეობისგან საწარმო ჩაიბარებს ნებისმიერი რაოდენობის თხილს.

ძალიან გვიშლიდა ხელს ეს გაუგებარი ტენდერები. რაზეც, ვფიქრობ, ახალი კანონია მისაღები. ამაზე საუბრები მაქვს, რომ მოვიწვიოთ იურისტები და გადავხედოთ ტენდერების კანონს, რადგან ახლა არსებული კანონი ცოტა ბუნდოვანია. ნებისმიერ ფირმას შეუძლია დააგდოს ფასი და გაიმარჯვოს ტენდერში და მერე ვერ ააშენოს. ორი წელიწადია ამის გამო ვერ დავიწყეთ კულტურის სახლის მშენებლობა რაიონის ცენტრში. დაახლოებით ერთ კვირაში ეს მშენებლობა დაიწყება და ამოვისუნთქებ. ძალიან ვწუხდი ამაზე.

**— საავადმყოფოსთან დაკავშირებული პრობლემები როგორ მოგვარდა?**

— ორი შესანიშნავი კლინიკა არის რაიონში. ორივე კერძოა, მაგრამ თანამედროვე კლინიკებია და რადგან აღარავინ ლაპარაკობს იმ პრობლემებზე, როგორც ჩანს, პრობლემა მოხსნილია.

აბსოლუტურად ახალი სასწრაფოს მანქანა შევუძინეთ რაიონს, მაღალი გამავლობის ტრანსპორტი, რომელიც მთელ რაიონს ემსახურება.

ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს მოვუვლით.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან გახარებული ვარ, 300 ყუთით საჩუქარი ჩავუტანეთ რაიონის გაჭირვებული ოჯახების ბავშვებს „კეთილი სამარიტელის“ ორგანიზაციის დახმარებით. რწმუნებულებმა 300 ბავშვის სია წარმოგვიდგინეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მეტი ითხოვს დახმარებას, ამიტომაც 100 ყუთს კიდევ გავაგზავნით დამატებით.

მაგრამ ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ პროექტში, რომელშიც მთელი საქართველოს რაიონების ბავშვები მონაწილეობდნენ, ჩოხატაურელმა ბავშვებმაც მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს კიდეც.

პროექტი ითვალისწინებდა ზღაპრების შეთხზვას. ბავშვები თვითონ წერდნენ ზღაპრებს, კომისია არჩევდა საუკეთესოს, მერე ამ ზღაპრებს გადასცემდნენ ბავშვებს, რომლებიც ზღაპრების ილუსტრაციებს აკეთებდნენ. საუკეთესო ზღაპრები, ბავშვთა ილუსტრაციებით, წიგნად უნდა გამოიცეს. აღსანიშნავია, რომ წიგნში სულ 23 ზღაპარი მოხვდება და მათ შორის 12 ზღაპარი ჩოხატაურელი ბავშვების დაწერილია.

რაიონში არის თექის შემსწავლელი წრე. მე ვთხოვე საქართველოში თექის საუკეთესო სპეციალისტს, ჩავიდა ეს ადამიანი რაიონში და გაკვეთილები ჩაუტარა ბავშვებს.

თქვენ გამახსენეთ ახლა, ბევრი არც მახსოვს და გამეხარდა, რაღაცები გამიკეთებია რაიონისთვის... *(იცინის.)*



**— ჩოხატაური ჩაის კრეფით არსებობდა. არ აპირებთ ჩაის კულტურის აღორძინებისთვის მუშაობის დაწყებას?**

— რაც შეეხება ჩაის, ჩაი სადღაა?! არის მიწა და ტურეები გვიმრებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ბიზნესმენების დახმარებით დაისვა საკითხი, რომ სუბსიდირება დაიწყოს და გლეხებმა თვითონ აალორძინონ ჩაის კულტურა. შემდეგ ბიზნესმენი იყიდის. გლეხს გაუჩნდება სამუშაო — საკუთარ მიწაზე დარგავს ჩაის და გარანტირებული ექნება, რომ ნედლ პროდუქციას გაყიდის.

**— მოსახლეობის აზრი თუ იცით ამის შესახებ?**

— ჯერ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გადაწყდა ყოველივე, თუმცა ვიცი, რომ იდეა ძალიან კარგია. მაგრამ გლეხი წინააღმდეგი რატომ უნდა იყოს? სახელმწიფო ეუბნება, რომ აძლევს ფულს — ააღორძინე ჩაი და გასაღებაშიც დაგეხმარებიან.

**— ბევრი რამე გაგიკეთებიათ, თუმცა, რაიონის მოსახლეობას უფრო მეტს მოითხოვს თქვენგან...**

— ხშირად ისეთ რამეს მთხოვენ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია და არც ჩემს კომპეტენციაში შედის. მთხოვენ ხოლმე დაავადებების მკურნალობაში ჯანდაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობას. არის დაავადებები, რომელთა მკურნალობას სამინისტრო არ აფინანსებს. მე როგორ უნდა დავაფინანსებინო, როცა ასეთი რამ პროგრამაში არ აქვთ?!

ყველას აქვს უფლება, მოეწონოს ჩემი საქმიანობა, ან არ მოეწონოს, მაგრამ შემოდგომაზე ხილს რომ მასიურად და უპრობლემოდ ჩააბარებენ, სოფლებში გამოჩნდება მანქანები და გაიხსნება ხილის ჩასაბარებელი პუნქტები, მერე თვითონ გადაწყვიტონ, ისევ ჩვენ დაგვიჭერენ მხარს არჩევნებში თუ სხვას. ვიქნები თუ არა დეპუტატი, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მე მაინც მეყვარება ჩემი რაიონი და ყოველთვის ვიღვაწებ მისთვის. სხვათა შორის, არც გადეპუტატებას ჰქონია ჩემთვის დიდი მნიშვნელობა, მთავარი იყო, ქვეყანა გადარჩენილიყო, ჩოხატაურში და საქართველოში „-ქართულ ოცნებას“ გაემარჯვა.

ვინც უკმაყოფილოა, დააკვირდეს, რა გაკეთდა 2003 წლიდან 2012 წლამდე, ამ ორ წელიწადში და მერე იმსჯელონ ობიექტურად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**გვესაუბრება თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2006 წ.წ.), ფასიანი ქაღალდების ბაზრის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:**



ვახტანგ ხომიზურაშვილი:

# სსფ-ს რეკომენდაციებით იმ კრიზისს ვერ დავძლევთ, სადამდეც სსფ-ს რეკომენდაციებმა მიგვიყვანა

**— ბატონო ვახტანგ, სავალუტო ფონდი მრავალი წელია „გვპატრონობს", ამჯერად მან ლარის გამოჯანმრთელების მისია იკისრა. როგორ შეაფასებთ, ამ მიმართულებით, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?**

— სავალუტო ფონდის ასეთი მიდგომა, გასაკვირია. პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებში პირდაპირი ჩართვა, წესით, მისი მისია არაა. ის რომ თითქოს მათი „რეკომენდაციებით" „ეროვნული ბანკის" დაცვა სურთ, ეს ბლეფია. ამას გრძელვადიან პერიოდში ბევრად უარესი შედეგი მოჰყვება — როცა ასეთ უხეშ შეცდომას პატიობ, ეს, გარკვეულწილად, ხელისშეწყობაცაა. თუ დამნაშავეს გაუშვებ და ჩადენილ დანაშაულზე პასუხს არ მოსთხოვ, მეორე ჯერზე უარეს გააკეთებს. ამ თვალსაზრისით, სავალუტო ფონდის პოზიცია, გაუგებარია. მათ, უკვე, მოუკრეფავში შეტოპეს. სავალუტო ფონდის ქმედებები და სტრატეგია ცხადჰყოფს, რომ იგი, აბსოლუტურად, არაეფექტური მექანიზმია. ამის გამოცდილება იმ ქვეყნებიდან გვაქვს, რომლებშიც სავალუტო ფონდი მოქმედებდა — მექსიკაში, არგენტინაში, ნაწილობრივ ბრაზილიაშიც, სადაც სსფ-ს რეკომენდაციები შეასრულეს, მაგრამ მიღებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მთავრობას დამატებით 38-42 მილიარდი დოლარის ოდენობით სახსრების გაღება დასჭირდა, რაც ნიშნავს, რომ მათი ქვეყნებთან მუშაობის ტაქტიკა და მეთოდები, აბსოლუტურად, არაეფექტურია. სავალუტო ფონდი, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ყველა ნიუანსს — ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკას, პრიორიტეტულ დარგებს, თუ რა შეიძლება განვითარდეს. ზოგადად, ასეთი შაბლონური მიდგომა და რეკომენდაციები, ნებისმიერი ქვეყნისთვის, უკუშედეგს იძლევა. ცხადია, პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს და, შესაბამისად, სტიმულირებადიც გახდეს, რაზეც სავალუტო ფონდი შეგნებულად თვალს ხუჭავს. 90-იან წლებში, სავალუტო ფონდის ხელშეწყობით USAID-მა საქართველოს მთავრობას, დახმარების სახით, საინვესტიციო გარემოს შექმნა შესთავაზა. იდეა კარგი იყო, მაგრამ რაში გამოიხატებოდა მიდგომა? — ეს იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამოქმედების ხელშეწყობა. უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ საკითხში, აი, რა მოხდა — გამოიყო, დაახლოებით, 25 მილიონი დოლარი და პირობითად რომ ვთქვათ, სახლის სახურავიდან შენება დაიწყეს. ანუ, გახსნეს საფონდო ბირჟა, შემოიღეს ფასიანი ქაღალდების აღრიცხვიანობის რეგულაციები, და რეალურად, გამოყოფილი თანხა უკანვე წაიღეს.

**— უკან როგორ წაიღეს?**

— მოგახსენებთ. გამოგზავნილი იყო უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი, მინიმუმ, 150 კაცი, ჩვენი პოტენციალი კი ნაკლებად იყო ჩართული და ფაქტობრივად, გამოყოფილი თანხა თავადვე აითვისეს, რაც საქართველოს როგორც ვალი ისე დაეწერა იმიტომ, რომ ეს იყო სესხი და არა გრანტი. შესაბამისად, მათ ეკონომიკის რეალური სექტორისთვის საინვესტიციო გარემო სულაც არ შეუქმნიათ, არამედ მივიღეთ ბუტაფორიული საფონდო ბირჟა, რომელიც დღეს მკვდარ, ზომბირებულ მდგომარეობაშია, რადგან რეალურად, ფასიანი ქაღალდები არ არსებობს. როგორ შეიძლება ბირჟა შექმნილი იყოს და ვაჭრობაში ფასიანი ქაღალდები არ არსებობდეს?! აქედან გამომდინარე, ის რაც მაშინ საქართველოს რეალურად სჭირდებოდა — საინვესტიციო გარემო, ინვესტიციების დაცვის, სტიმულირების მექანიზმი, რათა ეკონომიკის რეალურ სექტორში უცხოური ინვესტიციები მოზიდულიყო, არ განხორციელდა.

რაც შეეხება დღევანდელ ბიზნეს-სეგმენტს, იგი, აბსოლუტურად, სავალალო მდგომარეობაშია იმიტომ, რომ ერთადერთი წყარო ბიზნესისთვის ფულის მისაღებად, მხოლოდ ბანკი რჩება. მას კი ისეთი ხისტი პირობები აქვს, რომ ბიზნესისთვის ეს ხელმისაწვდომი არაა. ბანკები ბიზნესმენისგან გარანტიებს ითხოვენ, რაც ბიზნესს არ გააჩნია არც ქონებრივი და არც სხვა რაიმე უზრუნველყოფის სახით. შეიძლება იდეაც გააჩნდეს, ბიზნესგეგმაც, მაგრამ თუ გარანტიას არ წარადგენს, ბანკიდან დაფინანსებას ვერ ღებულობს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია.




**— აქედან გამოსავალი რა არის, როგორ განვავითაროდ ბიზნესი და როგორ დავიხსნათ ბანკის მარწუხებისგან?**

— ჩასატარებელია მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმები დაწყებული ბუღალტრული აღრიცხვიანობის სისტემიდან, რომელიც აბსოლუტურად ექვემდებარება რეფორმირებას, დამთავრებული საგადასახადო სისტემით, რომელიც თავიდან ბოლომდე გადასაკეთებელია. ზუსტად აქ უნდა ჩაიდოს ინვესტიციების სტიმულირების გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების მექანიზმები. პლუს ის სახელმწიფო პოტენციალი უნდა იყოს გამოყენებული, რომელიც საქართველოში, ამ ინვესტიციების მოზიდვას, ბიძგს მისცემს. აქ შეგვიძლია აშშ-ს გამოცდილება გამოვიყენოთ, თუ როგორ გამოიყენეს მათ, თავის დროზე, მთავრობის ბერკეტი. იმ პერიოდში აშშ ეკონომიკურად ძალიან წამოიწია წინ იქედან გამომდინარე, რომ სახელმწიფო სალიზინგო კომპანია შექმნა. ეს ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ, შეგვიძლია, სესხი საკმაოდ შეღავათიანი პირობებით ავიღოთ ანუ, გრძელვადიანი იჯარის გამოსყიდვის უფლებით. ასე, შეგვეძლება მთელი საქართველო, თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების მეშვეობით, ავაღორძინოთ.

**— ხელს რა გვიშლის, რატომ არის ეს ჩვენთვის მიუწვდომელი?**

— გეტყვით, თუ რატომ არ არის ეს შესაძლებელი — ჯერ ერთი, კანონმდებლობა არ უწყობს ხელს, მეორეც — საგადასახადო სისტემა ისე მორგებული არ არის, რომ ამის სტიმულირება მოხდეს, არ არსებობს გარანტიები. სახელმწიფო სწორედ, გარანტიების სახით უნდა გამოვიდეს. ამერიკელები ძალიან ჭკვიანურად მოიქცნენ, როცა ჯერ სახელმწიფო სალიზინგო კომპანია შექმნეს, მათ შორის, სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია. აქ, გარკვეულწილად, წარმოდგენილი იყო სახელმწიფო გარანტიები და ის ბიზნეს-სტრუქტურები შეირჩა, რომელთაც კვალიფიციური ბიზნეს-გეგმა წარადგინეს და ა.შ. ასე, ეს სტრუქტურები განვიტარდა, დანადგარების გამოსყიდვაც მოახერხეს და ბოლოს ეს ყველაფერი საკუთრებაში დარჩათ. აშშ და, მათ შორის, ევროპაც სწორედ, ასე განვითარდა. მერე ძალიან მარტივი რამ გააკეთეს — ამის პრივატიზება. რეალურად, 100%-იანი აქციების პაკეტი, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, უბრალოდ, ამ ბიზნეს-სტრუქტურებზე გაყიდეს, ანუ, იგი ჩამოყალიბებულ, აგებულ სახალხო ბიზნეს-სტრუქტურად აქციეს. ზუსტად ასევე მოიქცა ბულგარეთიც. მათ შექმნეს სახელმწიფო სალიზინგო კომპანია „ბულგარ-ლიზინგი", ამის პრივატიზირება მოახდინეს და იგი თავისი გარანტიებით მძლავრ ბიზნეს-სტრუქტურად — სააქციო საზოგადოებად აქციეს. იგივე გაკეთდა უნგრეთში, ჩეხეთში. ჩვენები აქამდე ვერ მივიდნენ. აქ კი ასეთი მარაზმები მესმის: საქართველოში მულტი-სავალუტო სისტემა შემოვიღოთ, ლარი სულ არ გვჭირდებაო. ეს პირდაპირი კრახია. ასეთი განცხადებების გაკეთება, სხვათა შორის, ძალიან სახიფათოა. როცა სამთავრობო სტრუქტურებში ასეთი სახის განცხადებები კეთდება, უკვე პანიკა ითესება. ეს მავნებლობაა, რამაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი გამოიღოს. აქ, ადრე, USAID-ის და სავალუტო ფონდის ექსპერტები ჩამოვიდნენ და თქვეს, ყველაფერი ვიცითო. ერთი წლის მერე, განაცხადეს ვერაფერს ვგებულობთ აქ რა ხდებაო. სამი წლის მერე თქვეს — ახლა ვხვდებით, რომ აქ, მინიმუმ ხუთი წელია საჭირო, რათა სიტუაციაში გავერკვეთო. პირდაპირ ნაჯახით მიდგომა არ შეიძლება. ჩვენთან ინტელექტუალური პოტენციალი გამოუყენებელია, უნდა შეიქმნას ბიზნეს-რეფორმატორთა ჯგუფი. მთავრობის მხრიდან კომუნიკაციაა საჭირო, რათა ეს პოტენციალი გამოიყენონ როგორიც, მაგალითად, ლია ელიავა და სხვებია. გვყავს ხალხი, რომელთაც რეფორმების პროგრამების შემუშავება შეუძლია. შემიძლია რეფორმების პროგრამა გავაკეთო, მაგრამ მთავრობის მხრიდან კომუნიკაციას, ნებას და სურვილს ვერ ვხედავ, ამიტომ, ყოველგვარი მოტივაცია მეკარგება. ამის გაკეთება — საკუთარ ქვეყანაში ინვესტირება, პროდუქტიული დაფინანსება იქნებოდა. ფიროსმანის ნახატის ყიდვა კარგია, გენიალურია, სიტყვები არ მყოფნის რამხელა ქველმოქმედებაა, პარტიორული, ეროვნული ჟესტია, რაზეც თვალის დახუჭვა უმადურობა იქნებოდა, მაგრამ თუ შეგიძლია ინტელექტუალური პოტენციალი დააფინანსო, რომელიც სწორედ შენი ქვეყნის განვითარე-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბას მოხმარდება, დააფინანსე, შე დალოცვილო, ამას ხომ დიდი ფინანსები არ სჭირდება. მიეცი ექსპერტებს ხელფასი, რომლებიც, ჩემი ჩათვლით, მართლა პატრიოტი ხალხია და დღეს უმუშევარნი არიან. პატრიოტიზმია, მინიმალურ პირობებში, ეცადო შენი ქვეყნისთვის რაღაც შექმნა, რათა მისი გადაგვარება არ მოხდეს. გადაგვარება კი სიღარიბისგან იწყება. ამიტომაც დგანან 12-14 წლის გოგოები პანელზე, ამიტომაც მათხოვრობენ, პერსპექტიული ახალგაზრდები თავს იკლავენ, იშლება ოჯახები და ა.შ. ის წყარო, ის ბირთვი უნდა დააფინანსო, რომელიც მერე შედეგს მოგცემს. სავალალო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისთვის, სესხებში ჩამხრჩვალი ხალიხსთვის ერთადერთი გამოსავალი სამუშაო ადგილების შექმნაა, რისთვისაც ეკონომიკური რეფორმები და ჭკვიანი, კომპეტენტური, პატრიოტი ხალხია საჭირო. აი, რა უნდა ფინანსდებოდეს.

**— დასაწყისში ახსენეთ, სავალუტო ფონდი ჩვენს პრიორიტეტებზე შეგნებულად ხუჭავს თვალსო. ბუნებრივია, მათ ჩვენი განვითარებული ეკონომიკა არ სჭირდებათ.**

— ეს ძალიან მარტივი სქემაა. სავალუტო ფონდი არის ინსტრუმენტი, მასში შედის როგორც ამერიკა, ისე ევროპა. აქ, პირდაპირ ამერიკის, ევროპის, ევროსაბჭოს ინტერესებია, რათა გასაღების ბაზრები უფრო გაფართოვდეს. ანუ თავიანთი პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები. რეალურად, როგორ ფიქრობთ, სავალუტო ფონდი დაინტერესებული იქნება, რომ აქ საექსპორტო პოტენციალი შეიქმნას, რომელიც ევროპის და ამერიკის ისედაც გაჯერებულ ბაზარზე გავა? — რასაკვირველია, არა. მათ აწყობთ, რომ საქართველოს ბაზარი თავიანთი პროდუქციის გასაღებისთვის პლაცდარმი იყოს. მაგალითისთვის ბალტიისპირეთი ავიღოთ. სავალუტო ფონდი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ლატვიაში ფერმერებს სპეციალურად თანხას უხდიან იმისთვის, რომ მათ თავიანთი რძე გადაღვარონ, რათა მეცხოველეობა არ განვითარდეს. ეს პირდაპირ, ევროპულ ნაწარმს, პროდუქციას ურტყამს. ამას აკეთებენ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ევროსაბჭოს წევრია. წარმოიდგინეთ, სხვა ქვეყნებთან მიმართებაში როგორ იქნებიან?! აქედან გამომდინარე, მათი ინტერესია განვითარდეს იმპორტი და საექსპორტო პოტენციალი შემცირდეს, ან ისეთი ექსპორტი იყოს, რომელიც ევროპულ და ამერიკულ ბაზარს მაინცდამაინც დიდ საფრთხეს არ უქმნის. აქედან გამომდინარე, არსებობს მთავრობასთან პირდაპირი შეთანხმება — ჩვენ, დაგიფინანსებთ სამთავრობო პროგრამებს, ე.წ. ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ე.წ. სამთავრობო რეფორმებს, მოგცემთ ფულს, შეგიძლიათ ხარჯოთ, არ გავაკონტროლებთ, შეგიძლიათ ამ ნამცხვრის ნაჭერი გადაუგდოთ იმ ბიზნეს-სტრუქტურებს, რომლებიც თქვენთან დაახლოებულნი არიან (ეს, ძირითადად, მონოპოლიური სტრუქტურებია), მოაგებინეთ ტენდერები და გაიმაგრეთ საარჩევნო პოზიციები, მაგრამ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე არც იფიქროთ, ამას შეეშვითო. მთავრობაც ორ ცეცხლს შუაა — თან მათი პირობების შესრულება უწევს, თან ეშინია მოსახლეობა არ აუჯანყდეს. ამიტომ, მოსაჩვენებლად ვითომდა რაღაც მოქმედებები, ინიციატივები ხდება, რომელიც რეალურად არაფერს რგებს.

**— მოჩვენებითი პროგრამები ახსენეთ. ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის რეფორმა დაიწყო, რაც სავალუტო ფონდის ინტერესში არ შედის. როგორ ფიქრობთ, ამის გამო, სავალუტო ფონდმა, ქადაგიძის ხელით, მთავრობის დასჯა ხომ არ გადაწყვიტა?**

— ,,ეროვნული ბანკი“ არაკომპეტენტურად მოიქცა, ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით, სავალუტო კურსთან დაკავშირებით არ გადაიდგა დროული ნაბიჯები, თუმცა, რეალურად, ეს შედეგი მთავრობის უმოქმედობამაც მოიტანა. როგორ შეიძლება საქართველოსნაირი ქვეყანა, სავალუტო ნაკადებთან დაკავშირებით, აქცენტს ტურიზმზე აკეთებდეს. კი, ეს მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ მთავარი აქცენტის ამაზე გაკეთება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ეს შეცდომაა. ვალუტის გადინებამ ისედაც შესუსტებულ ლარს დაარტყა, ,,ეროვნული ბანკი“ თავს ზემოთ არ ახტა, უბრალოდ, იდგა, უყურებდა და იღიმებოდა იმაზე, რაც ხდებოდა.



**— რეალურად, რის ხარჯზე დასტაბილურდა კურსი?**

— პირდაპირ გეტყვით, ლარის გამყარების ეკონომიკური წინაპირობები, არ არსებობს. რამ გამოიწვია ლარის გამყარება? — ეს შეიძლება ყოფილიყო რაღაც სავალუტო ნაკადი ან კომერციული ბანკების მიმართ, მთავრობის მხრიდან, თითის დაქნევა. კომერციული ბანკები, მთავრობის მხრიდან, მართვადები არიან. მათ ბანკებს თითქოს არაპროფილური აქტივები და საქმიანობა შეუზღუდეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ალბათ, მთავრობამ თითი დაუქნია, დოლარის მიმართ თქვენი მადა ცოტა შეამცირეთო. ფაქტი ფაქტად რჩება, ფუნდამენტალური წინაპირობები არ არსებობს. რასაკვირველია. ბიუჯეტის სეკვესტრი ყოველთვის ნიშნავს იმას, რომ რაღაც მიმართულებებით დაფინანსება წყდება, რაც გამოსავალი არაა. ეს ეკონომიკის სტაგნაციის მაჩვენებელია. ვერც ქამრების შემოჭერას ვხედავ. თუ ევროპაში შესვლა გვინდა, პირველ რიგში, მენტალურად უნდა შევიცვალოთ, ანუ თანამდებობა და ჩინოვნიკის პოზიცია დიდ შემოსავლებთან და კომფორტთან არ უნდა იყოს გაიგივებული. უცხოეთში პრემიერ-მინისტრი ველოსიპედით დადის. მენტალურად უნდა შევიცვალოთ. **მთავრობა ჯიუტად ცდილობს ეკონომიკური სიტუაცია იგივე მეთოდებით შეცვალოს რამაც კრიზისამდე მოგვიყვანა. ეს შეცდომაა.** აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა, მიდგომა, სტერეოტიპების დანგრევაა საჭირო. სირცხვილია, როგორ შეიძლება სამი მილიონი ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობდეს.

**— ბატონო ვახტანგ, სავალუტო ფონდიდან თავს ასე ადვილად ვერ დავიხსნით. რა გამოსავალს ხედავთ?**

— დიახ, უცებ ვერ დავიხსნით თავს იმიტომ, რომ უზარმაზარი ვალი გვაქვს. გამოსავალი ისაა, რომ, პირველ რიგში, ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყარო გაჩნდეს, ანუ ესაა საინვესტიციო გარემოს შექმნა. ეს თუ მოხდება საბანკო სესხებზე დამოკიდებულება უკვე ნაკლები იქნება. ასევე, თუ ეკონომიკას განვავითარებთ, შემოსავლები გაიზრდება, რისი ნაწილიც შეიძლება ზუსტად იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მივმართოთ. ამ შემთხვევაში ჩანაცვლება ნელ-ნელა მოხდება, ეკონომიკის რეალური სექტორიც განვითარდება და სავალუტო ფონდის წნეხისგან, უაზრო რეკომენდაციებისგან ნელ-ნელა თავს დავიძვრენთ. ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა, მაგრამ ამისკენ უნდა წავიდეთ, სხვა გამოსავალი არ არსებობს. სხვა შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, ეს იქნება უბრალოდ ტერიტორია ქართველების გარეშე, ჩანაცვლება სხვა ეროვნების ხალხით მოხდება და გურჯების ისტორია ამით დასრულდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## ირაკლი ვაშაყმაძე

# დაკარგული თიკანი

*საქართველოვ, ულრან ტყეში*
*დაკარგულო თიკანო!*
*გურამ პეტრიაშვილი*

საქართველო დამეკარგა...
და დავეძებ ქართველს,
ილორსა და აჩაბეთში
სანთელს ველარ ვანთებ.

დამეკარგა თიკანი და...
ყვავი კორტნის არწივს,
ზეციერის წმინდა ცრემლი
იმერ-ამერს აწვიმს.

ალარ ისმის იავნანა,
დედის ძუძუ გაშრა,
მოქვითინე ღვთისმშობელმა
გული დამიშაშრა.

იფერფლება, ინაცრება
ჟამი ქორონიკონის,
საქართველოს — უფლის თიკანს
მაცხოვარი იპოვის.

კამანსა და... ბერულაში
სანთელს ველარ ვანთებ,
საქართველო დამეკარგა
და.. დავეძებ ქართველს.

**5.05. 2015 წელი**

## ხომ არ მოგატყუებთ, ცოცხალი ვარ, კაცო, ცოცხალი!



ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მწერალი **გურამ პეტრიაშვილი** სტიქიას ემსხვერპლა. ჩვენ დავუკავშირდით გურამ პეტრიაშვილს საკუთარი მობილური ტელეფონის ნომერზე.

**— ცოცხალი ხართ, ბატონო გურამ? ინფორმცაიები გავრცელდა, სტიქიას ემსხვერპლაო.**

— ყვითელ პრესას სჭირდება სკანდალი. ესენი რომ ნორმალურები იყვნენ, დამირეკავდნენ და გაიგებდნენ სიმართლეს. მაგრამ ურჩევნიათ დაწერონ — გურამი მოკვდაო.

ნაციონალები ავრცელებენ ასეთ ცნობებს, მე მაგათ უკვე ყურადღებას ალარ ვაქცევ.

**— სად ხართ, როგორ ხართ?**

— მე ვარ სახლში, ვწერ ზღაპრებს და ლექსებს. თქვენთანაც ვაპირებ მოვიდე და ინტერვიუ მოგცეთ. ძალიან ბევრი სალაპარაკო დამიგროვდა.

**— დიდხანს უნდა იცოცხლოთ, ბატონო გურამ და კარგად უნდა იყოთ.**

— შევეცდები, კარგად ვიყო *(იცინის.)*. ყველა რომ მოვატყუო, თქვენ როგორ მოგატყუოთ, ამიტომ გეტყვით სიმართლეს — ცოცხალი ვარ!

**ირანდა კალანდაძე**

## ლადო ბოჭაძე:

# ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო მოდელი მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს

**საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანა ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უკვე სერიოზულად დააყენეს ხელისუფლების წინაშე. მათგან პასუხიც მიიღეს, თუმცა, ეს პასუხი ყველასთვის მისაღები არ აღმოჩნდა და გარკვეულწილად ზოგიერთი პარტიისა თუ წარმომადგენლის უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხისათვის გაურკვეველი დარჩა საკითხის ძირითადი არსი. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელი ბატონი ლადო ბოჭაძე.**

**— ბატონო ლადო, 2020 წლისათვის საარჩევნო კანონში ძირითადი ცვლილებების გადატანამ, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობა გამოიწვია მოსახლეობაში, გთხოვთ განმარტოთ, რა პირობებზე დათანხმდა ოპოზიციას ხელისუფლება და რომელი ცვლილება მოითხოვს 2020 წლის არჩევნებისათვის მზადებას?**

— პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ოპოზიციის მოთხოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით ნაწილობრივ გაითვალისწინა ხელისუფლებამ, რადგანაც თანხმდება ის საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ის **მოდელი, რომელიც ამჯერად წარმოადგინეს ე. წ. ოპოზიციურმა პარტიებმა თუ სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებმა, პრაქტიკულად არ არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში,** და ძალიან რთული სისტემაა. საერთო ჯამში თუ ქვეყანა გადავა პროპორციულ სისტემაზე მთლიანად რეგიონალურ პროპორციულ სიებზე, ანუ ასორმოცდაათივე მანდატი გადანაწილდება რეგიონებისა და მხარეების მიხედვით — ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნება. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი მოდელი საკმაოდ ცუდია, უბრალოდ მათ სურდათ ხელისუფლების კუთხეში მიყენება და ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება და მეტი არაფერი, თანაბრობის პრინციპი უნდა დავიცვათ, 75 მანდატი თანაბრად უნდა გადანაწილდეს. თუ ავიღებთ, მაგალითად, 47 ათას ამომრჩეველზე ერთი დეპუტატის განაწილებას, მაგ., რაჭა-ლეჩხუმს სულ არ ეყოლება თავისი წარმომადგენელი და კიდევ სხვა ბევრ რეგიონს. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ის გახლავთ, რომ დაკარგული ხმების რაოდენობა იქნება ძალიან ბევრი რეგიონალური პრინციპის მიხედვით. ბუნებრივი ბარიერი მანდატის განაწილების, იქნება დიდი. ავიღოთ, მაგ., კახეთი, სადაც დაიწერება ერთიანი სია, თუ იქ 15 პროცენტამდე ვერ აიღებს დეპუტატობის კანდიდატი ხმების რაოდენობას, 10-11 პროცენტი დაიკარგება. სწორედ ამიტომ არის, რომ ოპოზიცია ითხოვს ნაწილობრივ ერთიან სიას და ნაწილობრივ სამხარეო **სიას, იმიტომ, რომ თუ მთლიანად სამხარეო სიები იქნა, ეს არ აწყობს ოპოზიციას არც 2016 წელს და არც 2020 წელს.** ამიტომ ოპოზიცია ახლა თავად არის რთულ მდგომარეობაში იმ გაგებით, რომ ითხოვს ისეთი სისტემით მუშაობას, რომლის განხორციელება შეუძლებელია და მეორეს მხრივ სურთ ისეთი მოდელი, რომელიც შეიძლება ყველასათვის მომგებიანი იყოს, მაგრამ ამას არ თანხმდება ხელისუფლება, ვინაიდან ის ამბობს, რომ დათანხმდებიან პროპორციულ სიებს და რეგიონალურ პრინციპს, როდესაც 150 მანდატი გადანაწილდება სამხარეო რეგიონალური სიით, ოღონდ ეს იქნება მომავალ არჩევნებზე. ამაზე განმარტება ხელისუფლებამ უკვე გააკეთა თუ რატომ იქცევა ასე, იმიტომ, რომ მათი უმრავლესობის უმრავლესობა არიან მაჟორიტარები. ამ ყველაფერს განახორციელებენ იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო უმცირესობა მათ მხარს დაუჭერს. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს პროცესი მოხდეს აუცილებლად შემოდგომაზე, როგორც გათვალისწინებულია კანონმდებლობით თუ არადა ეს ცვლილებები 2020 წელსაც ვერ განხორციელდება.



**— ჩვენთან გასული წლის მერის არჩევნებზე ჩატარდა მეორე ტური, ბევრ ქვეყანაში მეორე ტური აუცილებელიც არის მათი საარჩევნო კანონით, რათა ლიდერი გამოიკვეთოს, აქ პირიქით მოხდა, მეორე ტურზე ამომრჩეველთა 40 პროცენტი თუ მოვიდა მერის არჩევნებზე, ანუ ხმები დაიკარგა, ამდენი ცვლილებებით ხომ არ ვკარგავთ ამომრჩევლებს?**




— მაგალითად, საფრანგეთში არსებობს ორტურიანი სისტემა, იქ ამომრჩეველი ორჯერ მიდის არჩევნებზე, პირველ ტურს აქვს გარკვეული ზღვარი და მეორეში გადადის ის, ვინც ამ ზღვარს გადალახავს. ვფიქრობ, ეს სისტემა საუკეთესოა და ამართლებს.

**— როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანაა საჭირო, არასოდეს ითვალისწინებენ კანონმდებლები ამომრჩევლის უფლებების დაცვას, კერძოდ, ვგულისხმობ იმას, რომ ხშირად რომელიმე დეპუტატს ამომრჩევლები ხმას აძლევენ რომელიმე კონკრეტულ პარტიაში ყოფნის გამო, რადგანაც ამომრჩევლისათვის ამ პარტიის პროგრამა მისაღებია, მერე კი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ უკვე არჩეული ეს დეპუტატი, სხვა სრულიად საწინააღმდეგო იდეოლოგიისა და პროგრამის მქონე პარტიაში გადადის, ამ შემთხვევაში ხომ ირღვევა აქ ამომრჩევლის უფლება? რატომ არ აქვს ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევის საშუალება?**

— ეს საკითხი კონსტიტუციურად უნდა დარეგულირდეს, მათი გაწვევა კონსტიტუციურად არა გვაქვს, ყველაზე მეტად ეს მაჟორიტარ დეპუტატებს ეხებათ, თუ ისინი ხალხისთვის არაფერს გააკეთებენ, უნდა იყოს მათი გაწვევის კანონი, რაც სამწუხაროდ დღეს არ გვაქვს, არც უცხოეთში არ არის ეს კანონი მიღებული. მორალის დონეზე თუ ვიტყვით, სხვა პარტიამ არ უნდა მიიღოს ერთი პარტიიდან გადასული ადამიანი თავისთან, ის უკვე არასაიმედოა, მას პოლიტიკური მომავალი არ აქვს. სამწუხაროდ, მათი დასჯის მექანიზმი არ არსებობს. ამიტომაც არის, რომ **20 წელია ერთი და იგივე პოლიტიკოსები ტრიალებენ ხელისუფლებაში, რომელი ხელისუფალიც არ უნდა მოვიდეს, სულ პარლამენტში არიან და ტივტივებენ პოლიტიკურ სიბრტყეზე**, ეს სამწუხაროა, თუმცა, უცნაურია, ასეთ მაჟორიტარებს რატომ ირჩევენ თავად ამომრჩევლები? **დეპუტატის გამოწვევის მექანიზმი დღეს არის შემდეგი არჩევნები, თუ ვინმეს არ სურს მის მიერ არჩეული არასტაბილური დეპუტატი, ის აღარ უნდა აირჩიონ შემდეგ არჩევნებზე** და ამ გზით ჩამოაცილონ ის პარტიიდან პარტიაში გადასვლას, ეს ყველაზე რეალური გამოსავალია დღეს. ერთიც უნდა ითქვას, 2016 წლის არჩევნებისათვის მოხდება მაჟორიტარული ოლქების გათანაბრება, სადაც იქნება 73 მანდატი, მაგრამ ხალხის თანაბარი რაოდენობა აირჩევს დეპუტატს ანუ 47 ათასი ამომრჩეველი, რაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილებას, შეიძლება ის კიდევ უფრო მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდეს, თუ ამ ყველაფერს ოპოზიცია არ გაითვალისწინებს და მოლაპარაკების პროცესში არ ჩაერთვება.

დასკვნის სახით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლებამ „მოიგო" ეს პარტია, ვთანხმდები, რომ მაჟორიტარული სისტემა შესაცვლელია და აქამდე ასეთი ნაბიჯი არავის არ გადაუდგამს მათ შორის იმ ნაციონალებს, რომლებიც დღეს ასე დაჟინებით მოითხოვენ **საარჩევნო გარემოს შეცვლას, მაგრამ თუ არ მოხდა ამ შემოთავაზებაზე დათანხმება,** მჯერა, რომ მომავალ 2020 წელსაც ვერ მოახერხებენ იმ ძირეული და მთავარი ცვლილებების მოხდენას საარჩევნო კანონში, რომელსაც დღეს მოითხოვენ.

რაც შეეხება ბოიკოტირების რესურსს და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს, ვნახეთ, რომ პარლამენტის ქცევიდან გამომდინარე მათ უკვე ამოწურეს ეს რესურსი, ერთ დღეს ვერ შეიკრიბა პარლამენტი იმიტომ, რომ არ იყო ქვორუმი, მაგრამ მერე უკვე ხელისუფლებამ მოახერხა მობილიზება. ასე რომ ასეთი საგანგებო რეჟიმით ისინი ყოველთვის შეძლებენ მუშაობას, თუმცა ეს მეთოდი მათ არ გამოადგებათ. რაც შეეხება აქციების გამართვას და ხალხის ქუჩაში გამოყვანას, არა მგონია, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებების ოპოზიციურ ვარიანტს ხალხის დიდმა ნაწილმა დაუჭიროს მხარი და ქუჩაში გამოვიდნენ იმდენად, რომ მერე ეს ყველაფერი უფრო ძლიერ პროტესტში გადაიზარდოს.

ხელისუფლების უმთავრესი პირობა, რომ ისინი თანახმანი არიან მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის გაითვალისწინონ და გადავიდნენ პროპორციულ სისტემაზე, მისაღებია.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „კაცი-ლეგენდა, კაცი-ნიჭი“ სააკაშვილის ჭურში დალექილი ჩვეულებრივი თხლე აღმოჩნდა...

ერთი კვირა გავიდა რაც ვითომ ნაძებარ-საძებარმა პირმა, მისი პოლიტ-უფროსის მსგავსად „მსოფლიო ბომჟმა“ ზურაბ ადეიშვილმა „რუსთავი-2-ის“ ეთერში პირი აცმაცუნა.

რეალურად, რა მისცა ადეიშვილთან ჩაწერილმა ინტერვიუმ გონიერ მაყურებელს?

მიცემით — არაფერი, მხოლოდ დაიმსხვრა ლეგენდა ზურაბ ადეიშვილზე, რომ ის არის ნიჭიერიდან დაწყებული, გენიოსობაში გარდამავალი წინ და უკან შორსმჭვრეტელი იდუმალება...

იდუმალება და გენია კი არა, ვიზუალურად, ტელეეკრანზე ჩანდა სავარძელში უხერხულად ჩაჩუტული, შარვალ-კოსტუმსა და ზეგაპრიალებულ ფეხსაცმელებში ასევე უხერხულად გამოწყობილი ახალგაზრდა მოხუცი პრიმიტიული აზროვნებით; მიმიკა-ჟესტიკულაციით — ფსიქოლოგია-ფსიქიატრიის მეცნიერებების აბსოლუტურად უცოდინარებისთვისაც კი შესამჩნევი გამოვლინებებით: დაზიანებული ფსიქიკით, აქედან გამომდინარე, აცეცებული თვალებით, დანიშნულების არმქონე კიდურებით, მთრთოლავი, მიმქრალი ხმითა და ჩამოუყალიბებელი ბგრებით; მეტყველებით — ულარიბესი ლექსიკითა და გაზეპირებული, უმარტივესი ფრაზებით, რომელიც აზროვნებას არ მოითხოვს...

განა არ არსებობენ ასეთი „გასაჭირის“ მქონე ადამიანები, მაგრამ მათ, არც ერთ ქვეყანაში მინისტრებად არ ნიშნავენ, შესაბამისად, არც განხილვის საგანი ხდებიან ამ კუთხით და მათზე სახელმწიფო გარკვეული პროგრამების ფარგლებში ზრუნავს... და სხვათაშორის, იგივე სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ ამგვარი ფსიქიკის ადამიანი უყურადღებოდ დატოვოს, რადგან არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანი ძალზე საშიშია სულ მცირედი ძალაუფლების მოპოვების შემთხვევაშიც კი, თუნდაც ეს მხოლოდ რომელიმე საბავშო თამაშობა იყოს...

აი, ასეთ ინდივიდს ებარა, ფაქტობრივად, ქვეყნის ყველა მოქალაქის ბედ-იღბალი, უბრალოდ, გააჩნია ვინ მოხვდებოდა მის თვალსაწიერში... ზურაბ ადეიშვილი კრებსითი სახელია მთელი იმ სისტემის, რაც ბუნებრივად შემოიკრიბა მის (მათ) გარშემო.

ვიღაცებს აქამდე ეგონათ, ადეიშვილი იმიტომ არ ჩნდებოდა მედიასა და საზოგადოებაში, რომ მიუწვდომელ-შეუწვდომელი იყო და დიდ ლუკმად ჰქონდა გადაყლაპული ადეიშვილის, ხან ლავრენტი ბერიობა, ხან გებელსობა. ახლა თვალსაჩინო გახდა, რა წრუწუნაც ბრძანებულა „გენიოსი“ ადეიშვილი, თუმცა წრუწუნა რა შუაშია, ავადმყოფი ვირთხასავით მოცახცახე და სიბნელის მაძიებელი ავკაცი... რა ბერია და რა გებელსი! — თავის საქმეში მართლაც ორი ნიჭიერი კაცი... ფაქტობრივად, ბოლომდე და სწორად ვერ გათვალეს „გაღმა-გამოღმა“ რა ეფექტსაც მოახდენდა საზოგადოებაზე აქამდე „მითიურ“ საბურველში გახვეული წრწუნ-ცახეს ცინობერის გამოჩენა...

როგორც გიორგი გაბუნიამ განაცხადა, ინტერვიუზე ადეიშვილი მხოლოდ იმ პირობით დათანხმებულა, რომ ინტერვიუ კითხვა-პასუხის ფორმატის უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი შეკამათებისა და საუბრის შეწყვეტინების გარეშე და ტელეკომპანია ამ კომპრომისზე იმიტომ წასულა, რომ ულირდათ, რადგან ეს იყო ადამიანი, რომელიც ტელეკამერებთან ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კი არ ჩნდებოდა. სხვა რა უნდა ეთქვა გაბუნიას (ან გაბუნიას ვინ ეკითხება რა თქვას), თორემ ფაქტი სახეზე იყო, ზეავადმყოფური კომპლექსების ბუკეტ ადეიშვილისთვის მამის მხრიდან ბაბუის გვარი რომ ეკითხა უცბად გაბუნიას, იმას ვერ უპასუხებდა „გენია“... ამდენად, სრულებით არ არის საინტერესო, მართლა აპირებდა თუ არ აპირებდა ადეიშვილი პოლიტიკიდან წასვლას მრავალჯერ და მართლა ფიქრობდა თუ არა, რომ მისი ამგვარი ნაბიჯი შესაძლოა გუნდში გაქცევის მცდელობად აღქმულიყო და მხოლოდ ამიტომ იკავებდა თავს; მითუფრო, აბსულუტურად უინტერესოა მისი ბოდვა მის „ზემდგომზე“ და საქართველოსთვის სასიკეთო განზრახვებზე...

ზურაბ ადეიშვილის ფრაზაა ინტერვიუდან: „საბოლოო ჯამში საზოგადოებამ ვერ მიიღო პასუხი რა დონის სისტემურ პრობლემას ჰქონდა ადგილი ციხეში და აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ეს იყო პოლიტიკური მანიპულაციის ერთ-ერთი იარაღი.“

„პრობლემა“ ჰქვია იმას რაც ციხეებში ხდებოდა? „შეცდომა“ ჰქვია იმას, რასაც ციხეებში სჩადიოდნენ „ბელადების“ მსგავსად ფსიქიური პრობლემების მქონე პატარ-პატარა ადეიშვილები და სააკაშვილები? „პრობლემა“, „შეცდომა“ და „გადაცდომა“ ჰქვია როცა ერთი ერთზე, სავალდებულო გაიდლაინებით იგივე მოქმედებებს იმეორებდა პირთა ფართო ჯგუფი საქართველოს ციხეებში, რაც „ლუციფერის ეფექტის“ სახელითაა ცნობილი და სწორედ მისი დამკვეთი აშშ იყენებდა თავის გასაიდუმლოებულ თუ ნახევრად გასაიდუმლოებულ ციხეებში ადამიანების „მოცახცახე ცხოველად“ გადასაქცევად? — არა, ბატონებო, ეს არის წინასწარ განზრახული დანაშაულებრივი ქმედება და ამის თანმდევი იყო პატიმრების გარდაცვალების, რეალურად მოკვდინების საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები, თუნდაც მხოლოდ ოფიციალური და ათასობით დაინვალიდებული პატიმარი!

სწორედაც რომ სისტემური დანაშაული ხდებოდა და სწორედაც რომ სისტემა უნდა გასამართლებულიყო, მაგრამ... დანაშაულებრივი სისტემის აღმასრულებლებლებლები დღეს ტელეეკრანებიდან კიდევ რაღაცებს მიედმოედებიან და სხვა ქვეყნებში თანამდებობებზე ინიშნებიან!...

ზურაბ ადეიშვილის ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული სიტყვები რა მოსატანია, მაგრამ თავისდაუნებურად მაინც თქვა რაღაც, მნიშვნელოვანი: — „ფაბრიკაცია შეიძლება დაერქვას სწორედ იმ საქმეს, რომელიც ჩემს წინააღმდეგ არის აღძრული... რაც შეეხება ამ საქმის ფაბრიკაციას, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ წამებაში და არაჰუმანურ მოპყრობაში ბრალდებულ ადამიანს ჰქონდეს საშუალება, სამ ქვეყანაში იყოს მთავრობის კონსულტანტი; მას ჰქონდეს საშუალება, შეხვდეს ძალიან ბევრ სამთავრობო დონის წარმომადგენლებს, მათთან ერთად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოამზადოს ძალიან ბევრი პროექტი, მათ შორის ადამიანების უფლებების სფეროში; ასევე, ინტერპოლმა მიიღო გადაწყვეტილება ჩემი ძებნიდან მოხსნის შესახებ, ამიტომ, ყველასთვის ძალიან ცალსახაა, რომ ეს საქმე არის პოლიტიკური მანიპულაცია და არა რეალურ მტკიცებულებაზე დაფუძნებული...“

აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი! მართლაცდა, რატომ, როგორ და ვის მიერ უნდა ჰქონდეს „მწვანე შუქი“ ანთებული არაერთ დანაშაულში ეჭვმიტანილ და ძებნილ პირებს? განა ძნელი მისახვედრი და დასანახია? — არა!

ამიტომაც ვიღებთ უცნაურ ბრალდებებს — ბაჩანა ახალიას, ფაქტობრივად, ლამის ვაშლის გათლა ედება ბრალად, არადა, მოწმე მოწმეზე აცხადებს, რა დანაშაულებებს სჩადიოდა... ასევე მცირედს და ნაკლებად მძიმეს ედავებიან გიგი უგულავას თუ ივანე მერაბიშვილს, არადა, აგერ აქამდე ეწირებიან მათ „სისტემას“ უდანაშაულო (თუნდ — დამნაშავე) ადამიანები......

ზურაბ ადეიშვილი, კაცმა სიმართლე რომ თქვას, რატომ უნდა მოეძებნა (რა საძებარი იყო, მიხეილ სააკაშვილისა არ იყოს) თუ დაეკავებინა ინტერპოლს, როცა ისეთ რამეს ედავებოდნენ, რასთანაც, როგორც იუსტიციის მინისტრს, ფაქტობრივად, პირადი და უშუალო შეხება არ ჰქონდა — ციხეში ადამიანების უფლებების დარღვევას?

დღეს რაღაცას რომ ქსუტუნებს ადეიშვილი „ჩატეხილი ფანჯრის პრინციპზე“, ნიუ-იორკის მერის, ჯულიანის ინიციატივა იყო რაც ექსპერიმენტებმა გაამართლაო, ანუ მცირე დანაშაულისთვისთვის დასჯა აგვაცილებს დიდი დანაშაულის ჩადენასო, ასე უნდა გაისუსოს თუნდაც ადვოკატთა კორპუსი?

რას უქვია „ჩატეხილი ფანჯარა“ და ამერიკული ექსპერიმენტები? თუ იმდენი აზროვნების თავი არავის აქვს, რომ ელემენტარული — ის 250 000 ადამიანი გახსენებოდა, რომელიც პირობითი მსჯავრით დადიოდა, ანუ მათ საპროცესო შეთანხმება ჰქონდათ გაფორმებული ადეიშვილის უწყებასთან და საუბარი იყო ათასების გადახდაზე, რომელიც მილიონებად მრგვალდებოდა; ადვოკატებს არ ახსოვთ რა გარიგებებზე იყო საუბარი მათ დასაცავ პირებთან? ადვოკატებს არ ახსოვთ ან არ უნახავთ თავიანთი კლიენტები ციხეში სასტიკად ნაცემები მხოლოდ იმ ერთი მიზეზის გამო, რომ საპროცესო გარიგებაზე უარს ამბობდნენ? პროკურატურის სპეციალური ანგარიში რომ არსებობდა, არც ეს ახსოვს ვინმეს? და სულაც, ზურაბ ადეიშვილის სახელი რომ მხოლოდ იუსტიციის მინისტრის პოსტს არ უკავშირდება (სხვა „წვრილმანი“ თანამდებობები სახსენებელი არ არის), საქართველოს გენერალური პროკურორიც იყო 2004-2008 წლებში, დაავიწყდა ვინმეს?

რა საბრალოა ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც მართლა თვლის, რომ ზურაბ ადეიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი ნიჭიერება „გულწრფელი და გააზრებული“ საუბრით ასევე „ნიჭიერ“ გიორგი გაბუნიასთან...

**გირგი ჩხეიძე**










# შალვა ნათელაშვილი – პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც ქართველი ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა?

ფსიქოლოგიაში ცნობილია ადამიანთა ტიპები, რომლებიც, თუმცა მუდმივად კინკლაობენ, ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ და ერთმანეთი ქვეცნობიერად უყვართ კიდეც.

მე ვერ გეტყვით, რამდენად ფსიქოლოგიურ-ინტიმური სწრაფვა აქვთ ნათელაშვილს და სააკაშვილს ერთმანეთის მიმართ, ან უფრო კონკრეტულად, ნათელაშვილს სააკაშვილის მიმართ, მაგრამ მისი პოლიტიკური ნაბიჯებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, აუხსნელი ძალა აკავშირებს შალვას მიშასთან. ერთ პერიოდში დაიწყეს პოლიტიკური აქტივობა, საკრებულოს თავმჯდომარეობა შალვამ მიშას დაუთმო, მერე მისი „გამოზრდილი კადრები“ სააკაშვილის გუნდში გადაფართხალდებოდნენ ხშირად, ერთმანეთს „ებრძოდნენ“, თუმცა ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენ და ერთმანეთის წისქვილებზე ასხამდნენ წყალს. ახლაც სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასასრულს, შალვა ნათელაშვილის პოლიტიკურ შემოღამებაზეც საუბრობენ და ამბობენ, ესენი პოლიტიკურ ცხოვრებას ერთად დაამთავრებენო...

ამას ჰქვია სიყვარული, რომელიც რაც უნდა დაფარო, ბოლოს მაინც გამომჟღავნდება.

გამომჟღავნდება და ძალიან კარგი.

შალვა ნათელაშვილს სოციალურ ქსელში კლოუნს, მასხარას და ფარჩაკს ეძახიან, მაგრამ ის სულაც არ გახლავთ იმდენად უჭკუო, „დაუნ ვი დიქტეიტე“ თეთრი სახლის წინ სამასხარაოდ რომ წარმოეთქვა.

მიხეილ სააკაშვილს, როგორც ვითომცდა დემოკრატიულ მმართველს, ძალიან სჭირდებოდა ქვეყანაში ოპოზიციის არსებობის დაფიქსირება. ოპოზიციად მოიაზრებოდნენ მისი „ზეობის ჟამს“ „ქრისტიან-დემოკრატები“, „ჩვენ თვითონ“ და ლეიბორისტული პარტია...



MC Natelashvili - Daun Vi Diqteite

ოპოზიციურ პარტიას კი უნდა ეკრიტიკებინა და ელანძღა ხელისუფლება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, და აი, გაშალა პლაკატები და ლეიბორისტული დროშები მამაცმა შალვა ნათელაშვილმა და გამართა 20-კაციანი მიტინგი თეთრი სახლის ფონზე...

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შალვა ნათელაშვილი ამერიკის კონგრესმენებს შეხვდა და მაჟორიტართა ინსტიტუტის გაუქმებაზე ესაუბრა.

სოციალურ ქსელში ლეიბორისტების მხარდამჭერები კი შალვას აქეზებენ: მიდი, შალვა, წამოიყვანე ექსპერტები, მიხედონ აქაურ დაქცეულ მდგომარეობასო, ანუ ერთი კარგი წკეპლა კიდევ ქართველებსო.

ისეთი ჯარისკაცი არ ვარგა, გენერლობაზე რომ არ ოცნებობსო და შალვა ნათელაშვილიც სულ საქართველოს პრეზიდენტობაზე ფიქრობს.

კაცმა რომ თქვას, ერთი გიჟი ხომ გამოვცადეთ – მიშა სააკაშვილი ღლ-ყყ-ყყ სიცილით რომ კროჭინებდა ორი თვის ბავშვივით და მეორე, ემოციების ტყვე, ჰიპერაქტიური ტემპერამენტის მქონეც რომ გვეცადა, ვითომ რა დაშავდებოდა?! იხვეწება ეს ადამიანი ყველა არჩევნების წინ – მანდეთ ქვეყანა. ერთხელ მაინც მანდეთო!

არჩევნები ჯერ მოახლოებული არ არის, მაგრამ იმის გასარკვევად, ახლა მაინც ვანდოთ თუ არ ვანდოთ შალვა ნათელაშვილს საქართველოს ბედი, ვანდოთ თუ არ ვანდოთ, ნათელაშვილის ყოფილ თანაპარტიელებს ვესტუმრეთ. წაიკითხავთ ამ ინტერვიუს და მიხვდებით, არათუ უნდა ანდოთ ქვეყანა, ასეთ კაცს საერთოდ უნდა ერიდოთ.

**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი, ახლა მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი:** „ჩვენში არაფერი არ შეცვლილა, ძველებურად ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ვიბრძვით, ოღონდ წამოვედით პარტიიდან.

დღეს ჩვენ ვმუშაობთ „მემარცხენე ალიანსის“ სახელით და პარტიის სახელწოდებაც პირდაპირ ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიანიშნებს.

დიახ, დავტოვეთ ლეიბორისტული პარტია, მთელმა საორგანიზაციო პოლიტიკურმა კომიტეტმა უარი განვაცხადეთ იქ დარჩენაზე ერთის გარდა, ეს გახლავთ **გიორგი გუგავა**.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შალვა ნათელაშვილმა გამსვლელ სიაში თავისი მეუღლე, ქალბატონი ბელა ალანია შეიყვანა. ჩვენი პარტიის აქტივისტები იყვნენ **ნესტან კირთაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ეთერ კაკულიაც** იყო, ქალბატონი **ადა მარშანიაც**, მაგრამ **ბელა ალანია** არასოდეს ყოფილა პარტიის აქტივისტი და აღვშფოთდით იმით, რომ ის სიის ათეულში მოხვდა. ჩვენი პროტესტის შემდეგ ქალბატონი ბელა სიიდან ამოიღო შალვამ. ჩვენს შორის სიტუაციის დაძაბვა სწორედ აქედან იწყება, ამ ამბის შემდეგ ის სრულიად შეიცვალა ჩვენს მიმართ. მის ქმედებაში უკვე იგრძნობოდა ის, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებდა.

ორიოდე წლის შემდეგ, ანუ 2011 წელს, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში, აღმოჩნდა, რომ შალვა ნათელაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომელსაც ჩვენ მთელი სულით და გულით ვებრძოდით წლების მანძილზე და სხვათა შორის, ამ ბრძოლას დღემდე ვაგრძელებთ.

ისიც გავარკვიეთ, რომ მას „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერის საფასურად საკმაოდ დიდი თანხები აუღია და განუთავსებია ავსტრიის ბანკში. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელთ გვაქვს.

ჩვენ ისიც ვიცით, ვენაში რომელ სასტუმროში, სად, ვის მიერ გადაეცა ეს თანხები შალვა ნათელაშვილს.

როდესაც პოლიტკომიტეტის სხდომა მოვიწვიეთ ამ საკითხებზე, იმ სხდომის ოქმსაც წარმოგიდგენთ, შალვამ არ უარყო, რომ მას ჰქონდა ფული აღებული ვინმე **ანატოლი მოტკინისგან**, რომელიც **ვანო მერაბიშვილის** ბიზნეს-პარტნიორი ყოფილა. შალვამ თქვა: მე კი მომცა ანატოლი მოტკინმა ფული, მაგრამ არ ვიცი, შეიძლება, ის ვანო მერაბიშვილის პარტნიორიც იყოსო. იქვე დასძინა: **ანატოლი მოტკინი** უანგარო კაცია, თუმცა შუამავლობაში 30%-ს ითხოვს და ეს მთელი თანხის 2 მლნ არისო.

ჩვენ გავოგნდით.

30% თუ 2 მლნ იყო, რამდენი ექნებოდა შალვას აღებული.

შემდეგ გავარკვიეთ, რომ ავსტრიის ბანკში ანგარიშებზე დევს უზარმაზარი რაოდენობის თანხა, ოღონდ ქალბატონი **ბელა ალანიას** სახელზე.

**გაირკვა, აგრეთვე, რომ ევროპის სხვა ბანკებშიც ჰქონია მსხვილი ანგარიშები, რის შესახებაც ჩვენ საერთოდ არ ვიყავით საქმის კურსში, მაგრამ, როგორც კი გავიგეთ, რომ ყოველივე ეს მოდიოდა მიხეილ სააკაშვილის ფინანსური არხებიდან, კატეგორიულად გავემიჯნეთ ყველა, გიორგი გუგავას გარდა**.

გიორგი გუგავამ, როცა გაიგო ყოველივე, სასტიკად აღშფოთდა, თუმცა ბოლოს მაინც შალვა ნათელაშვილთან დარჩენა გადაწყვიტა.

რაც შეეხება 2008 წლის არჩევნებს და ბელა ალანიას ყოფნას საპარლამენტო სიაში, როგორც გავიგეთ, ესეც გარიგების ნაწილი ყოფილა და ბელა ალანიას გარდა სიაში მეოთხე ნომრად ვანო მერაბიშვილის ნათესავი და პარტიის დამფინანსებელიც ყოფილა ჩაწერილი.

მერე მაინც მოუწია შალვას მანდატების დაჭრა დემონსტრაციულად და ამას სხვა მიზეზი ჰქონია.

ნაციონალები და შალვა ნათელაშვილი ვერ შეთანხმებულან. მოლაპარაკება ყოფილა და სიაში მეოთხე ნომრად უკვე აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც ვანო მერაბიშვილის ნათესავი ყოფილა და ლეიბორისტული პარტიის დამფინანსებელი. ყოველივე ეს ჩვენს ზურგს უკან ხდებოდა.

მოლაპარაკება ითვალისწინებდა, თურმე, რომ 10 დეპუტატი ყოფილიყო ლეიბორისტული პარტიიდან, მაგრამ გავიდა 6. აქედან ერთი ვანო მერაბიშვილის ნათესავი. ბელა ალანია დარჩა იმ ექვსი ადგილის მიღმა, ატყდა უთანხმოება, რომ მისი მეუღლე ვერ მოხვდებოდა პარლამენტში მიუხედავად იმისა, რომ ამოღებული იყო სიიდან, თუმცა 10 ადამიანზე იყვნენ შეთანხმებულნი.

ამასობაში შალვა ნათელაშვილი გამოვიდა ინიციატივით: გამოვუცხადოთ ბოიკოტი პარლამენტსო და დაჭრა მანდატები პარლამენტის შენობის წინ.

ამ ამბის შემდეგ შალვა რამდენიმეჯერ შეხვდა „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებს და მათ კატეგორიულად მოსთხოვეს შალვას, შესულიყო ლეიბორისტული პარტია პარლამენტში – მანდატების დაჭრის შემდეგაც კი! ამაზე უთანხმოება მოუვიდათ და რადგან ვერ შეთანხმდნენ, „ნაცმოძრაობამ“ დააპატიმრა **კახა ძაგანიას** ძმა და ლეიბორისტული პარტიის ვეტერანი **არჩილ ბენიძე**.

ჩვენ გახლდით ლეიბორისტული პარტიის არა რიგითი წევრები, არამედ ლიდერები. დადიოდა არასასიამოვნო ხმები და მოგვდი-



**სოსო შატბერაშვილი: აბსოლუტურად არ განვიცდით უხერხულობას იმის გამო, რომ ყოფილ თანამებრძოლზე ღიად ვსაუბრობთ, რადგან ის გარიგებაში შევიდა ჩვენი პარტიის და საქართველოს იდეოლოგიურ მტერთან, სისხლისმსმელ ნაციონალებთან.**



საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია
GEORGIAN LABOUR (SHROMIS) PARTY
Parti Labourist (Chromis) Georgien
ЛЕЙБОРИСТСКАЯ ПАРТИЯ (ТРУДА) ГРУЗИИ

Председателю Либерально-Демократической партии Росии
Господину Жириновскому Владимиру Вольфовичу

Уважаемый Владимир Вольфович,

*Пользуюсь предоставленной мне возможностью и от имени Лейбористской (Шромис) Партии Грузии, хочу еще раз засвидетельствовать глубочайшее уважение по отношению к Вашей воистинно патриотической российской политической силе.*
*Лейбористская (Шромис) Партия Грузии полностью разделяет мнение о том, что только истинно настроенные патриотические силы Постсоветского пространства смогут спасти свои государства от экспансии Глобализма в той форме, которая разрушает национальные культуры, национальные экономики и основы традиционных обществ.*

*Для нас является большой честью получить Ваше приглашение для участия в Форуме Патриотических Сил.*
*В связи с неопределенностью развития некоторых политических событий в нашей стране мы затрудняемся принять немедленное конкретное решение.*

*Исходя из вышеизложенного было бы неплохо если бы оргкомитет конференции дал бы нам возможность до конца месяца определиться насчет участия делегации Лейбористской (Шромис) Партии Грузии в указанном мероприятии.*

*В принципе мы очень заинтересованы в участии и непосредственной встрече с Вами и Вашими коллегами в свете будущего конструктивного сотрудничества.*

Председатель партии Ш. Нателашвили Шалва Нателашвили

ოდა ინფორმაციებიც შალვა ნათელაშვილის ნამოქმედარ საქმეებზე, მაგრამ ყველაფერს კატეგორიულად უარვყოფდით, რადგან ვერ ვიჯერებდით, შალვა ნათელაშვილის გარიგებას ედუარდ **შევარდნაძესთან, სააკაშვილთან** ან სხვა ვინმესთან, სანამ ხელში უტყუარი საბუთები არ ჩაგვივარდა.

იყო ჭორები მის კავშირებზე კანონიერ ქურდთან **ტარიელ ონიანთან,** მაგრამ ამის დასაბუთება ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ დარწმუნებით ამ ამბის შესახებ ვერ ვილაპარაკებთ. თუმცა, რაკი მას გარიგება ჰქონია სააკაშვილთან, არ გამოვრიცხავ სხვა შემთხვევებსაც.

**პირდაპირ ვიტყვი: შალვა ნათელაშვილს პოლიტიკა ბიზნესად აქვს გადაქცეული.**

ამ დღეებში ის იმყოფება აშშ-ში და იქ უმტკიცებს ვილაცებს, თითქოს არის პროამერიკელი და პროდასავლელი, მაგრამ ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, წერილები, რომელშიც წერია, როგორ ეხვეწება შალვა ნათელაშვილი რუსეთის ხელმძღვანელობას და ისეთ ოდიოზურ ფიგურასაც კი, როგორიც არის **ვლადიმერ ჟირინოვსკი, იური ლუჟკოვი,** ვინმე **მჟავანაძე,** მოსკოვში ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორი, აქებს და ადიდებს მათ. სთხოვს შეხვედრას და დაფინანსებას.

პარტიას თანხა სჭირდებოდა, მაგრამ გააჩნია ვისგან. მართალია, „ფულს სუნი არ აქვს“, მაგრამ „ბინძური ფული“ არაა საკადრისი. ლეგალური სახით სწორი ორიენტაციის მქონე ბიზნესმენი თუ დაგვაფინანსებს, ამაში ცუდი არაფერია.



**კახა ძაგანია: შალვა ნათელაშვილი დღეს არის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი საქართველოში! თავისი უმანკოების და პატიოსნების დეკლარირების მიუხედავად, ეს ასეა.**

მე, სოსო შატბერაშვილი, თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ: ბიზნესმენებო, დაგვაფინანსეთ კანონის ფარგლებში. წესიერი მემარცხენე ძალა ჩვენ ვართ!

რაც შეგვეხება ჩვენ, აბსოლუტურად არ განვიცდით უხერხულობას იმის გამო, რომ ყოფილ თანამებრძოლზე ღიად ვსაუბრობთ, რადგან ის გარიგებაში შევიდა ჩვენი პარტიის და საქართველოს იდეოლოგიურ მტერთან, სისხლისმსმელ ნაციონალებთან.

არჩილ ბენიძე უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში და მერე, წლების განმავლობაში, საქართველოდან იყო გადახვეწილი.

**კახა ძაგანია, ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი, მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი:** მორალური უფლება ერთია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ვალდებულებაც საზოგადოების და ამომრჩეველის წინაშე, რომ ვთქვათ სიმართლე. უნდა დამთავრდეს ის დრო, საზოგადოებას და ამომრჩეველს უპასუხისმგებლოდ და აგდებულად უყურებდეს პოლიტიკოსი და ყველამ ყველაზე იცოდეს სიმართლე.

როგორც კი გავიგეთ შალვას შესახებ ყველაფერი, მაშინვე ჩამოვცილდით. მოსახლეობას ჩვენ ვერ მოვატყუებთ.

ჩვენ არ ვართ რადიკალური გამიჯვნის მომხრე პოლიტიკური ძალა და არ მიგვაჩნია, რომ რუსეთთან კავშირები კატეგორიულად უნდა გაწყდეს, თუმცა მიუღებელია შალვა ნათელაშვილის დითირამბები ჟირინოვსკისადმი, ლუჟკოვისა და სხვათა მიმართ.

**პარტიას ხმარდებოდა ბიუჯეტიდან შემოსული თანხები, დანარჩენის არსებობაც კი არ ვიცოდით**. წარმოგიდგენთ შალვა ნათელაშვილის ანგარიშებს და თვითონ განსაჯეთ, როგორ და რითი შეიძლება ადამიანმა იმდენი თანხა დააგროვო, როცა არასდროს, ერთი საათითაც კი არ გიმუშავია არც ერთი სახის ბიზნესში. **შალვა ნათელაშვილი დღეს არის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი საქართველოში! თავისი უმანკოების და პატიოსნების დეკლარირების მიუხედავად, ეს ასეა**.

პარტიას სჭირდება ფული, მაგრამ ყველაფერს აქვს წესი, როგორც დაწერილი, ასევე დაუწერელი. პარტია არ არის ერთი კაცის. ეს არის თანამოაზრეთა გაერთიანება და როცა იღებ ფულს, ე. ი. ვიღაცაზე დამოკიდებული ხდები. ვალდებულებების წინაშე ხარ და ეს მერე მთელ პარტიაზე ვრცელდება.

**საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს**

| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა 2010 წ. | ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი) |
|---|---|---|---|
| შალვა ნათელაშვილი | „სახალხო ბანკი" | სახელფასო | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | „პროკრედიტ ბანკი" | საკრედიტო ხაზი | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | [illegible] | საკრედიტო | 500.00 USD |
| ბელა ალანია | ბანკი ვენა | ანაბარი | 117500.00 EUR |

**საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს**

| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა 2011 წ. | ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი) |
|---|---|---|---|
| შალვა ნათელაშვილი | „სახალხო ბანკი" | სახელფასო | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | „პროკრედიტ ბანკი" | საკრედიტო ხაზი | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | [illegible] | საკრედიტო | 500.00 USD |
| ბელა ალანია | ავსტრია, ვენა | ანაბარი | 118000.00 EUR |

**საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს**

| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა 2012 წ. | ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი) |
|---|---|---|---|
| შალვა ნათელაშვილი | „სახალხო ბანკი" | სახელფასო | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | „პროკრედიტ ბანკი" | საკრედიტო ხაზი | 0.00 GEL |
| შალვა ნათელაშვილი | [illegible] | საკრედიტო | 500.00 USD |
| ბელა ალანია | ბანკი "ვენა | ანაბარი | 98000.00 EUR |

**მას დღესაც მჭიდრო კავშირები აქვს „ნაცმოძრაობასთან“**.

პარტიულ მანდატებს აძლევს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს. რას უნდა ნიშნავდეს ეს, თვითონ მიხვდით.

დიახ, შალვა ნათელაშვილი გარიგებული იყო „ნაცმოძრაობასთან“. 2012 წლის არჩევნების დროს გათვლა ჰქონიათ — მას შემდეგ, რაც ნაციონალები გააყალბებდნენ არჩევნებს, „ოცნება“ და ნაცები ერთნაირი რაოდენობით მოვიდოდნენ და ნაცებთან კულუარულად გარიგებული პარტიები ხმას მისცემდნენ პრემიერად **ვანო მერაბიშვილი** გაეყვანათ. ჩვენ პარლამენტში, თურმე, ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებისთვის უნდა მიგვეცა ხმა. წარმოიდგინეთ, ეს რას ნიშნავს.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ტელევიზიების, არასამთავრობო



ორგანიზაციების დადებითი განწყობები შალვა ნათელაშვილის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ ის დღემდე „ნაცმოძრაობის“ ფრთებქვეშაა.

ხმები მოგვდის, რომ „ნაცმოძრაობა“ კვლავ იყენებს შალვა ნათელაშვილს „მყეფარ ძაღლად“ ივანიშვილის საგინებლად.

**ეს ადამიანი არის ტიპიური მატყუარა**. ხალხს რომ მიმართავს: მენდეთ და ქვეყანა ჩამაბარეთო, ორჯერ ჩააბარა მას ხალხმა ქვეყანა, ერთხელ ადგილობრივ არჩევნებში და მეორეჯერ 2004-ში. ვნანობ, მაშინ პასუხისმგებლობას გავექეცით... შალვამ უკან დაიხია...

კაცმა გაყიდა თანამებრძოლები, ათასობით მხარდამჭერი, ამ კაცთან გაჩერება წარმოუდგენელი იყო.

**რაც შეეხება კორუფციულ გარიგებებს, ამის შესახებ მოარული ჭორებით არ ვმსჯელობთ და არც შალვას ეგონა, თუ ოდესმე ჩვენ გავიგებდით ამას, მაგრამ პირდაპირ თათბირზე დაადგა პირზე გარეშე პირი, რომელიც შუამავალი უნდა ყოფილიყო ნათელაშვილსა და მერაბიშვილ-სააკაშვილს შორის. ის ადამიანი არ გახლავთ პოლიტიკოსი, უბრალოდ აგვარებდა ფულის მიტან-მოტანის საკითხებს. შალვამ ისიც „გადააგდო“, ამიტომაც გამოაცხადა სიმართლე იმ ადამიანმა პირდაპირ თათბირზე. ეს კაცი რომ არ ყოფილიყო,** ჩვენ, შეიძლება, დღესაც შალვა ნათელაშვილის ტყუილებით ვყოფილიყავით გაბრუებული.

წამოსვლის შემდეგ შალვა აღარ შეგვხმიანებია. მანამდე, სიტუაცია რომ იძაბებოდა, გრძნობდა და დაიწყო მოლაპარაკებები ინდივიდუალურად. ოჯახებში რეკავდა, ხან ცოლს არეკინებდა პარტიის ლიდერების ცოლებთან, დედებთან, დაპირებებით — მანქანას გიყიდით, ფულს გაჩუქებთო და სხვ.

**გიორგი გუგავა** ძალიან მენანება შალვასთან კავშირისთვის. თუმცა რატომ მხოლოდ გუგავა? სხვებიც, მაგრამ ეს მათი არჩევანია. ამიტომაც, სანამ **შალვა ნათელაშვილი** ბინძური გარიგებებით ნაშოვნ ფულს არ გადასცემს მიუსაფართა სახლს, ან უპატრონო ბავშვებს, ან სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას, მანამდე ყოველთვის ეჭვი მექნება იმაზე, რომ ის თანაუგრძნობს 7 ნოემბრის, 26 მაისის, ციხის საშინელებების მომწყობ, უსამართლობის დამამკვიდრებელ „ნაცმოძრაობას“.

მოინანიოს ყველაფერი და მე, პირადად, მივუტევებ, რაც ჩადენილი აქვს თანამებრძოლებისა და ხალხის წინაშე.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე არჩევნებში მასთან რაიმე კავშირში შევიდეთ.

ადამიანს, შეიძლება, რაიმე შეეშალოს, მაგრამ ღალატი უპატიებელია.

**მახსენდება, მიტინგებზე დარბევები და ათასი უბედურება, თუმცა შალვა ყოველთვის გამოძვრებოდა ხოლმე, რადგან მას ჰქონდა გარანტია და წინასწარ იცოდა, სად რა უნდა მომხდარიყო და არც მერაბიშვილი დაიჭერდა მის პოლიტიკურ „ბიზნესპარტნიორს“**.

დიახ, შალვა „ნაცმოძრაობის“ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. აბა, რას შეიძლება მიეწეროს ვანო მერაბიშვილთან და მის უწყებასთან კავშირი?!

**არჩილ ბენიძე, ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი, მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი:** 2008 წლის არჩევნების შემდეგ ფულის გათეთრების ბრალდებით დამიჭირეს. თითქოს **ბადრი პატარკაციშვილის** ფული „გავათეთრე“.

პარტიას, როგორც შალვა გვეუბნებოდა, უჭირდა. ჩვენ საკუთარი ოჯახებიდან გამოგვქონდა თანხები და პარტიის საქმეებს ვახმარდით.

იმ პერიოდში პატარა ბიზნესი მქონდა. შალვამ მითხრა: არის ადამიანი, რომელიც ფულს გვირიცხავს, აიღე შენ, შენს საქმესაც მოახმარე, მერე წინ წახვალ და

12 gv.

11 gv.

ჩვენც დაგვეხმარებიო. მე დავთანხმდი. მივედი „საქართველოს ბანკში“. ავიღე ფული. 2008 წელს ეს ფული დამიდეს ბრალად. თუმცა ეს მერე მოხდა, მანამდე იყო მანდატების დაჭრა, რომელიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, გარიგების შეუსრულებლობის გამო მოხდა. მაშინ, სამაგიეროს გადახდის მიზნით, **სოსო თოფურიძე** მისულა შალვასთან და უთქვამს, რომ პარტიის წევრებს დაიჭერდნენ ფულის გათეთრების ბრალდებით. პატიმარი აღმოვჩნდი მე, ხოლო შალვამ თოფურიძის ვიზიტზე და ამ ამბებზე შემდეგ არაერთხელ თქვა სხვადასხვა გაზეთებთან ინტერვიუებში.

პარტიის წევრის დაჭერა ემსახურებოდა ერთ მიზანს – დაპატიმრებულს უნდა ელაპარაკა შალვას კომპრომატებზე, ეს გადაეღოთ და შალვასთვის ეჩვენებინათ, რათა ნათელაშვილს ბოიკოტზე უარი ეთქვა, შესულიყო პარლამენტში და ნაციონალების დავალებები პირწმინდად შეესრულებინა. მოკლედ, შალვა ნათელაშვილსა და სოსო თოფურიძეს შორის მორიგებაზე იყო საუბარი – გადაგვაგდე, გადაგაგდებთ და ა. შ.

მე კუდ-მა დამიჭირა. ორთვიანი პატიმრობა მაშინვე მომესაჯა და მეორე დღიდანვე დაიწყო ზეწოლები მიმეცა ჩვენება შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ, ანუ დავთანხმდებოდი იმას, რაც უკვე ეწერა ჩვენებაში და მეორე დღესვე გამათავისუფლებდნენ. რა თქმა უნდა, ამის გაკეთებას არ ვაპირებდი და არც გამიკეთებია, თუმცა შალვა ნათელაშვილი ჩემზე ამბობდა, რომ ვიყავი კრიმინალი, ჩემმა ოჯახმა საკუთარი ხელით ჩამაბარა პოლიციას და ა.შ. ეს არც პოლიტიკაში არის მიღებული და არც კაცობაში.

„იმედის“ დარბევამდე მოგვივიდა ინფორმაცია, რომ ლეიბორისტული პარტიის ოფისი უნდა დაერბიათ. ეს ინფორმაცია შალვა ნათელაშვილმა გაამჟღავნა პარტიაში. არ ვიცით, ვისგან, მაგრამ მას ყოველთვის ჰქონდა მსგავსი ინფორმაციები.

**ეს ადამიანი, პირველ რიგში, არის ძალიან დიდი „პიარშჩიკი“, ხალხის ემოციებზე მომუშავე კაცი, რომელიც ყველაფერს იყენებს საკუთარი თავის სასარგებლოდ.**

ციხიდან რომ გამოვედი, „ნაცმოძრაობიდან“ შემომითვალეს – დემონსტრაციულად დატოვე ლეიბორისტული პარტია და სამსახურს მოგცემთ მარეგულირებელ კომისიაშიო, მაგრამ არც „ნაცმოძრაობას“ და არც სხვა გაერთიანებას არასდროს მივეყიდები. ეს რომ გამეკეთებინა, რა კაცი ვიქნებოდი. კახა ძაგანიასთვის, სოსო შატბერაშვილისთვის, სხვებისთვის როგორ უნდა ჩამეხედა თვალებში?!

მე რომ საზღვარგარეთ წავედი, შალვა ნათელაშვილმა ესეც სათავისოდ გამოიყენა. „ნაცმოძრაობა“ ჩემს თანამებრძოლებს დევნის, ხოლო ჩემზე სს საქმეა აღძრულიო. საქმე არის აღძრული, მაგრამ შალვა მოწმის სახითაც არაა დღემდე დაკითხული. შალვა ნათელაშვილმა თავისი პოლიტიკური პიარისთვის გამოიყენა. მას საკუთარი კეთილდღეობის მეტი არაფერი ანაღვლებს. ხალხი, პარტია, ბოდიშით და, ფეხებზე ჰკიდია, რასაც ლაპარაკობს, ჰაერზე ნასროლი სიტყვებია.

# შალვა ნათელაშვილი – პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც ქართველი ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა?



**არჩილ ბენიძე: შალვა ნათელაშვილმა თავისი პოლიტიკური პიარისთვის გამომიყენა. მას საკუთარი კეთილდღეობის მეტი არაფერი ანაღვლებს.**

**კახა ძაგანია:** რაღა ირაკლი წერეთელი და რაღა შალვა ნათელაშვილი. ესენი თანდათან ერთმანეთს დაემსგავსნენ. შალვა ნათელაშვილმა ბოლო ხანებში არაერთი მოსაფერებელი სიტყვა გაიმეტა მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

დააკვირდით მის ბოლოდროინდელ განცხადებებს და „ნაცმოძრაობის“ განცხადებებს. მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ ხომ არ გალანძღავს ამ ხელისუფლებას, მხარდამჭერი პოლიტიკური ძალა ხომ სჭირდება და ეს არის დღეს შალვა ნათელაშვილი. იდენტურია ნაცების და შალვას პოზიციები.

**არჩილ ბენიძე:** ჩემი პატიმრობა იყო პოლიტიკური ვაჭრობის ნაწილი, პოლიტიკური პიარი შალვა ნათელაშვილის ბინძურ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შანშან დავბრუნდი იძულებითი დევნილობიდან და საჩივარი შევიტანე ხარვეზების დამდგენ დეპარტამენტში ჩემს უკანონო პატიმრობასა და დევნასთან დაკავშირებით. პროკურატურამ ერთი კვირაა, რაც გადაწყვეტილება გამოიტანა ჩემს სასარგებლოდ.

ნათელი წერტილი დავინახე იმის, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკურ ბრძოლას აზრი აქვს...

შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური კარიერა ნულის ნიშნულისკენ მიდის. ის ყოველთვის პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი იქნება.

მან ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლას საკუთარი კეთილდღეობა არჩია“.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში არაერთხელ მოხვდა ე. წ. ტერაქტების საქმე და ამ ტერაქტებში ბრალდებულთა მიმართ უკანონო ქმედების წამებისა და ცემის შესახებ.

ე. წ. „ტერაქტების საქმეზე“, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ ერთი ლაბირინთია, 7 ადამიანია დაკავებული. მათ მიერ ჩადენილი ბოლო ტერორისტული აქტი საეჭვოდ უკავშირდება ლეიბორისტულ პარტიას – 2010 წლის 28 ნოემბერს აფეთქება სწორედ ამ პარტიის ოფისთან მოხდა. დაკავებულებს საქართველოში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში დაედოთ ბრალი, როგორც სახელმწიფო დამნაშავეებს, როგორებსაც ყველგან „სანთლით“ ეძებდა მიხეილ სააკაშვილი. შალვა ნათელაშვილის ოფისთან „დაგეგმილი“ ტერაქტი საეჭვოდ ემთხვევა სააკაშვილის ჰალუცინაციურ ფანტაზიებს...

ამ ტერაქტებში მაშინ რუსული კვალი გამოკვეთეს – დასავლური ორიენტაციის პარტიის ოფისის წინ ტერაქტები ეწყობაო. შალვა თავს მედასავლეთედ ასაღებს, თუმცა არც რუსეთისადმი არის გულგრილი და, მაგალითად, **ჟირინოვსკისადმი** მიწერილი წერილი პოლიტიკურ ორიენტაციას მკვეთრად აშორებს ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე იდეებს.

აი, წერილის ნაწყვეტიც, რომელიც „მემარცხენე ალიანსში“ გადმომცეს.

„ძვირფასო ვლადიმერ ვოლფის ძევ,

მაქვს პატივი ლეიბორისტული პარტიის სახელით კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა თქვენი მებრძოლი, პატრიოტული, რუსული პოლიტიკური ძალის მიმართ.

ლეიბორისტული (შრომის) პარტია სრულიად იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ჭეშმარიტად პატრიოტულად განწყობილ ძალებს ძალუძთ საკუთარი სახელმწიფოების გადარჩენა იმ ფორმის გლობალიზმის ექსპანსიისგან, რომელიც შლის და ანადგურებს ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ეკონომიკას და ტრადიციული საზოგადოების საძირკველს“...

ასეთივე წერილს სწერს **იური ლუჟკოვს**, მაგრამ უფრო საინტერესო მომღერალ **იოსიფ კობზონისადმი** მიძღვნილი წერილია: „მიიღეთ ჩემი გულწრფელი სურვილი და ნება მომეცით, გამოვხატო უდიდესი პატივისცემა პირადად თქვენს მიმართ.

საქართველოში ეთაყვანებიან თქვენს ტალანტს.

მე, ამ დღემდე, ვიმყოფები სასიამოვნო ემოციის ტყვეობაში, ჩვენი მოსკოვში შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ და თავს ვთვლი უბედნიერეს ადამიანად, რადგან თქვენი ახლოს გაცნობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო“...

როგორც ამბობენ, რუსეთისგან (და არა მხოლოდ) მხარდაჭერილ 90-იანი წლების პუტჩისტებსაც გულითადად თანაუგრძნობდა შალვა ნათელაშვილი...

აი, ეს კაცი ითხოვს, საქართველო მანდეთ, ღმერთი ჩემთანააო და ბიძინა ივანიშვილს აგინებს აქაფებული პირით... ასეთ დროს იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო.

ქართული მულტიპლიკაციური ფილმია ასეთი – „ლურჯი მელია“. ლურჯად გადაღებილი მელია თავს ხელმწიფედ აცხადებს, თაყვანისცემას ითხოვს და იფერებს ამას. „ლურჯი მელია“ ხართ, თქვენ, ბატონო შალვა, აწი თქვენგან ლომი არ დადგება...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## შალვა ნათელაშვილის მეგობრები










ГОСУДАРСТВЕННАЯ ДУМА
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

103265, Москва,
ул. Моховая д. 7.

Факс: 7 095 292 44 75

ПАРТИЯ ГРУЗИИ

0102 Грузия, Тбилиси
Ул. Ивана Джавахишвили, 88

Телефон: (995 32) 94 39 22
Факс: (995 32) 94 29 22
E-mail: labour_party@caucasus.net

10-ое августа, 2004г.

Председателю Комитета Государственной Думы Российской Федерации по культуре господину **Кобзону Иосиф Давыдовичу**

**Господин Иосиф Давыдович,**

Примите Мои искренние пожслания и позвольте выразить глубочайшее уважение лично к Вам.

В Грузии прсклоняются перед Вашим талантом.

Я, до сегодняшнего дня, нахожусь под влиянием приятных эмоции, после нашей, короткой случайной, встрсчи в Москве и считаю, себя неизменно счастливим человеком, так как, личное знакомство с Вами было мечтой, которая сопровождало меня с самого детство.

Выражаю надежду, что наше знакомство перерастет в дружеские контакты.

Позвольте, еще раз выразить мое высокое уважение лично к Вам, господин Иосиф Давыдович, и примите мою благодарность за Вашу теплую дружескую встречу.

125032, Москва,
ул. Тверская, д.13;
ул. Новый Арбат, д.36.

Факс: 7 095 234 32 95 / 97

ЛЕЙБОРИСТСКАЯ
ПАРТИЯ ГРУЗИИ

0102 Грузия, Тбилиси, ул. Ивана Джавахишвили 88
Телефон: (995 32) 94 39 22 • Факс: (995 32) 94 29 22
Электронная почта: labour_party@caucasus.net

19-ое июля, 2004г.

Мэру города Москвы
господину **Лужкову Юрий Михайловичу**

**Высокоуважаемый Юрий Михайлович,**

Позвольте подтвердить высокое уважение лично к вам, Москвичам и всему Российскому народу.

Мы всегда помним и ценим Ваш труд в деле восстановления города Тбилиси, и к тому же, чувствуем Ваши теплые настроения к Грузинскому народу.

Несерьезные высказывания некоторых экстраординарных Грузинских политиков, не могут изменит благодарность нашего народа в отношении к Вам.

Господин Юрий Михайлович, с 30-ого июля по 4-ое августа, по приглашению Государственной Думы Российской Федерации, Я совершаю официальный визит в Москву. Если у Вас будет время и желания, било бы желательно встретится с Вами, для обсуждения вопросов, касающихся взаимных интересов.

Примите Мои наилучшие пожелания, и оставляю надежду на возможную встречу с Вами.

გიორგი ბურჯანაძე:

# საქართველოს მოქალაქეების ამერიკაში გადაყვანაზე კარგად აწყობილი კორუფციული მანქანა მუშაობს

**ვინ და რა კრიტერიუმებით ახდენს არასამთავრობო სექტორის დახარისხებას, რა კორუფციული სქემა შეიმუშავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გასვლის მსურველთათვის და ხდება თუ არა ამერიკაში წასვლის მსურველ ქართველ მოქალაქეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს" იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე ესაუბრა.**

**გ. ბურჯანაძე:** — დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობენ ე.წ. ელიტური არასამთავრობოები ორგანიზაციები, რომლებსაც ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც მინჭებული აქვთ მოქმედების სრული თავისუფლება და არიან ორგანიზაციები, რომლებსაც სახელისუფლებო უწყებებიდან დაწყებული, უცხო ქვეყნების საელჩოებით დამთავრებული, ყველგან პრობლემები ექმნებათ. ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, კონკრეტული ფაქტის შესახებ გიამბობთ, რომელიც თავად გადამხდა. ჩვენი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრისა და დაფინანსების წყაროს მოძიების მიზნით, პერიოდულად გვესაჭიროება საზღვარგარეთ გასვლა. ამ მიზნით, დაახლოებით ორი თვის წინ, ჩემთვის ვიზის გაცემის მოთხოვნით, ამერიკის საელჩოში განაცხადი წარვადგინე. ჩატარდა ჩვეულებრივი გასაუბრება, რომლის დასრულების შემდეგ მითხრეს, რომ ჩემს დოკუმენტაციას განსახილველად დაიტოვებდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ პასუხს მივიღებდი. ვთხოვე დაეკონკრეტებინათ, რამდენ დღეს გულისხმობდნენ და მითხრეს, რომ სამ-ოთხ დღეში ან დადებით ან უარყოფით პასუხს მივიღებდი. ამის შემდეგ, ორ თვეზე მეტი გავიდა და დღემდე არავითარი პასუხი არ მიმიღია. სამწუხაროა, რომ ამერიკის საკონსულოსა და ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჩვენისთანა ორგანიზაციების მიმართ ასეთი ბარიკადების შექმნისა და დაბლოკვის მეთოდები მუშაობს. როგორც ჩანს, ჩვენმა მუშაობამ ვიღაცეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა და საპასუხოდ, ჩვენთვის პრობლემების შექმნას ცდილობენ.

გიორგი ბურჯანაძის თქმით, საქართველოს მოქალაქეების ამერიკაში გადაყვანაზე, მუშაობს კარგად აწყობილი კორუფციული მანქანა. პირველ ეტაპზე, ტურისტული სააგენტოების დახმარებით, ხდება ამერიკაში წასვლის მსურველი ადამიანების მოძიება. შემდეგ ამ ადამიანებისთვის ყალბი დოკუმენტების დამზადება და ქვეყნიდან გაყვანა. უფლებადამცველის თქმით, ამერიკული მხარე სრულად ინფორმირებულია ტურისტული სააგენტოების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შესახებ, მაგრამ მათთვის სადამსჯელო სანქციების დაწესება აზრადაც არ მოსდის.

**ზ.ბ.** — მოგეხსენებათ, რომ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გაყვანაზეა ორიენტირებული. შსს ინფორმაციითაც და გამოძიებითაც დადასტურდა, რომ ასეთი გასვლები უმეტეს შემთხვევაში, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე ხდება. დარწმუნებული ვარ, ამერიკის საკონსულომ მშვენივრად იცის, რომელ დელეგაციას ვინ ხელმძღვანელობს, ჯგუფში რამდენი ადამიანი ჰყავს, აქედან სამშობლოში რამდენი ბრუნდება და ა.შ. ისიც იციან, რომ ამერიკაში გადაყვანილი ათი ადამიანიდან უკან მხოლოდ ოთხი ან ხუთი ბრუნდება და დანარჩენი ამერიკაში რჩება. როცა საკონსულოს ასეთ ინფორმაციაზე რეაქცია არა აქვს და კანონდამრღვევი ფირმების მიმართ სადამსჯელო სანქციებს არ იყენებს, უფლებას ვიტოვებ, რომ ასეთი უმოქმედობა გარკვეული სახის წახალისებად აღვიქვა. ვვარაუდობ, რომ საქართველოს მოქალაქეების ამერიკაში გადაყვანაზე მუშაობს კარგად აწყობილი კორუფციული მანქანა და ამაში ჩართული არიან საკონსულოს ცალკეული თანამშრომლები. კორუფციული ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლს წარმოადგენენ ტურისტული სააგენტოები, რომელთა მიერ ხდება დაინტერესებული პირების მოძიება და ამის უამრავი მაგალითი გვაქვს. ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენი ორგანიზაციის მიერ ამ მიმართულებით არა ერთი მონიტორინგი ჩატარდა და ვიცით, რომ ტურისტული კომპანიები მოქალაქეებს პირდაპირ ეუბნებიან, ამდენი და ამდენი გადამიხადე და ამერიკაში ჩაგიყვანო. არის სხვა გათვლებიც.. ამერიკაში გამგზავრების მსურველებს საკონსულოში ავსებინებენ ბლანკებს და სთავაზობენ ლატარიის მაგვარ გათამაშებას. წინასწარ თანხას არ ართმევენ, მაგრამ თუკი ვიზირება მოხდა და საკონსულომ ჩაურტყა, მაშინ ტურისტმა გარკვეული თანხა უნდა გადაიხადოს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც უკვე მივაწოდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. შსს-ს მხრიდან რამდენიმე ათეული რეაგირება უკვე მოხდა. კორუფციული სქემის ზოგი მონაწილე დაჭერილია და ზოგზე პრევენციის მიზნით, ახლაც ვმუშაობთ. ამერიკაზე, იტალიაზე და ევროპის რამდენიმე ქვეყანაზე გვაქვს შემთხვევები, როდესაც მოდიან დაზარალებულები და ყვებიან, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში გადაყვანას შეპირდნენ, 1000 ან 1500 ევრო გამოართვეს და „გადააგდეს". ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელსაც ეს მონაცემები გააჩნია, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენისაქმიანობის გამო ვისჯებით.

უფლებადამცველის თქმით, როცა კრიმინალისკენ მიდრეკილი ორგანიზაციები საზღვარზე თავისუფლად გადადიან და ანტიკორუფციულ კავშირი, რომელსაც წლების წინ ამერიკის ელჩისგან ოფიციალური მადლობის წერილი აქვს მიღებული, ბარიერებს აწყდება, ეს ბევრ კითხვას აჩენს. გიორგი ბურჯანაძე ამერიკის საელჩოში მოქალაქეებთან ჩატარებული გასაუბრების დეტალებზეც ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ამ გასაუბრების დროს ჩვენს მოქალაქეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება.

**ზ.ბ.** — მინდა კიდევ ერთ თითქოს და უმნიშვნელო დეტალზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. ამერიკის საელჩოში გასაუბრების დაწყების მოლოდინში, ჩემს გვერდით იჯდა სამოცი ზომბირებული ადამიანი, რომელიც ისეთ ფსიქოლოგიურ სტრესში იმყოფებოდა, რომ დაცვის თანამშრომელს დავუძახე და ვუთხარი ამ ხალხს გასაუბრებაზე თუ უშვებთ, ვიღაც ხომ უნდა ესაუბრებოდეს, სად ვარ, საკონცენტრაციო ბანაკში თუ საელჩოში თქო? დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში ვისხედით ოთახში და ვუყურებდით ცარიელ მინებს, რომლის უკან ხან გამოჩნდებოდნენ და ხან გაქრებოდნენ ადამიანები. დაახლოებით ნახევარ საათში ჩემმა პროტესტმა შედეგი გამოიღო. გამოვიდა საელჩოს თანამშრომელი და დაიწყო გასაუბრება. რაღაც პერიოდის შემდეგ, პროცესი ისევ შეწყდა და ისევ ლოდინის რეჟიმში გადავედით.. ჩემი აზრით, ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმა, რომელიც დემოკრატიის ზენიტში მყოფმა ქვეყანამ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ შეიმუშავა. როცა ქართველ ადამიანს საკუთარ სამშობლოში ასეთ ფსიქოლოგიურ ტერორს მიწყობენ, ეჭვი მიჩნდება, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. სავარაუდოდ, გასაუბრების მომლოდინე ადამიანებზე დაკვირვება ფსიქოლოგების მიერ და ვიდეოკამერების საშუალებით ხდება. უთვალთვალებენ ლოდინის რეჟიმში მყოფი ადამიანების რეაქციებს, ემოციებს, გადაჩურჩულებას და შემდეგ ფსიქოლოგიურ დასკვნებს აკეთებენ, რომელ მოქალაქეს უნდა ჩაერტყას ვიზა და რომელს არა. საქართველოში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობაზე საკონსულოებს ცუდი ინფორმაცია გააჩნიათ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენზე მსგავსი ინფორმაცია არ გააჩნიათ. დაახლოებით ხუთი წლის წინ, ამერიკის მოქალაქეს საქართველოში შეექმნა სერიოზული პრობლემა. ეს ადამიანი მოჰყვა ავტოავარიაში და ჩემი ორგანიზაციის მხრიდან მოხდა მისი კანონიერი უფლებების დაცვა. მაშინდელმა ელჩმა გაწეული მუშაობისთვის ოფიციალური მადლობა მომიხადა და შესაბამისი წერილიც გამომიგზავნა. როცა ჩვენს შორის ასეთი კომუნიკაცია არსებობდა, ნამდვილად გაუგებარია, რით დავიმსახურეთ საელჩოს მხრიდან სრული იგნორირება. ჩემს მოთხოვნაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ორთვიანი ვადა დიდი ხანია გავიდა, თუმცა საელჩოდან არავითარი პასუხი არ ჩანს. არ მინდა, მუქარასავით გამომივიდეს, მაგრამ ვიტყვი, რომ ასეთი ზეწოლით ვერ გაგვაჩუმებენ. პირიქით, იძულებული გავხდებით, ისეთი თემები წამოვწიოთ, რაც შეიძლება არც ამერიკის საელჩოს მოეწონოს და არც გარკვეულ სახელმწიფო ინსტიტუტებს. კერძოდ, როგორ ხდება კულტურის სფეროსა თუ სხვა სფეროების წარმომადგენელთა მიერ საქართველოდან ხალხის გადაყვანა, რა თანხები მიდის ამაზე, რატომ ხდება ასეთი საქმიანობის წახალისება, როცა კანონმორჩილ ადამიანებს და ორგანიზაციებს პრობლემები ექმნებათ და ა.შ. საუბრის ბოლოს, გეტყვით, რომ ნამდვილად შევეცდები გავარკვიო, რომელი დოკუმენტაციით იხელმძღვანელა ამერიკის საელჩომ, როცა ჩემი თხოვნა არ დააკმაყოფილა. მაჩვენონ, რომელ მოთხოვნას არ ვაკმაყოფილებ. განმიმარტონ, რატომ მხვდება ბარიერები ამერიკის საელჩოს მხრიდან, როცა არც ერთი ევროპული ქვეყნის მხრიდან მსგავსი პრობლემა არ შემხვედრია. ვინ და რატომ ცდილობს ჩვენისთანა ორგანიზაციების საქმიანობაში ხელის შეშლას და ა.შ. სანამ ყველა ამ კითხვაზე ზუსტ და ამომწურავ პასუხს არ მივიღებ, უფლებას ვიტოვებ ვიფიქრო, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ კარგად აწყობიულ კორუფციულ სისტემას პრობლემები შეუქმნა და სწორედ ამის გამო გავხდით მიუღებლები. სხვა ვერსია, უბრალოდ, არ გამაჩნია.

ჩვენ შევეცადეთ ამერიკის საელჩოში გაგვერკვია, რატომ არ მოხდა ანტიკორიფციული კავშირის ლიდერისთვის კანონით დადგენილ ვადებში პასუხის გაცემა, თუმცა არასამუშაო დღეების გამო, ამის გაკეთება შეუძლებელი გახდა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88




# ვინ შეაშფოთა და ვინ დაამწუხრა საქართველოში იმ სასიხარულო ამბავმა, რომ „ანაკლია პორტის“ მშენებლობის საკითხი რეალობად იქცა?

მე ანაკილელი ვარ და ალბათ ამიტომ, დიდი ხანია ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებში დამკვიდრდა „ტრადიცია“, — თუ სადმე ანაკლიაზე ვინმეს სიტყვა წამოცდა, დაიბეჭდა, ან ტელეეკრანზე გამოჩნდა, მაშინვე მე უნდა შემატყობინონ და წვრილმანებამდე გამირჩიონ, როგორი გულით, ან ქვენა მიზნით ითქვა ის, რაც ითქვა!

სწორედ ასე მოხდა 9 ივნისს **„ქრონიკა+“** სტატიის — **„ქართველი ფიგარო ანუ ზედაპირზე ტივტივის ხელოვნება თეიმურაზ ქარჩავასგან“** გამოქვეყნების შემდეგ!

არ ვიცი, რა ასაკისაა ან საერთოდ, ვინ არის ქალბატონი მარიამ ბალანჩივაძე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ ასეთი უმწიფარი, ასეთი არაკვალიფიციური და აშკარად ტენდენციური წერილი დიდი ხანია არ წამიკითხავს.

ჟურნალისტს მიზნად დაუსახავს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გალანძღოს, დაამციროს, შეურაცხყოფა მიაყენოს ბიზნესმენ თეიმურაზ ქარჩავას და ამ მიზნის მისაღწევად აქა-იქ ყურმოკვრით გაგონილ ჭორებს, ცრუ ინფორმაციებს, არარსებულ „ფაქტებს“ მიმართავს.

როგორც წერილიდან ჩანს, ბალანჩივაძე საერთოდ არ იცნობს ქარჩავას, არასდროს შეხვედრია და არასოდეს უსაუბრია მასთან, რომ ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან გაერჩია და მკითხველისთვის ობიექტური და მიუკერძოებელი პუბლიკაცია მიეწოდებინა.

თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტმა ვიღაცის შეკვეთა შეასრულა.

თუ უფრო ღრმად ჩავეძიებით, არც იმის დადგენა იქნება ძნელი, ვინ შეიძლება იყოს ამ ბინძური პასქვილის შემკვეთი, მაგრამ, მოდით, ეს ყველაფერი შემკვეთის და შემსრულებლის სინდისზე დავტოვოთ და საქმეზე ვილაპარაკოთ.

როგორც გითხარით, მე ანაკლიელი გახლავართ და ბუნებრივია, ანაკლია და მასთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს საგანგებოდ ვეკიდები.

ოცდაათი წელზე მეტია, რაც ანაკლიაში პორტის მშენებლობის საკითხი პერმანენტულად იხილება სამთავრობო, თუ პრივატულ გარემოში. 15 წელია, ამ იდეამ, მსოფლიოს ყველა კონტინენტის საქმიან წრეები მოიარა და საბოლოოდ, რეალურ შესაძლებლობად ჩამოყალიბდა!




სწორედ მაშინ, როცა ბოლო ხუთწლიან მარათონში, როგორც იქნა ფინიშის სწორი გამოჩნდა და მასში ქართული კომპანია დაწინაურდა, რომელმაც მეოთხედი საუკუნის წინ დაიწყო ამ პროექტზე მუშაობა, სწორედ მაშინ გამოჩნდა ჟურნალისტი ბალანჩივაძე, რომელმაც — **„ევროპაში მცხოვრები ქართული წარმომავლობის რუსი ბიზნესმენი თეიმურაზ ქარჩავა“** აღმოაჩინა, რომელიც, მისი თქმით, — **„ქართულ ეკონომიკურ ცხოვრებაში 2009 წელს ხმაურით გამოჩნდა, რადგან მისი სახელი, არც მეტი, არც ნაკლები, ანაკლიის პორტის მშენებლობას დაუკავშირდა. თუ თავად ბიზნესმენს დავუჯერებთ, მას ანაკლიის პორტის მშენებლობა პირადად მიხეილ სააკაშვილმა სთხოვა, რადგან, თურმე, ლამის, ბავშვობიდან ოცნებობდა ანაკლიის პორტის აშენებაზე, ამიტომ მაშინვე დათანხმებულა“.**

ამ საქმეში გაუთვითცნობიერებული მკითხველიც კი დაფიქრდება სტატიის ავტორის ზედაპირულ დამოკიდებულებაზე, საუკუნის კი არა, — ათასწლეულის პროექტისადმი!

აშკარად ჩანს, მას არც მიშა-შეურაცხადის გონებაშეზღუდულობაზე აქვს წარმოდგენა და არც „ანაკლია პორტის მასშტაბებზე“, რომელსაც, მე, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ათზე მეტი საგაზეთო სტატია მივუძღვნი“.

ეტყობა ამის შესახებ, ქ-ნ მარიამ ბალანჩივაძეს სტატიის დამკვეთმა ინფორმაციაც მიაწოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან იგი ყურად არ იღო და ცა და ხმელეთი აურია ერთმანეთში!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და შევუნდოთ დაუფიქრებელი და უადგილო წამონაროშები, როგორ განვმარტოთ ქ-ნი მარიამ ბალანჩივაძის, სტატიის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა, — **„ევროპაში მცხოვრები ქართული წარმომავლობის რუსი ბიზნესმენი თეიმურაზ ქარჩავა“?!.**

მე ანაკლიაში დავიბადე, ბატონი თემური, ანაკლიიდან რამდენიმე კილომეტრში, ინგირში, მაგრამ ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად გავატარეთ და მთელმა სამეგრელომ თუ არა, ზუგდიდმა ნამდვილად იცის, რომ მის წინაპართა წარმომავლობა კოლხურ გარემოს არასოდეს გაცდენია. იქნებ აგვიხსნას ქალბატონმა ბალანჩივაძემ, როგორ გახდა სუფთა მეგრულ-კოლხური წარმომავლობის თეიმურაზ ქარჩავა **„რუსი ბიზნესმენი?!.“**

აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდე და მკითხველს შევახსენო, საქართველოს ბოლო ორი მთავრობის მიერ დამკვიდრებული, მოსახლეობის დასაფრთხობი და სალანძღავი ფრაზა-გამოთქმა, — **„რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი და რუსული ფული!“**

იძულებული ვარ პირველკლასელის დონეზე განვმარტო, თუ რა უნდა იგულისხმოს მკითხველმა, ზემოთხსენებულ **„სალანძღავ“** გამოთქმაში სინამდვილეში:

—როცა საუბარია, — **„რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენზე და რუსულ ფულზე“** იგი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ, — **ამ ფენომენს არაფერი აქვს საერთო საქართველოს ხაზინასთან და სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვასთან!**

გამომდინარე აქედან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ, დიდი ხანია საქართველოში **„ბიზნესი“** უმეტესწილად სახელმწიფო ხაზინის პირდაპირ, ან ირიბად ძარცვასთან არის დაკავშირებული, მისასალმებელი და დასაფასებელია, რუსეთში (არა მარტო რუსეთში) მოღვაწე ნებისმიერი ქართველი ბიზნესმენი და მათ მიერ შემოტანილი ფული!

ზემოთთქმულის წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე ნაძირალა და ჭკუის სწავლებას დამიწყებს, — **„რუსეთიდან შემოტანილ ფულს რუსული ინტერესები მოჰყვებაო!“**

ასეთი ნაძირალას საყურადღებოდ ვაცხადებ: **რუსული ინტერესები, საპარლამენტო და სამთავრობო წრეებში უნდა ეძებოს და არა იმ ბიზნესმენთან, ვინაც პატიმრობაში ჰყავდა რუსეთის მთავრობას!..**

ვალდებულად მიმაჩნია თავი, კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს:

—სად და როდის გაჩნდა ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეა.

—ვინ არის თეიმურაზ ქარჩავა, რა გაუკეთებია მას ათწლეულების განმავლობაში საქართველოში.

—როგორ მზადდებოდა ანაკლიაში პორტის მშენებლობისთვის ნიადაგი და ინვესტორთა მოძიება.

—ვინ უშლიდა და უშლის ხელს მის დაწყებას და რეალიზებას!

განსაკუთრებით გულსატკენი ის გახლავთ, რომ ისინი მაშინ აიქოჩრებიან, როცა საქმე წარმატებისკენ მიდის.

ამ ზაფხულს, აგვისტოს ბოლოს, ქართულ მედიაში, მეხივით გავარდა სკანდალური ინფორმაცია, სომხეთში გაზტურბინების თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, რომელსაც თურმე ***Anaklia IEP Holding-ის დამფუძნებელი თეიმურაზ ქარჩავა აფინანსებდა.***

***„...ვის ეკუთვნის Anaklia IEP და რატომ იდება თითქმის მილიარდიანი ინვესტიცია სომხეთში. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: გამოიწვევს თუ არა აღნიშნული პროექტი ურთიერთობების დაძაბვას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის? გაუგებარია ისიც, თუ რატომ უნდა ჩაიდოს სომხეთში ამ მასშტაბის მშენებლობაში ქართული ფული?“***

**—** *ატყდა განგაში ქართულ მედიასაშუალებებში.*

—ცხადია, საქართველოს კეთილმოსურნეებს არ აუტეხავთ რია-რია ამ ამბის გარშემო, არც საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო შეუძრავთ ქვეყანა! მათ ნაკლებად აწუხებდათ სომხების რისკი, როცა კითხულობდნენ, — „ვინ არის **Anaklia IEP Holding**-ის მფლობელი და რატომ გადაწყდა თითქმის უცნობი კომპანიის ამ მასშტაბისა და მოცულობის ენერგოპროექტის განხორციელებაში მონაწილეობა?

**„საერთო გაზეთი“** მაშინვე გამოეხმაურა, ავისმოსურნეთა მიერ გავრცელებულ **„შავ პიარს“** (**„საერთო გაზეთი“** №29(296), 03.09.2014) და ვიდრე იგი, მოსახლეობას გადაედებოდა, როგორც იტყვიან, — ლოკალიზებულ იქნა საინფორმაციო ხანძარი!

—დღეს, არავისთვის არ არის უცხო, რომ საქართველოში მედიასაშუალებების დიდი უმრავლესობა არა აღმშენებლობას, არამედ ქვეყნის ნგრევას, მის დაღმასვლას უკეთებს **„პიარს“**. თუ სადმე კარგი საქმე გაკეთდა, იგი დაცინვის საგანი ხდება, ყოფილი ხელსუფლების არ გაკეთებული საქმეები კი დღევანდელს ბრალდება! ამ საქმის **„ნათელ“** მაგალითს **„რუსთავი 2“** წარმოადგენს, რომელიც ცოტაც და ქვეყნის მმართველი მთავრობის იარაღით დამხობისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას!

—დიდი „ფილოსოფოსობა“ არც იმის მიხვედრას სჭირდება, რომ ქვეყნის და მისი მოსახლეობისთვის ავისმოსურნე ნაც-ოპოზიციონერებსა და მათ გუშინდელ კოლეგა-მეგობრებს, რომლებიც მრავლად არიან მთავრობასა და პარლამენტში, არაფრად ეპიტნავებათ საქართველოში ისეთი მეგაპროექტის განხორციელება, როგორიც **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკია“**, რადგან ისინი ნათლად ხედავენ, ამ პროექტს შეუძლია არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასიის რეგიონი გამოიყვანოს ჩიხიდან!

თუ ეს მოხდა, ბუნებრივია, იგი საქართველოს დღევანდელი მთავრობის დიდი წარმატება იქნება, რაც ქვეყნის დამაქცევართ ხელს უშლით მათი ვერაგული გეგმის განხორციელებაში, რომელიც ასე ჟღერს, — ***ქვეყანაში არაფერი უნდა გაკეთდეს, მოსახლეობა უკიდურეს მდგომარეობამდე უნდა მივიდეს, რომ მათი ხელით დაემხოს დღევანდელი მთავრობა!..***

ამ და სხვა მიზეზების გამო, ანაკლია პორტის მშენებლობის დაფინანსების მოძიება გაცილებით დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე იგი, ნორმალურ პირობებში შეიძლებოდა მოგვარებულიყო.

ძნელად, მაგრამ ეს წინააღმდეგობები დაძლეულ იქნა და საქმეც წინასწარ დაგეგმილ კალაპოტში დგება, რაც **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობისათვის შექმნილმა **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული**



**ეკო პარკ კონსორციუმ“**-მა შეიმუშავა. სწორედ ამის შედეგია სომხეთში გაზტურბინების თბოელექტროსადგურის მშენებლობა და თითქმის პარალელურად, საქართველოში, მდინარე მტკვარზე, კასკადური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსება.

***—მოვუსმინოთ ბატონ თეიმურაზ ქარჩავას:***

**„ანაკლია პორტ ინდუსტრიული ეკო პარკი“**-ს პროექტი არა მარტო შინაარსით, იგი სიდიდითაც უნიკალურია. მარტო პორტის მშენებლობა 5,5 მილიარდი დოლარი ჯდება, მთლიანი პროექტის ღირებულება კი 12 მილიარდს აღწევს!

მე არაერთგზის მითქვამს, რომ ცალკე აღებული ანაკლიაში პორტის მშენებლობა, შეიძლებოდა საერთოდ არ განხილულიყო. გამომდინარე აქედან, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის კონკურსში ჩვენს მიერ შეტანილ მეგაპროექტში, — **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკი“** ვრცლად წარმოვაჩინეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნისთვის სასიცოცხლო, ენერგო და სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების საკითხებიც.

საქართველო რომ ერთ-ერთი, უმდიდრესი ჰიდრო რესურსების მქონე ქვეყანაა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რაც, ბუნებრივია,

არც ჩვენი პარტნიორებისთვისაა უცხო. თუ ჩვენი ადრინდელი შეხვედრებისას, რომელიც 10 წელზე მეტია გრძელდება, ძირითადი ყურადღება **„ანაკლია პორტის“** მშენებლობასა და მისი დაფინანსების წყაროების მოძიებას ეთმობოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, იგი სხვა მიმართულების ბიზნეს-პროექტებით შეივსო. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და მეორე პრიორიტეტად ქვეყნის ჰიდრო და სასოფლო სამეურნეო პოტენციალი იქნა მიჩნეული.

ბუნებრივია, როცა ასეთი მასშტაბის პროექტებზე მიდის საუბარი, რისკიც შესაბამისად დიდია და ინვესტორთა ჯგუფს კაპიტალის მხოლოდ ერთი მიმართულებით დაბანდება დიდ სირთულეებს უქმნის. ამიტომაც, მათთვის, პარალელურად, ახალი საინვესტიციო სფეროლით, საერთაშორისო სტანდარტის სატვირთო აეროპორტით, მეტალის გადამამუშავებელი და გემთსაშენი ქარხნით, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის პროექტებით დამთავრებული.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, **„POWERCHINA“** ჩვენი **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკ კონსორციუმ“**-ის წევრია და, ასევე, ჩვენი პროექტის ძირითადი დამფინანსებელი ინგლისურ **„ბრიტიშ ეკოპაუერთან“** ერთად.

ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შემდეგ ჩვენმა კონსორციუმმა, როგორც იტყვიან, – მწვანე შუქი აუნთო მდინარე მტკვარზე კასკადური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსებას!“



ების შეთავაზება საინტერესო და მიმზიდველია.

–ანაკლიაში პორტის მშენებლობა, **„ახალი აბრეშუმის გზის“** პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც საქართველოს საზღვრებს ცდება.

***–საბოლოოდ, რა მოცულობის ინვესტიციებზეა საუბარი? მათ შორის, რა ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საქართველოში?***

–როგორც ზემოთ ვახსენე, **„ახალი აბრეშუმის გზის“** დიდი პროექტის ერთი ნაწილია **„ანაკლია პორტი“**. პროექტის მთლიანი ღირებულება ოცდაათ მილიარდ დოლარს აჭარბებს. აქედან საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა 10-12 მილიარდი დოლარი იქნება. ეს არის დიდი პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს ანაკლიაში პორტის მშენებლობას და მასში შემავალ ინფრასტრუქტურას, – ახალ დასახლებას 20-25 ათას მაცხოვრებ-

–ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული, (უფრო მართებული იქნებოდა **„ნაცმოური“**), მედიასაშუალებების მხრიდან ქვეყნის მმართველი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შავი პიარისა და მოსახლეობის დაშინება-დატერორების ფონზე, სიზმარს უფრო ჰგავს ზემოთ მონათხრობი!

ამბობენ, – როცა, ცხადში ნაკეთები სიკეთე ძილში ჩაგყვება, ის სიზმარი აუცილებლად აცხადდება!“

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, – ქვეყნის წარმატება დიდად არ ახარებს მის გარკვეულ ნაწილს და ისინი პერიოდულად ენაცვლებიან ერთმანეთს!

–არ გამკვირვებია, ამჯერად ამ ამპლუაში ქ-ნ მარიამ ბალანჩივაძის სახელით იმ გაზეთის გამოჩენა, რომლის გვერდებზე უხვად იბეჭდება მსგავსი სტატიები.

**დავით ქობალია**
**593 510171**

**კონსორციუმ “Anaklia Eco Park and Port”-ის ხელმძღვანელი თეიმურაზ ქარჩავა, საქართველოს მთავრობის გერმანელ კონსულტანტებს შეხვდა, რომლებიც ანაკლიაში პორტის მშენებლობის კანდიდატთა შერჩევის საკითხებზე მუშაობენ.**

**როგორც „სპუტნიკ-ჯორჯიას“ კორესპონდენტთან საუბარში თემურ ქარჩავამ განაცხადა, ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, იყო როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური ხასიათის შეკითხვები, რომლებზეც დამაჯერებელი პასუხები გაეცა.**

**„ამავე დროს მე ოფიციალურად გავაჟღერე ისიც, რომ, როდესაც ჩვენ გვექნება ოფიციალური შეტყობინება საბოლოო ეტაპზე გადასვლის შესახებ, მაშინ ყველა კონკრეტულ კითხვაზე იქნება გაცემული ამომწურავი პასუხი და ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება საბანკო დასტურებთან ერთად, როგორც ეს ინტერესთა გამოხატვის პირობებშია გათვალისწინებული. მინდა ასევე დავძინო, რომ ჩვენს კონსორციუმს გააჩნია პორტის უკვე დაზუსტებული პროექტი და მისი ყველა ფაზის დაფინანსების წყაროები, რაც დადასტურებულია ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ანაკლია პორტის“ მშენებლობისა და მისი განვითარების საკითხებში ჩვენს კონსორციუმს კონკურენტი არ ჰყავს და ვერც ეყოლება, იმიტომ რომ ჩვენი კონსორციუმის წევრები გახლავთ მსოფლიოს სხვადასხვა უძლიერესი კომპანიები, რომლებიც ამ საქმით უკვე 25 წელი არიან დაკავებული. მათ შორის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია „Powerchina“, ასევე პოტენციური პარტნიორები, რომლებიც საკუთარ კაპიტალში მიიღებენ მონაწილეობას არიან „British Eco Power“ , „Global Steel Holdings - Mittal“, „ევროპის საინვესტიციო ბანკი“, „თიენძინის პორტი“, „P & O Ports“ და „Samsung Corporation“ , — განაცხადა თეიმურაზ ქარჩავამ.**

# კიდევ ერთხელ, ნაციონალების მიერ განათლების სისტემაში 2006 წელს გატარებული ე.წ. რეფორმის შესახებ

„ვარდების რევოლუციის“ დროინდელი ხელისუფლების, კერძოდ მ. სააკაშვილის „საერთაშორისოდ აღიარებული რეფორმატორის“ გაუაზრებელი და გაუმართლებელი პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში მრავალი რამ განადგურდა, მათ შორის განათლების სისტემა. ამის ნათელი მაგალითია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) 2006 წელს გატარებული ე.წ. რეფორმა, რომელიც მაშინდელმა განათლების მინისტრმა ა. ლომაიამ და თსუ-ს რექტორმა გ. ხუბუამ დიდი მონდომებით განახორციელეს.

ჩვენი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტზე (ამჟამად ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულება) ე.წ რეფორმის და კონკურსის საფარქვეშ ჩატარებული დარბევის შედეგები. ჩვენ ფაკულტეტზე 2006 წლამდე ფუნქციონირებდა 13 კათედრა და 18 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო კვლევითი სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო აპარატურით.

თუ რეფორმამდე 13 კათედრაზე სასწავლო პროცესს უძღვებოდა 195 პროფესორ-მასწავლებელი, ამჟამად შემორჩენილ 9 ქვემიმართულებაზე (კათედრის ანალოგიური სტრუქტურა) მოღვაწეობს 29 პირი (7 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 8 ასისტენტ-პროფესორი, 4 მასწავლებელი), რაც შეადგენს ადრე არსებული აკადემიური პერსონალის 14,8%-ს ანუ შემცირებულია 85,2%-ით.

18 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ნაცვლად, რეფორმის შემდეგ, დატოვეს 7 ლაბორატორიის მაგვარი წარმონაქმნი. ზოგ ლაბორატორიას გამგეც არ ჰყავს: ასეთია ბიომრავალფეროვნების და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ლაბორატორიები. აქ როგორც ჩანს, ადგილი აქვს თვითშემოქმედებას ანუ ვისაც რომელ თემატიკაზე უნდა იმაზე (ან, უფრო ზუსტად, არაფერზე) მუშაობს!

7 ლაბორატორიაში ამჟამად მომუშავე 25 თანამშრომლის (5 ლაბორატორიის გამგე, 3 უფრ. ლაბორანტი, 16 ლაბორანტი, 1 ინჟინერი) რაოდენობა შეესაბამება ადრე დასაქმებულთა 13,5%-ს, ანუ შემცირებულია 86,5%-ით.

ზემოთ მოტანილი ციფრების გათვალისწინებით გამოდის, რომ ბიოლოგიის მიმართულებაზე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (იმ გაგებით, რა გაგებითაც ადრე ფუნქციონირებდა) ფაქტიურად აღარ არსებობს. როგორც ჩანს, „რეფორმატორებს“ დაავიწყდათ, რომ ბიოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა.

თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით (11.05.2015) 2006 წლის დასაწყისში, ე.წ რეფორმამდე, ყოფილ ბიოლოგიის ფაკულტეტზე თანამშრომელთა საერთო რაოდენობა იყო ? 450 (სხვა მონაცემებით 496). მათგან 13 კათედრაზე სასწავლო პროცესს ემსახურებოდა 255 პირი (195 პროფესორ-მასწავლებელი და 60 ლაბორანტი). 18 სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში მუშაობდა 185 პირი (135 მეცნ. თანამშრომელი, 37 ლაბორანტი და 13 სხვა დამხმარე პირი). ფაკულტეტზე სულ მოღვაწეობდა ხარისხის მქონე 205 თანამშრომელი (კათედრებზე - 145, ს/კ ლაბორატორიებში - 60).

ამჟამად, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას უძღვება 54 პირი (ხარისხის მქონე - 36, ხარისხის არმქონე - 18). რეფორმის შემდეგ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შემცირდა 88,0%-ით, ხარისხის მქონეთა 82,5%-ით, კათედრების (ქვემიმართულებების) - 30,8%-ით, ს/კ ლაბორატორიების - 61,2%-ით. კათედრებსა და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიებში დასაქმებულ თანამშრომელთა ასეთი კატასტროფული შემცირება როგორ ქმედებად: დანგრევად, დარბევად თუ განადგურებად შეიძლება შეფასდეს, ეს მკითხველმა განსაჯოს.

ადრე, პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა საშუალო რიცხვი (2003-05 წლები) თუ იყო 75, ამჟამად (2013-15 წლები) არის 119, ანუ 1,6-ჯერ მეტი. აქედან გამომდინარე, რეფორმის შემდეგ დატოვებულ პროფესორ-მასწავლებელთა მინიმალურმა რაოდენობამ, 14,8%-მა თავი რომ გაართვას მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ეს შესაძლებელია ორ შემთხვევაში: ან ერთმა ლექტორმა უნდა წაიკითხოს რამდენიმე სალექციო კურსი, ე.ი. უნივერსალი, უფრო ზუსტად, ყველაფეროლოგი უნდა იყოს! ან ადრე, რეფორმამდე, წაკითხული საგნების რიცხვი მაქსიმალურად შემცირდეს, ან ორივე ერთად.

მკითხველს ვურჩევთ გულდასმით გაეცნოს წერილში მოცემულ ციფრებს, რომელიც თვალსაჩინოს ხდის რეფორმის შედეგად განხორციელებული ნგრევის შედეგებს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ციფრების ანალიზის საფუძველზე იქნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ რეფორმის შემდეგ დატოვებულ თანამშრომელთა მინიმალური რაოდენობა 54 პირი (ადრე მომუშავეთა საერთო რიცხვის 12%), როგორ ართმევს თავს სასწავლო პროცესს, მის მაღალ დონეზე წარმართვას, ეს ძნელი წარმოსადგენია და უფრო თვალთმაქცობასთან ასოცირდება. სამწუხაროდ, ზემოთ მოტანილი ობიექტური ფაქტები სხვა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა, თუ ვინმეს სჯერა, რომ 450 თანამშრომლის მიერ გაწეულ სამუშაოს 8-ჯერ ნაკლები თანამშრომელი უკეთესად შეასრულებს ამის წარმოდგენა, თქვენთვის მოგვინდვია, თუ მავანს ამ თვალსაზრისით თავი უნდა მოიტყუოს, ეს მისი უფლებაა. ასეთი ინდივიდების რაოდენობა დღევანდელ საქართველოში საკმარისად არის.




გ. ხუბუა ა. ლომაია

იმედია, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვ. პაპავა უახლოეს დროში დაინტერესდება 8 წლის წინ განხორიცელებული ნგრევის სიღრმისეული ანალიზით და შეეცდება უარყოფითი შედეგების უმოკლეს დროში მაქსიმალურად აღმოფხვრას. ეს, პირველ რიგში, ეხება სტუდენტთა სწავლის დონის მკვეთრ ამაღლებას! ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სხვა ფაკულტეტებზეც ანალოგიური სცენარით ჩატარდა. ამ მხრივ ჩვენ გამონაკლისი არ ვართ.

სამწუხაროდ, რექტორმა, პრესაში ჩვენ მიერ მის სახელზე გამოქვეყნებული ღია წერილის შემდეგ, საჭიროდ არ ჩათვალა პირადად შეგვხვედროდა! ჩვენ გვინდოდა მასთან სასწავლო და სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით ისეთ თემებზე გვესაუბრა, რომლის საჯაროდ გამოტანა საგაზეთო წერილში არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად.

ჩვენთვის გაუგებარია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი ახალი რეალიების პირობებში, რატომ აქამდე არ დაინტერესდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იმის შესწავლით, თუ რა შედეგები გამოიღო ყოფილი ხელისუფლების და მათი წარმომადგენლების (მ. სააკაშვილი, ა. ლომაია, გ. ხუბუა, გ. თევზაძე და ა.შ.) მიერ თსუ-ში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში 2006 წელს ჩატარებულმა რეფორმამ სტუდენტი ახალგაზრდობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში? თუ სამინისტრო ამ საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას გონივრულ ვადაში საჯაროდ არ წარმოუდგენს ნაციონალების მიერ განათლების სისტემაში ჩატარებული ე.წ რეფორმის შედეგების დეტალურ ანალიზს, მაშინ თქვენი უმოქმედობა შეფასდება, როგორც ჩვენი მოთხოვნის იგნორირება და ნაციონალების მიერ განხორციელებული დამანგრეველი რეფორმის გამართლება, ამ შემთხვევაში თქვენ, სამინისტროს ხელმძღვანელობას, ისღა დაგრჩებათ, მათ საჯაროდ გადაუხადოთ მადლობა!

**თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი**
**პროფესორ-მასწავლებლები:**
**გ. პაპიძე, ო. ახმეტელაშვილი,**
**ე. აბაშიძე, ვ. ახობაძე,**
**დ. გამრეკელი, მ. კაჭარავა,**
**ი. მიქელაძე, ნ. სიხარულიძე**
**საკონტაქტო ტელეფონები:**
**599 14-37-20 599 26-17-51**

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-21

### თანამედროვე ადამიანის გამოსახული „ციდან მოსულები“

აუცილებლად უნდა ვახსენოთ მაცხოვრის ჯვარცმის ფრესკა სვეტიცხოველში, რადგან ითქვა, რომ მასზე ე.წ „მფრინავი თებშებიც“ არის გამოსახული. უპირველესად ვთქვათ ის, რომ სასულიერო პირები მკვეთრად უარყოფითად და ემოციურად უარყოფენ ამ მოსაზრებას. ისინი ამბობენ, რომ ის, რასაც „ვილაცები“ მფრინავ თეფშებს უწოდებენ, არის მხოლოდ და მხოლოდ მნათობები, მზე და მთვარე, მათი ამგვარად გამოსახვის ფორმა კი ხატწერის ერთ-ერთი სახეა. ამ ფორმით გადმოცემის ხერხი კი მდგომარეობდა იმაში, რომ როდესაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს სავსემთვარეობა იყო და მზის დაბნელება მოხდა. ეს ასტრონომიულად შეუძლებელია, მაგრამ ამით მაცხოვრის მიერ კიდევ ერთი სასწაული აღსრულდა, მზეც დაბნელდა და მთვარეც იყო ცაზე.

სასულიერო წიგნებში მრავლადაა ადგილები, სადაც მფრინავი ობიექტებია ნახსენები, ამდენად, გაუგებარია რატომ უარყოფს ასე კატეგორიულად სამღვდელოება დედამიწაზე არამიწიერი ცივილიზაციის გამოვლინების ფაქტებს.

რაც შეეხება სვეტიცხოვლის ფრესკას, ხატწერა ბიზანტიურია, ამდენად, ანგელოზები გამოსახული უნდა ყოფილიყვნენ ფრთებითა და შარავანდედით; ხოლო თუ ისინი მზე და მთვარეა, მათში მსხდომები არ უნდა იყვნენ ადამიანის სხეულით გადმოცემულები, რადგან ეს ქრისტიანობისთვის მკრეხელობაა...

ანალოგიური ხატი (არა – ფრესკა) 1964 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ფერმწერმა სტუდენტმა კოსოვოში, ვისოკი დეჩანის მონასტერში, 15 მეტრის სიმაღლეზე, როცა მისი ფოტოგრაფირება დააპირა. ძნელია იმის დაჯერება, რომ ეკლესიებში, ხატსა თუ ფრესკაზე „მზე“ და „მთვარე“ სხედან „რაღაც მფრინავ აპარატში“ და მათგან ერთ-ერთს, სულაც ხელი უდევს ამ აპარატის სამართავ ბერკეტზე...

ისეთივე წვეტიან „ფორმაში“ არის გამოსახული იმავე შინაარსის ხატზე ნოვგოროდში ამჯერად სახეები, რაც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მნათობებად და იმ ასტრონომიული მოვლენის შინაარსის გადმომცემად, რასაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამბობენ და ევანგელისტურ მოძღვრებაშიც არის ნახსენები...

საინტერესოა, ვინ, რატომ, რა ფანტაზიით გამოსახა პერუში კლდეზე, ჩვ.წ.აღ-მდე XII-IV საუკუნეებში და იტალიაში, ასევე კლდეზე ჩვ.წ.აღ-მდე XIII-VIII საუკუნეებში სკაფანდრიანი ადამიანები, თუ მსგავსი არავინ უნახავს?



ალდგომა

„მადონა წმინდა ჯოვანინოთი“ („მარიამი წმინდა ჯოვანისთან“) შესრულებულია XV საუკუნეში (ფლორენცია) რომლის უკანა პლანზე გარკვევით ჩანს „ამო“ და ხელმოჩრდილული ადამიანი რომელიც ამ „მფრინავ უცნაურობას“ უმზერს. აზრთა უმრავლესობით, სურათის ავტორი დომენიკო გირლანდაიოა, მიქალანჯელოს მასწავლებელი, ადრეული რენესანსის („კვატროჩენტო“) ერთ-ერთი უძლიერესი მხატვარი, თუმცა გარკვეული წრეები თვლიან, რომ აღნიშნული სურათის ავტორები შესაძლოა იყვნენ: ფილიპო ლირი, მაინარდი და სელასიო, თუმცა, ამ შემთხვევაში, ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულად რომელი მხატვარის ფუნჯს ეკუთვნის ნახატი. ვინმე ალან მაკ-გრეგორმა დაწერა წიგნი „ამო“ ძველ აღთქმაში“, სადაც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ უკანა პლანზე, ცაში გამოსახული ობიექტი უცხო პლანეტელების ხომალდს წარმოადგენს;



ჯვარცმა

ასევე, საინტერესოა რემბრანდტის მოსწავლის დე გელდერის „ქრისტეს ნათლობა“ (კემბრიჯი), სადაც ასევე გარკვევით ჩანს „ამო“, რომელიც სხივებს აგზავნის იორდანეზე იესოს ნათლობის დროს. მე-17-18 საუკუნეების ელიტურ მხატვარს რარაც ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, რომ ასე ზედმიწევნით ზუსტად დაეხატა დღევანდელი აღწერილობის ე.წ „მფრინავი თეფში“, ან საკუთარი თვალით უნდა ენახა...

ასევე, საინტერესოა არაკანონიკური ტრადიციით გადმოცემული „აღდგომა“ – რატომ არის მაცხოვარი გამოსახული ისე, თითქოს რაკეტიდან არის გამოსული? („აღდგომის“ რამდენიმე სხვა ვერსიაშიც იმავე ოვალშია მაცხოვარი, თუმცა „რაკეტის ფრთები“ აღარ ფიქსირდება)

აღნიშნული მაგალითები მხოლოდ მცირედი ნაწილია რაც ადამიანს შეუქმნია „ციდან მოსულების“ შესახებ, მაგრამ უფრო მეტს მეტყველებენ სასულიერო წიგნები და კიდევ უფრო მეტს მითები, რომლებიც ფანტასტიკურ, „ზღა-პრულ“ შინაარს ატარებენ...

### ზღაპარი

იოანე-ზოსიმეს „გადმოჩხიბნულ“ ტექსტს გამიზნულად ავუაროთ გვერდი და მხოლოდ ის გავიმეოროთ, რაც არა ერთხელ იქნა გამეორებული „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამითა ენითა. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებას შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.“

ზღაპარი – რას შეიძლება საკუთარ თავშივე მოიცავდეს ეს ერთი სიტყვა?

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (გამოცემული 1956წ) ვკითხულობთ: – 1. თხრობითი, ჩვეულებრივი ხალხური ნაწარმოები უპირატესად ფანტასტიკური შინაარსისა 2. (გადატ.) მოგონილი, დაუჯერებელი ამბავი, ტყუილი.

სულხან-საბას ახსნით – ზღაპარი არს მოგონილი ტყუილი ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით (თბილისი, 1928 წ)

„სიტყვა „ზღაპარი“ ორ ნაწილად გაიყოს, „ზღა“ და „პარი“. „ზღა“ ძნელი ამოსახსნელი თითქოსდა არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე გააძნელა მისმა ახლობელმა „ზღო-მ“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ზღა“ და ზღო“ არ არის განხილული, იქ არის „ზღავ-ს“ – საფასურს, სანაცვლოს გადაიხდის (ზარალისას ან დანახარჯისას). ასევეა სულხან-საბას განმარტებაც – „ზღვევინება – საზღაურის მიცემა (ზღუვნება)“.

დავუკვირდეთ, თუ წერილობით გვაქვს „აზღვევინებს“, ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს მატერიალური თვალსაზრისით, ხოლო თუ გვაქვს „აზღვვინებს“, მაშინ საქმე ეხება სულიერ ანაზღაურებას. უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითად – „მემ“ „მას“ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც „მე-ს“ მოუწია ბოდიშის მოხდა, ეს ნიშნავს, რომ „მე-მ“ ზღა. (ამავე აზრისაა – მან ის დააბე-ზღა, მან მე დამაბე-ზღა და ა.შა)



მადონა XV ს.

„პარი“ (სულხან-საბას ლექსიკონი) – „პირველივით ითქმის“, ანუ როგორც თავდაპირველად იყოო. კვლავ შევაერთოთ გაყოფილი სიტყვა, მივიღებთ სიტყვას, „ზღაპარს“, რომელიც გვეუბნება, რომ გვიყვება იმას, რაც პირველად იყო, დღეს კი დაფარულია, ანუ აღიარებაა იმისა, რაც პირველადია, თვითონ კი – თხობა, პირველივითაა, პირველს მიმსგავსებულია და „იქიდან“ მოდის, „იმ“ პირველიდან...

(გაგრძელება იქნება)



სტალინი

# სტალინი – მაგია, ოკულტიზმი და ლურჯი ზეცა

დაბადებიდან ადამიანის ბედისწერა განსაზღვრულია, თუმცა სამყარო მაინც აძლევს შანსს გამოასწოროს შეცდომები, საფასურიც ხან ცოტაა, ხან - ბევრი. ყველას და ყველაფერს თავის ფასი აქვს. დღემდე სადაო საკითხია, მოკლეს თუ ბუნებრივი სიკვდილით დატოვეს ეს სამყარო ალექსანდრე მაკედონელმა, ჩინგიზ ყაენმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა, სტალინმა... ისტორიას შემორჩა წერილი, რომელიც ჩინგიზ ყაენს ჩინეთში დაოსი ბერისთვის მიუწერია. ამ წერილში ჩანს ყაენის ფიქრი და განსჯა თავის თავზე და მის ადგილზე მსოფლიოში. მისი სიტყვები სადა და ნათელია, მათში გამოცდილება და საღი აზრი ისმის. უძლეველ მტერთა დამარცხებას, მათ უნიათობას მიაწერს და არა თავის უნიკალურ ნიჭს და უნარს „რაიმე განსაკუთრებული ნიჭით არ გამოვირჩევი“,-ამბობს იგი და დასძენს, რომ მარადიულმა ლურჯმა ზეცამ გაწირა და დასაჯა ირგვლივ არსებული ცივილიზაციები მათი ქედმაღლობისა და გარყვნილებისათვის. მიუხედავად მოპოვებული უზარმაზარი ქონებისა და ძალაუფლებისა, ყაენი უბრალოდ და სადად ცხოვრობდა. „მეც ის მაცვია, რაც ძროხებისა და ცხენების მწყემსებს და იმ საჭმლით ვიკვებები, რითაც ისინი. ჩვენ ერთნაირად ვწირავთ მსხვერპლს და სიმდიდრეს თანაბრად ვინაწილებთ. ბოლოს ის თავის შეხედულებებს ასე აჯამებს: „მე მძაგს ფუფუნე-



ჩინგიზ ყაენი

ბა“ და „მუდამ ვიცავ ზომიერებას“. იგი ამტკიცებს, რომ ბრძოლის ველზე წარმატებებს მხოლოდ მარადიული ლურჯი ზეცის წყალობით აღწევდა: „რამდენადაც მაღალია დანიშნულება, იმდენად მძიმეა დაკისრებული მოვალეობები. „ყაენი აღიარებს, რომ სამხრეთისკენ წასულმა კარგად იცოდა, რომ ისეთ რამეს აკეთებდა, რაც მანამდე ისტორიას არ ახსოვდა. მას უნდოდა მთელი სამყარო ერთ იმპერიად გაეერთიანებინა, ყველა ხალხისა და ყველა მიწის გამგებელი გამხდარიყო ამ უკიდეგანო სამყაროში. ყაენამდე, ვფიქრობ, მსოფლიო გამგებლობა ალექსანდრესაც უნდოდა, შემდგომ ნაპოლეონსაც, ჰიტლერსაც, სტალინსაც, თუმცა კოსმოსს არ უნდოდა მსოფლიო გამგებელი და, ვფიქრობ, ვერც ვერასდროს ვერავინ გახდება...

ბურხან ხალდუნის წმინდა მთას სტუმრობდა ჩინგიზ ყაენი, როცა სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა და მხოლოდ მარადიული ლურჯი ზეცის სწამდა, მაკედონელის დედა შვილის კეთილდღეობას კერპებს შესთხოვდა. ნაპოლეონს უზენაესი ძალები ეხმარებოდნენ, მაგრამ გაუჭირდა ბოლომდე მათთან კონტაქტი, წონასწორობის დაცვა, მასზე ენერგეტიკულ ზემოქმედებას ინგლისელი მაგები ახდენდნენ... ჰიტლერი სერიოზულად იყო დაინტერესებული ოკულტიზმით, საიდუმლო ლაბორატორიებიც ჰქონდა და შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ექსპედიციებიც ომის პერიოდშიც მიმდინარეობდა... ზესახელმწიფო, ზეადამიანი მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.

იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და ფიქრობდა თავისი თავი ღვთის მსახურებისთვის მიეძღვნა. ლექსებსაც წერდა სასულიერო თემაზე. კარგადაც სწავლობდა, თუმცა ბედისწერამ ის უფროსკლასელ გიორგი გურჯიევს დააკავშირა. გურჯიევი მისტიკით იყო გატაცებული და საკმაოდ დიდი ცოდნა ჰქონდა დაგროვილი, რომელსაც უკვე პრაქტიკაშიც იყენებდა. გურჯიევი ოცნებობდა ზეადამიანი შეექმნა და თავისი ოცნების განხორციელება სულით ძლიერ სოსოში დაინახა. ძნელია დღეს იმ საკითხზე მსჯელობა, რა ნიშნით შეარჩია ჯუღაშვილი, მაგრამ ფაქტია, ისე დამეგობრდნენ, რომ ერთი პერიოდი ერთ ბინაშიც კი ცხოვრობდნენ. გიორგი თავის ცოდნას სოსოს უზიარებდა. ბედისწერა ყოველთვის გაძლევს მინიშნებას, მთავარია, ის მიიღო, გაიგო და გამოიყენო, - ხშირად უმეორებდა მოწაფეს ოსტატი. ასევე ხშირად განიხილავდნენ მასების მართვის ენერგეტიკულ ხერხებს და სხვა მანიპულიაციებს. სოსოს მოსწონდა და ეცნობოდა მარქსის იდეებს. იმ პერიოდში კავკასიის ხალხები რევოლუციის ქარცეცხლში იყვნენ გახვეულნი, ჰაერში გაფანტულმა ენერგო პარაზიტებმა სოსო ამ ბრძოლაში „შეითრიეს“. იქნებ მინიშნებაც ჰქონდა და საჭირო დროს საჭირო ადგილას ჩათვალა მოქმედების აუცილებლობა.

გურჯიევი პირველად მიდიოდა ექსპედიციაში ტიბეტში და სოსოს წაყვანაც უნდოდა, მაგრამ მან უპასუხა, რომ სხვა გატაცება გამოუჩნდა და ვერ გაემგზავრებოდა. ოსტატმა გააფრთხილა, რომ მის განადგურებას შეეცდებოდნენ და აუცილებლად დასჭირდებოდა ენერგეტიკული დამცველი. ლიტერატურაც დაუტოვა და დაემშვიდობა... სოსომ თავისი ძლიერი სულის, მასებზე ზეგავლენის უნარით და ზოგადად, ოკულტური ცოდნის წყალობით, მალე ჩამოიტოვა თავისი უფროსი პარტიული მეგობრები და გენერალური მდივანი გახდა. თუმცა გავლილი გზა სულაც არ იყო იოლი და არავის ეგონა, თუ იგი შეუძლებელს შესძლებდა. ვერავინ ხვდებოდა, ლენინის ახლო გარემოცვაში როგორ გამოჩნდა და როგორ მიაღწია თავბრუდამხვევ წარმატებას. მუშაობდა დღე და ღამე, იცოდა ყველას სახელი, მამის სახელი, გვარი და ისტორია. ჰყავდა შინაური მტრები, ანტანტის ქვეყნები და ათეულობით ოკულტური ორდენიც ცდილობდა მის განადგურებას. მოსკოვში ერთერთ ქუჩაზე, რომლის №16 იყო და მის სარდაფში გარკვეული პერიოდი ხოცავდნენ პოლიტპატიმრებს, ერთ-ერთ ოკულტურ ორდენს რიტუალის ჩატარების მომენტში მიაკვლიეს. ძალადობით მოკლული ადამიანების ადგილსამყოფელი შესაფერის ადგილად ითვლებოდა შავი რიტუალის ჩასატარებლად. ადგილზე სტალინის ფიგურა, სხვადასხვა რიტუალური ნივთები, ნივთიერებები იყო. ჩეკა იმ დროს „შევარდა“ სარდაფში, როცა შავებში ჩაცმულ პირებს სტალინის ფიზიკური განადგურების რიტუალი დაწყებული ჰქონდათ. ისინი წყევლიდნენ მისი დაბადების საათს, მის შთამომავლობას. ორდენის ხელმძღვანელმა ჩეხოვსკიმ ფოტოს პროექცია მოახდინა კედელზე, რომელსაც დააწერეს – „მოკვდი“ და თან მონოტონურად იმეორებდნენ, შემდეგ ჩეხოვსკიმ ფოტოს თავზე აღმართა მაგიური დაშნა და სანამ დაუშვებდა, დაუპატიჟებელმა ჩეკისტებმა ყველა დააპატიმრეს. ერთი კვირის შემდეგ, როცა ინფორმაცია წამების შედეგად მიღებული ჰქონდათ, ორდენის ყველა წევრი დახვრიტეს. სტალინი დაკითხვის ოქმებს ეცნობოდა და უკვირდა, რატომ ვერ იგრძნო მოახლოებული საფრთხე. აღნიშნული მინიშნებად ჩათვალა, ლენინგრადიდან გამოიძახა ქალაქის თავი და თავის მეგობარი სერგეი კიროვი. ესაუბრა, ნარდი ეთამაშა. სტუმარი გრძნობდა, რომ სერიოზულ თემაზე მიიწვიეს და არა გასართობად, დაძაბული იყო, სტალინმა თამაში შეწყვიტა და კიროვს გურჯიევის მიერ ნაჩუქარი წიგნიდან ამონარიდი წაუკითხა,თუ როგორ მოკლა ინგლისის მეფე ედვარდი შოტლანდიელმა ჯადოქარმა მაგიური რიტუალით, იგი გაშლილ ზღვაში მოულოდნელმა შტორმმა კლდეს შეაჯახა... კიროვი ლენინგრადში დაბრუნდა თუ არა სასწრაფო დავალება მისცა ჩეკას – მოეძებნათ საუკეთესო ჯადოქარი... როცა ძებნა ხორციელდებოდა, ცნობილი, ტრაგიკული ბედის პოეტი, ანა ახმატოვა სტუმრად იმყოფებოდა თავის მეგობარ ნათელმხილველთან ნატალია ლვოვასთან. მასპინძელი მედიტაციას ატარებდა, მაგიური ამულეტი შუბლზე ეკეთა, მაგიდაზე სხვა რიტუალური ნივთებიც ეწყო. მოულოდნელად მან თქვა: – ვიღაც გავლენიან მამაკაცს ვჭირდები, მაღალი საზოგადოების ბატონს. ანა მეგობრის შესაძლებლობებში დარწმუნებული იყო, მისი წინასწარმეტყველება ყოველთვის მართლდებოდა. კიროვმა არჩევანი ლვოვაზე შეაჩერა. 1930 წლის დეკემბერში ის მოსკოვში გადაიყვანეს საცხოვრებლად. ქალაქის ცენტრში ცალკე ბინა მისცეს. იმ დროს ცალკე მხოლოდ დამსახურებული პერსონები ცხოვრობდნენ.

პირველი შეხვედრა სტალინთან კრემლში შედგა. ნატალიამ სტალინს დაბადების დღე მიულოცა და მატერიაში გახვეული ჩიბუხი გადასცა. სანამ გაკვირვებას გამოთქვამდა, უთხრა, რომ მან მისი ნამდვილი დაბადების დღე გამოიცნო და კარგად იქცეოდა, დაბადების თარიღს რომ მალავდა. მოკლედ, ურთიერთობა შედგა. ნატალიამ „დაცვის“ მიზნით მოითხოვა, ყველა ფოტო მხოლოდ მისი მეთვალყურეობის ქვეშ გადაეღო ისე, რომ მასზე ენერგომანიპულაცია ვერ განხორციელებულიყო... ბევრ ფოტოზე მისი ორეული გადააღებინა. სტალინი აუცილებლად ჩიბუხით უნდა ყოფილიყო და მისი შუბლის და თვალების „ფოკუსის დაჭერა“ შეუძლებელი გამხდარიყო. ლვოვასთან იხილავდა საათობით ქვეყნის მოწყობის, კადრების, მტრების თუ მოყვრების საკითხებს და ჯადოქრის ყველა რჩევას ითვალისწინებდა, ლიდერის ნიშნით დაბადებული სტალინი ყველა პარტიული მაღალჩინოსნის და-



ჰიტლერი



გიორგი გურჯიევი

გობარი სერგეი კიროვი. ესაუბრა, ნარდი ეთამაშა. სტუმარი გრძნობდა, რომ სერიოზულ თემაზე მიიწვიეს და არა გასართობად, დაძაბული იყო, სტალინმა თამაში შეწყვიტა და კიროვს გურჯიევის მიერ ნაჩუქარი წიგნიდან ამონარიდი წაუკითხა,თუ როგორ მოკლა ინგლისის მეფე ედვარდი შოტლანდიელმა ჯადოქარმა მაგიური რიტუალით, იგი გაშლილ ზღვაში მოულოდნელმა შტორმმა კლდეს შეაჯახა... კიროვი ლენინგრადში დაბრუნდა თუ არა სასწრაფო დავალება მისცა ჩეკას – მოეძებნათ საუკეთესო ჯადოქარი... როცა ძებნა ხორციელდებოდა, ცნობილი, ტრაგიკული ბედის პოეტი, ანა ახმატოვა სტუმრად იმყოფებოდა თავის მეგობარ ნათელმხილველთან ნატალია ლვოვასთან. მასპინძელი მედიტაციას

ნიშვნას, გათავისუფლებას, დასჯას ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების დეტალებს ნატალიასთან განიხილავდა. იგი მისი ფარული იარაღიც იყო, ენერგეტიკული ფარიც, მაგრამ არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ მას მოწმე ჰყავდა კიროვის სახით, არადა, მოწმეებს მხოლოდ სიკვდილი აჩუმებდა. გადაწყდა კიროვის „მოცილება“. ჯადოქარი დაიბარა. მან კი საუბარი თითქმის ჩურჩულით დაიწყო: – ვიცი, ხვალ კიროვი მოკვდება, მეც გინდა გამისტუმრო იმქვეყნად. გამიშვი და სამუდამოდ გავქრები, ვერასდროს ვერავინ მნახავს, ერთ კვირაში შენი მასწავლებელი გურჯიევიც ჩამოდის.

**ქეთევან ზარნაძე**

**599 52 60 30**

**(გაგრძელება იქნება)**

# კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. ფოლადის ორითითა ხელსაწყო, იყენებენ პიანინოს აწყობისას. 2. ავსტრიელი მწერლის ზაბერ-მაზოხის მიერ აღწერილი სქესობრივი გარყვნილება. 3. ყოველი ცოცხალი არსება, ცოცხალი სხეული. 4. სპორტული ნავის მოძრავი სკამი. 6. მხატვრულად გაფორმებული ნიშანი წიგნის ყდის შიგნითა მხარეს. 7. იტალიელი კინორეჟისორი ძმები. 14. ჩვილის რბილი ძვალი თავის ქალაზე. 15. ქ. გერმანიაში, სადაც ევროპის უდიდესი აეროპორტია. 16. მსოფლიოს უგრძესი მდინარე. 17. რაიმე საგნის ზედაპირზე ჩაჭდევებული ძვალი, სადაფის სამკაული. 19. ამერიკული ძუძუმწოვარა წაბლისფერი, კრიალა ბეწვით. 20. ქვეყნის ადმინისტრაციული და პოლიტკური ცენტრი. 25. რუსული საზენიტო დანადგარი. 26. კუტუზოვის არმიის ქართველი გენერალი ... ბაგრატიონი.

**თარაზულად:** 5 ბერლინის საფეხბურთო გუნდი. 8. კონცხი ფლორიდაზე, სადაც ამერიკის კოსმოდრომია მოწყობილი. 9. თეთრკუდა არწივი. 10. სახელმწიფო მმართველობის ფორმა. 11. ტროპიკული მცენარს ე.წ. გულისარევი თხილისგან მიღებული ძლიერი შხამი. 12. ადგილი, სადაც მიდიოდნენ ყარაჩოღელები ქეიფის შემდეგ. 13. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ბუნების ფიზიკური სხეულები. 14. „დინამო“ ყოფილი №10 ფეხბურთელი დავით ... 18. ჯეიმს ბონდზე გადაღებული ფილმების ერთობლიობა. 21. ტილოს მსგავსად ნაქსოვი ბამბის რბილი, ხაოიანი ქსოვილი. 22. პა-დე-კალეს სრუტეს მეორე სახელი. 23. გრძელი შესამოსელი, რომელსაც იცვამენ კათოლიკე მღვდლები არა ღვთისმსახურების დროს. 24. სასკოლო სასადილო. 26. რძის ნაწარმის იტალიური ფირმა. 27. ქ. ამერიკაში „ფორდის“ წარმოების ცენტრი. 28. იაპონური სამშენებლო ტექნიკა. 29. ბუნებრივი ქიმიური ნაერთი, რომელიც შედის დედამიწის ქერქის შემადგენლობაში.



1. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი
2. მოქმედება რისამე მისაღწევად
3. თევზის კანის საფარი
4. შავი და აზოვის ზღვის შემაერთებელი სრუტე
5. ბეთჰოვენის ნაწარმოები
6. ძვირფასი ქვა, ყვითელი იაგუნდი
7. დუმბაძის გმირი ბიჭი
8. წიგნურის ხუტა ... „შერეკილებში“
9. სამშენებლო კონსტრუქცია
10. კროსვორდის ნაირსახეობა
11. ყველის ამოყვანისას დარჩენილი სითხე
12. საფრანგეთის საჩოგბურთო ტურნირი
13. ქალაქი ამერიკაში
13ა. ქსოვილის პარში რხევა
14. გერმანული ტექნიკა
15. ფართო ქუჩა ნიუ იორკში
16. ახალი ვენახი
17. ანეკდოტების ოსი პერსონაჟი
18. შოკოლადის მრგვალი ნაჭერი
19. ლონიერი
20. სიმინდის ყვავილედი
21. კუნძული ევროპაში
22. ევროპის ჯუჯა ქვეყანა
23. სახეზე გამონაყარი, წვინკი
24. გამჭრიახობა, მოხერხებულობა
25. მარადმწვანე ხე ან ბუჩქი
26. ბოლშევიკი ტერორის ტი „ლდათა თეთა შიიდან“



27. ყვავილების კონა
28. რისამე დასამტკიცებელი საბუთი
29. კოსოვოს ადმ. ცენტრი
30. მოგზაური ... ვესპუჩი
31. ფულისა და ნივთების გასათამაშებელი ლატარეა
32. მეჭი ნაცრისფერი
33. ესპერანტოს მცოდნე
34. ... თაყაიშვილი
35. ჩქარი მატარებელი
36. გარდაცვლილთა სული
37. წებოვანი ლენტი
38. ჯაგნარიანი რიყე მდინარის პირას
39. ინდოელი მოჭადრაკე
40. ებრაელის გასამრავლებელი სიტყვა
41. ალალბედზე მოქმედება
42. ელ. გამანაწილებელი ფარი
43. იტალიელი რეჟისორი ... დე ფილიპო
44. პურეული მცენარე
45. ... რობერტსი



46. სეზონური გაითეგა
47. აფრიკის ქვეყანა
48. მუსლიმანთა კონუსის ფორმის ქუდი
49. მონღოლი ხანის მრძანებულება
50. სითხის ჭურჭელი

# ორხაზა კროსვორდი

2. სთადარიგო ფეხბურთელი.
4. აქტის ნაირსახეობა.
6. ნაბოკოვის პერსონაჟი ქალი.
8. რენომე.
10. სხვისი შვილების გამზრდელი.
12. ლექციის მოკლე ჩანაწერი.
14. მდინარე ბელორუსიაში.
16. თარსი რიცხვი.
18. წერილი ქვეშა.

1. მეორედ გადაღებული კადრი.
3. კაშკაშა თანავარსკვლავედი.
5. ქვანახშირის გაზურებით მიღებული ნაერთი.
7. მატჩის ნაწილი.
9. ინგლისური ცეკვა.
11. ორგანიზმის მიდრეკილება დაავადებისადმი.
13. კინოს ძველი შესატყვისი.
15. კურორტი საფრანგეთში.
17. თეთრკანიანისა და ზანგის შთამომავალი.
19. მუს. ნოტი.

ცნობა საქართველოს მთიანი რეგიონების აღორძინება-განვითარების პროექტის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ წესიერად არ გავრცელებულიყო, ჩვენმა ტელევიზიებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტი — ამ პროექტის შინაარსი წესიერად დღემდე ცოტა ვინმემ თუ იცის. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ქვეყნის დამანგრეველ კანონპროექტად წარმოეჩინათ. სამწუხაროდ, მათ შორის ის ტელევიზიაც აღმოჩნდა, რომელიც ,,ნაცმოძრაობის,, რეჟიმის დამარცხებაში შეტანილ წვლილს ყოველდღიურად გვახსენებს. ,,მთის სამინისტროს ქმნის ხელისუფლება, მთის მინისტრის დანიშვნას აპირებენ, ხალხო, თქვენს ხარჯზეო“, — თქვეს და ხალხიც აიყოლიეს, კანონპროექტს არც ჟურნალისტები და მით უფრო მაყურებელი არ იცნობდა (სავარაუდოდ, არც ახლა იცნობენ).

,,ნაცმოძრაობა“ იმთავითვე ებრძოდა ქართულ სოფელს და სოფლის მეურნეობას, ყველანაირად ცდილობდა ყოველგვარი ქართულის კულტურის, ისტორიის, ტრადიციების ამოძირკვას. მათი მიზანი ქართველი კაცის, სახელმწიფოს განადგურება გახლდათ. განზრახვას არც მალავდნენ. ახლა საუბრობენ, რომ ისინი გარეშე ძალების დავალებას ასრულებდნენო. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ თუ ადამიანს შინაგანი სურვილი და

,,ნაცმოძრაობის“ წევრებზე, თორემ როგორ შეიძლება დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელს ჭკუას ეკითხებოდეს ადამიანი?

,,ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ქართული სოფლისდა სუფლის მეურნეობის განვითარება გახლავთ. ამის შესახებ ბევრს საუბრობდა ბიძინა ივანიშვილი. სიტყვას საქმე მოჰყვა: დაუხნეს გლეხებს მიწები, გასცეს ვაუჩერები და ა. შ. სოფლის და მთის განვითარებაზე თავისი აზრი ბიზნესმენმა ლევან ვასაძემაც განაცხადა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ქვეყნის არაკეთილმოსურნემ მაშინ საქილიკოდ გახადა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი.

დღესაც იგივე სიტუაციაა. ქილიკობენ ,,ნაცმოძრაობის“ წევრე-

აუთვისებელია. ბოლოს და ბოლოს მტრის შემოსევისას ხომ მთას აფარებდა ხალხი თავს.

ბედის უკუღმართობით თუ ისევ ჩვენივე დაუდევრობით მთის რაგიონებიდან მიგრაცია მეორე მსოფლიო ომის მერე გახშირდა. ბევრი სოფელი ნასოფლარად იქცა. არც 90-იანი წლებიდან დღემდე აქიან მთიელები დალხინებული ცხოვრებით განებივრებულნი.

ახლა გამოჩნდა საშუალება, მთას ჰყავდეს პატრონი, გულშემატკივარი ჩინოვნიკი, რომელიც უშუალოდ იმუშავებს მთის რეგიონების განხრით. ეს კი ცხოვრებას იქაურ მოსახლეობასაც გაუადვილებს, რადგან აღარ აიხლართება სხვადასხვა უწყებების კორი-



# საქართველოს შინაურ და გარეულ მტრებს არ ძინავთ: — არიქა, ქვეყანაში რამე სასიკეთო არ გაკეთდესო...

ლტოლვა რომ არ ჰქონოდათ, გარეშე ძალა მათ არც დაეყრდნობოდა. რაც მათ ქვეყანას დააწიეს, ყველამ კარგად ვიცით და ვნახეთ. აი, ეს ძალა ქილიკობდა, ,,ხელისუფლებას ჭაობის მინისტრი სჭირდებაო“. თუ მათ, ,,ნაცმოძრაობის“ წევრებს, დაავიწყდათ, როგორ ჭაობში ჰყავდათ ქვეყანა, ხალხს არ დავიწყებია. ამიტომ მათი გამონათქვამები აღარავის უკვირს. რატომ უთმობენ ეთერს ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტები ნაცებს, საინტერესო ეს გარემოებაა.

რადგან ტელეჟურნალისტებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე სათქმელია, რომ მათი, ტელევიზიების ნაწილი ხალხს უმტკიცებს, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებლები არიან. თუმცა გაურკვეველია, ვინ რომელ ტელევიზიას ფლობს და მართავს. სავარაუდოდ, ზოგიერთი მათგანი ფინანსურად, ზოგიერთი პოლიტიკურად ჩამოკიდებული არიან მავანზე, თუნდაც

ბი და მათი დამქაშები. გასაგებია მათი საქციელი. მათ არაფრად უღირთ საქართველო. აკი, პირსისხლიანმა მიშამ 2008 წელს ჩადენილი ,,გმირობის“ შემდეგ განაცხადა, რას გადამაყოლეთ რამდენიმე ქვა-ღორღიანი სოფლის დაკარგვასო. ამის შემდეგ როგორ შეიძლებოდა მათთან სამშობლოზე საუბარი.

მთის რეგიონი განსაკუთრებული ორგანიზმია, განსაკუთრებით საქართველოსთვის. იქ არის შემონახული ბევრი ისეთი საგანძური, რომელიც აქ, ბარში დავივიწყეთ. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რამდენი ხალხური ფოლკლორული მარგალიტი ჩამოტანა მთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან სულგანათლებულმა ვახუშტი კოტეტიშვილმა: ნუ დაგვავიწყდება სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, აჭარა... კულტურული მემკვიდრეობის გარდა უამრავი მატერიალური სიმდიდრეა, რომელიც ჯერ კიდევ

დორებში. ხალხს ეცოდინება, სად მოუგვარებენ პრობლემებს. იდეა, იცოცხლეთ, მართლაც კარგი და შორსმიმავალია, რომელსაც ჩვენი, ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. დიახ, მთის კანონის მიღება მართალია, დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელია.

თუმცა საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებს არ სძინავთ, ფხიზლად არიან, ქვეყანაში რამე სასიკეთო არაფერი გააკეთონო.

პროპაგანდას, რომელსაც თავს გვახვევენ ,,ნაცმოძრაობის“ წევრები და მათი დამქაში ე. წ. ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები ისიც გახლავთ, რომ რატომღაც ჩვენ, ქართველები, სხვის მაგივრად უნდა ვიბრძოდეთ. სხვები კი მშრალად გამოდიან წყლიდან. როგორც ცნობილია, ახალგაზრდა შემსრულებელთა ტრადიციული ყოველწლიური კონკურსი ლატვიის კურორტ იურმალაში აღარ გაიმართება. წელს კონკურსს სოჭი უმასპინძლებს. ქართველი შემსრულებლები, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო პროტესტის ნიშნად სოჭში არ წავლენ. სამაგიეროდ, კონკურსში გამოვლენ უკრაინელი და ლატვიელი შემსრულებლები! და კიდევ ერთიც. ბაქოში მიმდინარე ევროპის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობენ სომეხი ათლეტებიც! დასკვნა თქვენთვის მოგვნდიამ პატივცემულო მკითხველო.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა, რომელიც მომხდარ ტრაგედიას უკავშირდება.

სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა ყველა დაღუპულს. მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური მიწა.

ღმერთმა გვაშოროს ასეთი ტრაგედიები, ჩვენი მოქალაქეები ასეთი უბედურებით აღარ უნდა იხოცებოდნენ, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს მუდამ გვქონოდეს წარმატებები და კეთილდღეობა.

პატივისცემით ვუსალ მამედოვი
აზერბაიჯანის საელჩოს
პრეს-მდივანი საქართველოში

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***,,საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

* * *

**- რა შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს, უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე?**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

- ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

- ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას — სასამართლო.

- ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

* * *

**- რა წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით,

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

ავეჯის გადაზიდვა

593 20 46 87

# საქველმოქმედო საქმე, რომელსაც კეთილი ადამიანების თანადგომა სჭირდება



ხშირია სპორტში შემთხვევები, როდესაც სპორტსმენს სხვადასხვა მიზეზების გამო საყვარელი საქმიანობის მიტოვება უხდება, ასე მოხდა სანდრო კუტალაძის ცხოვრებაში, მას ტრავმების გამო მოუხდა ფეხბურთის თამაშის მიტოვება ადრეულ ასაკში. თუმცა ფეხბურთი არ მიუტოვებია. თავის ძმასთან, ზუკასთან და თანამოაზრეებთან ერთად ბავშვთა გუნდის შექმნა გადაწყვიტეს. განსაკუთრებული ის გახლავთ, რომ ბავშვებს უფასოდ გაწვრთნიან. ამის შესახებ ვესაუბრეთ **სანდრო და ზუკა კუტალაძეებს.**

**— სანდრო, მოდით, გვითხარით, როდის გადაწყვიტეთ ბავშვების გაწვრთნა?**

— იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი. ვთამაშობდი თბილისის „ლოკომოტივში", შემდეგ საბერძნეთში, მაგრამ ტრავმების გამო თამაშის მიტოვება მომიხდა. ჩემს ძმასთან ზუკასთან ერთად, რომელიც ლიცენზირებული მწვრთნელია, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „ერა". წელს იდეა განვახორციელეთ.

**— რა პრინციპით არჩევთ ბავშვებს?**

— უპირატესობას სოციალურად დაუცველ, ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს ვანიჭებთ. ასევე გვინდა ბავშვთა სახლებიდან მოვიზიდოთ ნიჭიერი ბავშვები.

**— ტერიტორიულად სად საქმიანობთ?**

— ახლა ჯერჯერობით ჯიქიას ქუჩაზე არსებული მოედანი გვაქვს იჯარით აღებული. დროებით ვართ იქ, რადგან ტერიტორია გაყიდულია და როდის დაგვატოვებინებს მეპატრონე სტადიონს, არ ვიცით.

**— მატერიალურად ძვირი სიამოვნებაა ბავშვთა სპორტი. თქვენ თუ გეხმარებათ ვინმე?**

**ზუკა:** — კიდევ კარგი,



სხვაგანაც ვმუშაობ. ჩემი ხელფასი ძირითადათ იჯარის გადასახადში მიდის. ჯერჯერობით დახმარების სურვილი „აჭარა-ბეთმა" გამოთქვა. მათ შეგვიძინეს ბურთები და სპორტული ფორმები. დახმარების მსურველები სხვებიც არიან, მაგრამ ახლა არ გეტყვით, ვნახოთ, საქმით ვინ დაგვეხმარება.

**— ქვეყანაში არსებობს სპორტის, განათლების სამინისტროები, ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის მერია. იქ თუ მიაწვდინეთ ხმა, თქვენი იდეა?**

— სიმართლე გითხრათ, განათლებისა და სპორტის სამინისტროები ჯერ არ შეგვიწუხებია. მერიაში კი, უბრალოდ, ვერ ვიპოვეთ ის ადამიანი, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს და ჩვენს საკითხს მოგვიგვარებს. ფეხბურთის ფედერაციაში კი დიდად არ აღფრთოვანებულან ჩვენი წამოწყებით, გულგრილად შეხვდნენ.

**— რას სთხოვთ მათ?**

— მოგვიძებნონ ისეთი სტადიონი, სადაც ბავშვებისთვის ელემენტარული პირობები — გასახდელი, საშხაპე იქნება. სადაც ახლა ვართ, ჯიქიას ქუჩაზე, ეს პირობები არ არსებობს.

**— დავუბრუნდეთ ბავშვებს. გასაგებია, რომ უპირატესობას ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს ანიჭებთ. შერჩევას როგორ აწარმოებთ, მსურველები თუ არიან ბევრი?**

— დავიწყებ იმით, რომ მსურველები მართლაც ბევრი აღმოჩნდა, იმაზე მეტი, რასაც ველოდით. წარმოიდგინეთ, რაგიონებიდანაც გვთხოვენ მივიღოთ ნორჩი ფეხბურთელები. ამით გამოჩნდა, რომ რეგიონები მიტოვებულია, არც სელექციური მუშაობაა სათანადო დონეზე, რაც ეტყობა კიდეც ქართულ ფეხბურთს. რაც შეეხება შერჩევას, ჩვენ მხოლოდ ერთი გასინჯვით არ შემოვიფარგლებით, ბავშვებს ვაძლევთ ხანგრძლივ პერიოდს თავის გამოსაჩენად. ჩვენთან ხომ 12-13 წლის ასაკის ბავშვები მოდიან. ამიტომ მათი ასაკის გათვალისწინება გვიხდება. ყველა ადამიანი ხომ თავისებური ხასიათით გამოირჩევა.

ჩვენთან ბავშვთა სახლებიდანაც მოდიან. ფეხბურთის, სპორტის გარდა მათ ადამიანური სითბო სჭირდებათ. ამიტომაც ჩვენი ურთიერთობა ვარჯიშის შემდეგაც გრძელდება. არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ყველა ჩვენი შეგირდი ფეხბურთის ვარსკვლავი გამოვიდეს, მაგრამ კარგი ადამიანები, ღირსეული მოქალაქეები რომ გახდებიან, ამას რა სჯობია. ერთ მაგალითს გეტყვით. ერთ-ერთი ბავშვი რატომღაც გულგატეხილი მოვიდა გასინჯვაზე. უგულოდ, თითქოს ვალის მოსახდელად აგორებდა ბურთს. ალბათ, არ ეგონა, რომ მივიღებდით. მეორე ვარჯიშზე კი ისე ითამაშა, ყველა გაგვაოცა. ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს გუნდში. ჩვენგან სითბო რომ არ ეგრძნო, ალბათ, ქუჩას, ცუდი გაგებით, კიდევ ერთი მოზარდი შეემატებოდა.

**— სხვა ფასიან სკოლებში რამდენია გადასახადი?**

— სხვადასხვა ნიხრებია დაწესებული. იწყება ორმოციდან და ას ლარსაც აღწევს ყოველთვიურად. ჩვენთან, როგორც გითხარით, არაფერს ვახდევინებთ ბავშვებს.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— ახლა ვწერთ ხუთწლიან პროგრამას, სადაც გაწერილი იქნება ჩვენი საქმიანობის დეტალური გრაფიკი. წელს შემოდგომიდან ვაპირებთ ჩავერიოთ რეგიონალურ ჩემპიონატში. ახლა უახლოესი გეგმა რაც გვაქვს, ის გახლავთ, რომ გამოვნახოთ შესაფერისი სტადიონი, სადაც ელემენტარული პირობები იქნება ბავშვებისთვის შექმნილი. საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, კიდევ ერთხელ შევაწუხებთ სხვადასხვა ინსტანციებს. იმედია, დაგვეხმარებიან.

მართლაც კარგი, შეიძლება ვთქვათ, საქველმოქმედო საქმე წამოიწყეს ამ ახალგაზრდებმა, რომლებსაც გვერდში დგომა, დახმარება სჭირდებათ.

**სანდრო და ზუკა კუტალაძეებს** შეგიძლიათ **დაუკავშირდეთ: 555 177 842**

**გია ბურდული**
551 71 27 07

**ქოზიფას მამათა მონასტრის**
**განვითარების ფონდი**



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

**კურო** — შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტყუპები** — დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**კირჩხიბი** — მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** — თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** — თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** — საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** — ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** — ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** — მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მერწყული** — თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თევზები** — დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.

ISSN 2233-3983